

ეკონომიკა და საბუნკო საქმე


2014. ტომი 2, N3



საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

වෘත්තමණිකා ආ
සාමාජිකයා
සාමාජික

2014. ජූනි 2, N3



**სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი
„ეკონომიკა და საბანკო საქმე“**

მთავარი რედაქტორი:

გიორგი ბაქრაძე

სარედაქციო კოლეგია:

მერაბ კაკულია

არჩილ მამათელაშვილი

არჩილ მესტვირიშვილი

ოთარ ნადარაია

ვლადიმერ პაპავა

გიორგი ქადაგიძე

ლაშა ჯუღელი

საკონტაქტო ინფორმაცია:

საქართველოს ეროვნული ბანკი,

თბილისი, 0114, სანაპიროს ქ. 2

ტელ: (032) 2-406-500

ელ-ფოსტა: bankjournal@nbg.ge

პუბლიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები
და დასკვნები ეკუთვნის ავტორებს და არ
წარმოადგენს საქართველოს ეროვნული
ბანკის ოფიციალურ პოზიციას.

ISSN 2233-3509

UDC(უაკ)33+336.71](051.2)

ე-491



შინაარსი

ნატალია ჭყონიძე

საგადახდო (გადახდების) სისტემა და მისი მნიშვნელობა.....5

ქეთევან ნადირაშვილი, დიმიტრი ჯაფარიძე , ანდრე დე ვაალი

მაღალი პერფორმანსის მქონე ორგანიზაციები
საქართველოს საბანკო სექტორში.....19

ნანა ენუქიძე

განვითარებული ელექტრონული ხელმოწერა
საბანკო სექტორში.....28

ნატალია ჭყონიძე, გიორგი ტომარაძე

ვირტუალური/კრიპტოგრაფიული ვალუტა და მისი
თავისებურებები ვირტუალური ვალუტების რეგულირება
(BITCOIN-ის მაგალითზე).....41

ნობელიანტი ეკონომისტები.....59

საქართველოს ეკონომიკის მოზაიკა60

ინფორმაცია ავტორებისთვის68



საგადახდო (გადახდების) სისტემა და მისი მნიშვნელობა

ანოტაცია

საგადახდო სისტემის მნიშვნელობა საქართველოს მოსახლეობისთვის ნაკლებად არის ცნობილი. მოსახლეობის ნაწილისთვის ის მხოლოდ გადასახადებთან¹ ასოცირდება, რაც მცდარი წარმოდგენაა

ამ სფეროზე. სტატიის მიზანია, გააცნოს რიგით მკითხველს რა არის საგადახდო სისტემა (სხვაგვარად რომ ვთქვათ „გადახდების სისტემა“), მისი მნიშვნელობა ეკონომიკაში და საზოგადოებისთვის.

შესავალი

საგადახდო სისტემები მნიშვნელოვან როლს თამაშობს ფინანსურ სექტორსა და საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებაში. ნებისმიერი ეკონომიკური ტრანზაქციის დასრულება, იქნება ეს საქონლისა და მომსახურების შექმნა, თუ ოპერაცია ფინანსურ ბაზარზე, დამოკიდებულია გადახდის განხორციელებაზე (Summers 2012, გვ. 27).

ფინანსურ ბაზარზე განხორციელებული ოპერაციების შესაბამისი ფულადი სახსრების გადახდები და, ასევე, ბანკთაშორისი ოპერაციები დიდი მოცულობის ტრანზაქციებია და მათ სწრაფად შესრულებას კრიტიკული მნიშვნელობა აქვს. ასეთი ტიპის გადახდები თანამედროვე ეკონომიკაში უმეტესწილად ე.წ. დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემების² (Real Time Gross Settlement System – RTGS System) საშუალებით ხორციელდება. საზოგადოების³ მიერ გადახდების განსახორციელებლად კი საცალო საგადახდო სისტემები და ინსტრუმენტები გამოიყენება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თავისთავად ტერმინი „საგადახდო სისტემა“ რიგ შემთხვევებში გამოიყენება ვიწრო გაგებით, როგორც ფორმალურად საშუალება (საერთო წესებსა და სტან-

დარტებზე დაფუძნებული), რომლის საფუძველზეც ხორციელდება გადახდის წამოწყება/ინიცირება, დამუშავება და დასრულება⁴; თუმცა, ზოგ შემთხვევებში ეს ტერმინი გვხვდება უფრო ფართო გაგებით და მოიცავს ფინანსური ბაზრის ინფრასტრუქტურას გადახდების, ფასიანი ქაღალდებისა და დერივატივებისთვის. როდესაც საუბარი ქვეყნის საგადახდო სისტემაზე (ეროვნული საგადახდო სისტემა – National Payment System), იგულისხმება ყველა ცალკეული სისტემების, ინსტრუმენტების, საგადახდო მომსახურების პროვაიდერების, მომხმარებლებისა და საკანონმდებლო-მარეგულირებელი ნორმების ერთობლიობა (CPSS 2006, გვ. 2), რომელიც უზრუნველყოფს ქვეყანაში ფულის მიმოქცევას.

წინამდებარე სტატიაში შევხებით მხოლოდ ფულადი სახსრების საგადახდო სისტემებს (შემდგომში საგადახდო სისტემა⁵), მათ არსსა და მნიშვნელობას ეკონომიკაში. ასევე, საუბარი იქნება ელექტრონული გადახდების მნიშვნელობასა და სხვა ქვეყნებში ელექტრონული გადახდების ხელშეწყობის მიზნით გატარებულ ღონისძიებებზე.

1. „გადასახადები“ საქართველოში რეგულირდება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით, რომელიც შედგება საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, საგადასახადო კოდექსის და მათ შესაბამისად მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისაგან (საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 2, ნაწილი 1), ხოლო „გადახდების“ სფერო რეგულირდება „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანული კანონით, „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიერ გამოცემული ნორმატიული აქტებით და სხვ. „გადახდების“ სფეროს ზედამხედველობას უწევს საქართველოს ეროვნული ბანკი;

2. იხ. RTGS სისტემაზე მეტი ინფორმაცია თავში „დიდი თანხობრივი მოცულობის გადახდების სისტემა“;

3. იგულისხმება მომხმარებელთა ერთობლიობა, რომელიც მოიცავს ფიზიკურ პირებს, კერძო იურიდიულ პირებს და სახელმწიფო ორგანიზაციებს;

4. ანუ ფულადი სახსრების გადარიცხვის სისტემა.

5. ტერმინი „საგადახდო სისტემის“ სხვა მნიშვნელობით გამოყენებისას, დაზუსტება გაკეთდება თვით ტექსტში.



საგადახდო სისტემების მნიშვნელობა და მათი რეგულირების საჭიროება

საგადახდო სისტემები წარმოადგენენ ეკონომიკური და ფინანსური ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვან ნაწილს. მათ ეფექტიან ფუნქციონირებას, რომელიც უზრუნველყოფს ტრანზაქციების უსაფრთხოდ და დროულად დასრულებას, შეაქვს მნიშვნელოვანი წვლილი ეკონომიკურ შედეგებში. მაგრამ, ამავე დროს, საგადახდო სისტემები შესაძლოა შეიცავდნენ მნიშვნელოვან რისკებს სისტემის მონაწილეებისათვის და წარმოადგენდნენ რისკების გადაცემის არხს ეკონომიკის ან ფინანსური სისტემის ერთი ნაწილიდან მეორეში. აღნიშნული „სისტემური რისკები“ გახდა საგადახდო სისტემების სფეროს მიმართ ცენტრალური ბანკების ინტერესის მიზეზი. (Bank of England 2000, გვ. 3).

უსაფრთხო და დაცული სისტემები აუცილებელია ფინანსური ბაზრების ფუნქციონირებისათვის. გაერთიანებული სამეფოს ცენტრალური ბანკი⁶ საგადახდო სისტემების დანიშნულებას და მათ მნიშვნელობას ასე აყალიბებს:

- საგადახდო სისტემა ოპერაციების უსაფრთხო და დროული დასრულების საშუალებას იძლევა. კომპანიები იყენებენ მას, როდესაც ყიდულობენ ან ყიდიან საქონელს და მომსახურებას⁷; ფიზიკური პირები კი – ხელფასის მისაღებად და საცალო შესყიდვებისთვის; ამ სისტემის საშუალებით მთავრობა იღებს გადასახადებს და ანაწილებს სოციალურ დახმარებებს;
- საგადახდო სისტემები საშუალებას აძლევს ერთი ბანკის მომხმარებელს, გადაურიცხოს თანხა სხვა ბანკის მომხმარებელს. ბანკებს შორის ასეთი ურთიერთკავშირის არსებობის გამო, მომხმარებელი მომსახურე ბანკის არჩევისას ყურადღებას ამახვილებს მომსახურების პირობებზე, ფასზე, ხარისხზე და სხვ. და მისთვის აღარ არის კრიტიკული, თუ რომელ ბანკში აქვთ გახსნილი ანგარიშები პირებს, რომელთაც

უნდა გადაურიცხოს თანხა ან მიიღოს მათგან ჩარიცხვები;

- ეფექტიანი საგადახდო სისტემები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ფინანსური ბაზრების ფუნქციონირებისათვის. ისინი გამოიყენება ფულის ბაზრის ინსტრუმენტების, ობლიგაციების, დერივატივების, ვალუტის გაცვლისა და სხვა ოპერაციებში ფულადი სახსრების ტრანზაქციების⁸ ანგარიშსწორებისთვის. ფინანსური ბაზრის მონაწილეებს ფულადი სახსრების დროულად მიღების იმედი აქვთ, რის შედეგადაც ისინი შეასრულებენ მომდევნო, დაკავშირებულ ოპერაციებს;
- ცენტრალური ბანკები იყენებენ საგადახდო სისტემებს მონეტარული პოლიტიკის ოპერაციებისთვის (Bank of England 2000, გვ. 3).

უნდა აღინიშნოს, რომ საგადახდო სისტემები განსაკუთრებულ როლს თამაშობენ ფინანსურ ბაზრებზე. აღნიშნული ბაზრის ოპერაციები ხშირად მოიცავს კომპლექსური დავალებების (ინსტრუქციების) გაცვლას, რომლებშიც წინასწარ განსაზღვრულია კავშირი გადახდის განხორციელება და ფინანსური აქტივების მიწოდებას შორის, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ფინანსური აქტივების მიწოდება (ოპერაციის დასრულება) დამოკიდებულია გადახდის განხორციელებაზე⁹. ფინანსური ბაზრების ოპერაციების შესრულებას უმოკლეს პერიოდში, დიდი თანხობრივი სიდიდისა და სწრაფი ბრუნვის გამო, კრიტიკული მნიშვნელობა აქვს. ასეთი ტრანზაქციების შეუსრულებლობამ, ზოგ შემთხვევაში კი დროულად არ შესრულებამ, შესაძლოა გამოიწვიოს ლიკვიდობისა და საკრედიტო რისკები (Summers 2012, გვ. 27), რაც საბოლოო ჯამში, შესაძლოა, სისტემურ რისკებში გადაიზარდოს.

ევროპის ცენტრალური ბანკის ყოფილი პრეზიდენტი, ჟან კლოდ ტრიშე საგადახდო სისტემას,

6. Bank of England
 7. იგულისხმება, საქონლის და მომსახურების საფასურის გადახდის ოპერაცია.
 8. ფასიანი ქაღალდების ოპერაციები ორი ტიპის ტრანზაქციისგან შედგება: უშუალოდ ფასიანი ქაღალდების ტრანზაქცია და ფულადი სახსრების ტრანზაქცია.
 9. აღნიშნული ცნობილია, როგორც ტერმინი „მიწოდება გადახდის სანაცვლოდ“ (Delivery versus Payment, ანუ DvP). ვალუტის გაცვლის ოპერაციებში, სადაც ორივე ტრანზაქცია ფულადი სახსრების გადახდის ოპერაციაა, გამოიყენება „გადახდა გადახდის სანაცვლოდ“ (Payment versus Payment, ანუ PvP) პრინციპი.

რომელიც გადახდების, ფასიანი ქაღალდებისა და დერივატივების ინფრასტრუქტურას მოიცავს, ფინანსურ ბაზრებთან და ინსტიტუტებთან ერთად ფინანსური სისტემის ძირითად კომპონენტად მიიჩნევა. გადახდები¹⁰, კლირინგი¹¹ და ანგარიშსწორება¹² ფუნდამენტალურად მნიშვნელოვანია ფინანსური სისტემის ფუნქციონირებისა და ეკონომიკურ აგენტებს შორის ტრანზაქციების განხორციელების უზრუნველყოფისთვის მთლიან ეკონომიკაში. ფინანსურ ბაზრებზე, ბაზრის ლიკვიდობა კრიტიკულად დამოკიდებულია ფულადი სახსრებისა და ფინანსური ინსტრუმენტების კლირინგისა და ანგარიშსწორების პროცესების სანდოობაზე. თუ არ ხორციელდება ამ პროცესების სწორი მართვა, მაშინ მათ თანმდევ სამართლებრივ, ფინანსურ და საოპერაციო რისკებს აქვთ პოტენციური გამოიწვიონ მნიშვნელოვანი შეფერხებები ფინანსურ სისტემაში და უფრო ფართოდ მთელს ეკონომიკაში (Trichet 2010, გვ. 16).

საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის (BIS¹³) საგადახდო და ანგარიშსწორების სისტემების კომიტეტის (CPSS¹⁴) პუბლიკაციაში „ცენტრალური ბანკის ოვერსაითი საგადახდო და ანგარიშსწორების სისტემებზე“ აღნიშნულია, რომ კარგად მოწყობილი¹⁵ და მართული სისტემები ხელს უწყობს ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნებას ფინანსური კრიზისის თავიდან აცილების ან შეკავების გზით და ასევე, ხელს უწყობს ანგარიშსწორების გაურკვევლობისა და მისი ღირებულების შემცირებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, საგადახდო სისტემები შესაძლოა მოქმედებდნენ როგორც ეკონომიკური აქტივობის

დამაბრკოლებელი გარემოება (CPSS 2005, გვ. 1). ამგვარად, საგადახდო და ანგარიშსწორების სისტემები გადამწყვეტ როლს თამაშობენ საბაზრო ეკონომიკაში და ყოველთვის არიან ცენტრალური ბანკების ყურადღების არეში, რადგანაც ცენტრალური ბანკის ფუნქციების შესრულება, კერძოდ კი, ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფა და მონეტარული პოლიტიკის განხორციელება, მჭიდრო კავშირშია საგადახდო სისტემების უსაფრთხო, მდგრად და ეფექტიან ფუნქციონირებასთან¹⁶.

საგადახდო სისტემას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებისთვის, რადგან ის საშუალებას აძლევს მომხმარებელს განახორციელოს და მიიღოს გადახდები ანგარიშების (მათ შორის არატრადიციული ანგარიშების¹⁷) გამოყენებით, საიმედო და მოსახერხებელი გზით და მისაღებ ფასად. რაც უფრო ფართოა საგადახდო სისტემის დაფარვის არეალი და ამავე დროს მარტივია გამოსაყენებლად მომხმარებლისთვის გადახდების განსახორციელებლად, მით უფრო მეტია სისტემის წვლილი ეკონომიკის ეფექტურობასა და ეფექტიანობაში (Summers 2012, გვ. 27).

არსებობს კვლევები, რომლებიც ეკონომიკაში ელექტრონული გადახდების მნიშვნელობაზე მიუთითებენ. კერძოდ, კვლევები ასაბუთებენ, რომ ელექტრონული გადახდების ზრდა ქვეყნის ეკონომიკურ აქტივობას უწყობს ხელს და, ასევე, „ჩრდილოვანი ეკონომიკის“¹⁸ შემცირებას განაპირობებს¹⁹.

10. გადახდა მკაცრი გაგებით, არის თანხის გადარიცხვა, რომლითაც ხდება გადამხდელის ვალდებულების შესრულება მიმღების მიმართ. თუმცა, ტექნიკური ან სტატისტიკური მიზნებისთვის, ის ხშირად გამოიყენება, როგორც სინონიმი „ტრანსფერ ორდერის“ (ECB 2009, გვ. 20) ან „საგადახდო დავალებას“.

11. კლირინგი არის საგადახდო დავალებას ან ფასიანი ქაღალდების ინსტრუქციის სისტემაში გადაცემის, შედარების, ზოგ შემთხვევაში მათი დადასტურების პროცესი ანგარიშსწორებამდე, ასევე, შესაძლოა მოიცავდეს საგადახდო დავალებების ურთიერთგაქვითვის (ნეტინგის) და საბოლოო ანგარიშსწორების პოზიციების დადგენის პროცესს (BIS 2003, გვ. 13).

12. ანგარიშსწორება - ოპერაცია, რომლის შედეგადაც ხდება ფულადი სახსრებისა ან ფასიანი ქაღალდების ტრანსფერთან დაკავშირებული ვალდებულებების დაკმაყოფილება ორ ან მეტ მხარეს შორის (BIS 2003, გვ. 45);

13. Bank for International Settlement

14. Committee on Payment and Settlement Systems. 2014 წლის 1 სექტემბრიდან ამ კომიტეტს გადაერქვა სახელი და ეწოდება საგადახდო და ბაზრების ინფრასტრუქტურის კომიტეტი (Committee on Payments and Market Infrastructures CPMI)

15. იგულისხმება სისტემის დიზაინი

16. საგადახდო სისტემების უსაფრთხო, მდგრადი და ეფექტიანი ფუნქციონირების ხელშეწყობა ცენტრალური ბანკების ერთ-ერთ ფუნქციად ჩამოყალიბდა.

17. არატრადიციული ანგარიშებად მიიჩნევა ელექტრონული ფულის ინსტრუმენტები

18. „ჩრდილოვანი ეკონომიკა“ არის ლეგალური საქმიანობა, რომლის აღრიცხვა/დეკლარირება/ ანგარიშგება არ ხორციელდება პირის მიერ. აღნიშნული არ მოიცავს არალეგალურ საქმიანობას (A.T. Kearney Inc 2010, გვ.2).

19. იხილეთ დაწვრილებით ქვეთავში „საცალო საგადახდო სისტემა და მისი როლი ეკონომიკაში“



რეგულირებადი საგადახდო სისტემები

როგორც აღინიშნა, არსებობს სისტემები, რომელთა შეფერხებებმა შესაძლოა ფინანსურ სექტორში სისტემური რისკები გამოიწვიონ. ასეთ სისტემებს „სისტემურად მნიშვნელოვან სისტემებს“ უწოდებენ. თუმცა არსებობენ სისტემები, რომლებიც ვერ გამოიწვევენ სისტემურ რისკებს, მაგრამ წარმოადგენენ საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან სისტემას. ასეთი სისტემები „სოციალურად მნიშვნელოვანი სისტემების“ სახელწოდებითაც გვხვდებიან. ცენტრალური ბანკების ზედამხედველობის/ოვერსაიტის სფეროს საზღვრები განსხვავდება ქვეყნების მიხედვით (მაგ. დიდი თანხობრივი მოცულობის საგადახდო სისტემები, ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემები, საცალო საგადახდო სისტემები, საგადახდო ინსტრუმენტები); თუმცა „სისტემურად მნიშვნელოვანი სისტემების“ გარდა, შეიმჩნევა ყურადღების ზრდის ტენდენცია საცალო საგადახდო სისტემების

ეფექტიანობისა და მათი როლის მიმართ (WB 2008, გვ. 1). შესაბამისად, გარკვეულწილად საცალო საგადახდო სისტემები და ინსტრუმენტები ცენტრალური ბანკების რეგულირების ქვეშ ხვდებიან.

საგადახდო სისტემების მფლობელები და ოპერატორები არიან როგორც ცენტრალური ბანკები, ისე კერძო სუბიექტები. არის შემთხვევები, როდესაც კერძო სუბიექტების საგადახდო სისტემებს მონოპოლური მდგომარეობა უკავიათ ქვეყანაში და თვითონ საზღვრავენ სისტემასთან წვდომის კრიტერიუმებს, ასევე ფასს. ვინაიდან ეკონომიკის დამოკიდებულება საგადახდო სისტემაზე ძალიან დიდია და ასევე დიდია საზოგადოების მოთხოვნა მათ მიმართ, მნიშვნელოვანია მათზე ოვერსაიტის განხორციელება და მათთვის გარკვეული ჩარჩოს განსაზღვრა, რათა მოხდეს საზოგადოების მოთხოვნების გათვალისწინება (Summers, გვ. 28).

ჩანართი N1. BIS-CPMI – სტანდარტების განმსაზღვრელი საგადახდო სისტემების სფეროში

საგადახდო სისტემების მნიშვნელობიდან გამომდინარე, გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან დაწყებული ცენტრალური ბანკების მიერ, ხოლო მოგვიანებით სხვა რეგულატორებისა და მონაწილეების მიერ, დიდი ყურადღება დაეთმო საგადახდო და ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემების დიზაინსა და მათი ოპერირების საკითხების შესწავლას.

1980 წელს G10 ქვეყნების ცენტრალური ბანკის მმართველებმა ჩამოაყალიბეს საგადახდო სისტემების ექსპერტების ჯგუფი, რომელთა პირველი ნაშრომებიდან ერთ-ერთი იყო G10 ქვეყნების საგადახდო სისტემების განვითარების მიმოხილვა, რომელიც ცნობილი გახდა როგორც „წითელი წიგნები“²⁰.

1990 წელს G10 ქვეყნების ცენტრალური ბანკების მმართველებმა დააფუძნეს საგადახდო და ანგარიშსწორების სისტემების კომიტეტი (Committee on Payment and Settlement Systems - CPSS), რომელმაც გადაიბარა და გააფართოვა საგადახდო სისტემების ექსპერტების ჯგუფის საქმიანობა. აღნიშნული კომიტეტი ცენტრალური ბანკების ერთ-ერთი²¹ მუდმივმოქმედი კომიტეტია, რომელიც ანგარიშვალდებული იყო G10 ქვეყნების ცენტრალური ბანკების მმართველებთან. შემდგომში, 1997-1998 და 2009 წლებში, კომიტეტის წევრების შემადგენლობა გაფართოვდა და შეადგინა 25 ცენტრალურ ბანკს. ამჟამად კომიტეტი ანგარიშვალდებულია GEM-ის (the Global Economy Meeting) მმართველებთან. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული კომიტეტი წარმოადგენს სტანდარტების განმსაზღვრელს როგორც საგადახდო, ასევე ფინანსური ბაზრების ინფრასტრუქტურის სფეროში, 2013 წელს განხორციელდა კომიტეტის უფლებამოსილების გადახედვა მისი გაფართოების მიზნით, რის შედეგად კომიტეტს გადაეწევა

20. „წითელი წიგნი“ დეტალურად აღწერს ქვეყნის საგადახდო, კლირინგისა და ანგარიშსწორების სისტემებს და გათვლილია ისეთ მკითხველზე, რომელსაც აქვს გარკვეული ცოდნა საგადახდო სისტემებზე, მაგრამ მისთვის უცნობია კონკრეტული ქვეყნის საგადახდო მოწყობა.

21. სხვა მუდმივმოქმედი კომიტეტები არიან ბაზელის კომიტეტი საბანკო ზედამხედველობაზე და კომიტეტი გლობალური ფინანსური სისტემის.

სახელი და 2014 წლის 1 სექტემბრიდან საგადახდო და ბაზრების ინფრასტრუქტურის კომიტეტი ეწოდება (Committee on Payments and Market Infrastructures CPMI).

2012 წლის აპრილში, მაშინდელი საგადახდო და ანგარიშსწორების სისტემების კომიტეტი (CPSS) და ფასიანი ქაღალდების კომისიების საერთაშორისო ორგანიზაციის ტექნიკურმა კომიტეტმა (the Technical Committee of the International Organization of Securities Commissions - IOSCO) გამოაქვეყნა ანგარიში სტანდარტების შესახებ, სახელწოდებით „ფინანსური ბაზრის ინფრასტრუქტურის პრინციპები“ (PFMIs). ახალმა სტანდარტებმა ჩაანაცვლა არსებული სამი სტანდარტი: „სისტემურად მნიშვნელოვანი საგადახდო სისტემების ძირითადი პრინციპები“ (CPSS, 2001); რეკომენდაციები ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემებისთვის (CPSS-IOSCO, 2001); და რეკომენდაციები ცენტრალური კონტრაგენტებისთვის (CPSS-IOSCO, 2004). CPSS და

IOSCO-მ გაამკაცრა და ჰარმონიზაციაში მოიყვანა აღნიშნული სამი სტანდარტი, რაც გამოიხატება მინიმალური მოთხოვნების გამკაცრებაში, უფრო დეტალური სახელმძღვანელოს შემუშავებასა და სტანდარტების გავრცელების არეალის გაფართოებაში, რომელიც ფარავს ახალი რისკების მართვის სფეროებსა და ახალი ტიპის FMIs.

„ფინანსური ბაზრის ინფრასტრუქტურის პრინციპები“ (PFMIs) არის 12²² ძირითადი სტანდარტის ნაწილი, რომელსაც საერთაშორისო საზოგადოება განიხილავს მნიშვნელოვნად ფინანსური სტაბილურობის გაძლიერებისა და შენარჩუნებისთვის. როგორც ასეთი, PFMIs გამოყენებული იქნება საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის ერთობლივი მისიების („ფინანსური სექტორის შეფასების პროგრამის“²³ და „სტანდარტებისა და კოდექსის დაცვაზე ანგარიშების“²⁴) ფარგლებში.

საგადახდო სისტემების ტიპები

საგადახდო სისტემების ტიპი და სტრუქტურა განსხვავდება ქვეყნების მიხედვით, რაც გამოწვეულია როგორც ისტორიული მიზეზებით, ასევე ქვეყნის სამართლებრივი, რეგულატორული და ინსტიტუციური მოწყობით (Kokkola 2010). საგადახდო სისტემები, მათ მიერ განხორციელებული ტრანზაქციების სიდიდის მხრივ, ძირითადად ორ კატეგორიად შეიძლება დაიყოს: დიდი თანხობრივი მოცულობის გადახდების სისტემა (Large Value Payment System - LVPS) და საცალო გადახდების სისტემა, რომელიც განკუთვნილია მცირე მოცულობის თანხების გადახდებისთვის.

• დიდი თანხობრივი მოცულობის გადახდების სისტემა

ფინანსურ ინსტიტუტებს შორის მუდმივად ხორციელდება სხვადასხვა ოპერაციები, რომელთა შორის, საგადახდო სისტემების თვალსაზრისით,

გამოიყოფა ფულადი და სავალუტო ბაზრების ტრანზაქციები. ორივე ბაზრის ოპერაციების ანგარიშსწორება, როგორც წესი, ხდება დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემაში, რომელიც LVPS-ებს შორის ყველაზე გამორჩეული სისტემაა.

საგადახდო და ანგარიშსწორების სისტემების კომიტეტი თავის 1997 წლის რეპორტში მიუთითებდა ქვეყნების მხოლოდ მცირე ჩამონათვალს, სადაც ფუნქციონირებდა RTGS სისტემა და აღნიშნავდა ასეთი სისტემის დანერგვის მნიშვნელობაზე. მსოფლიო ბანკის 2010 წლის კვლევის²⁵ მონაცემებით, კვლევაში მონაწილე 139 ქვეყნიდან უკვე 116²⁶-ში ფუნქციონირებდა ასეთი სისტემა.

საგადახდო სისტემებში წარმოშობილი რისკების შემცირება გარკვეული ფაქტორებით არის შესაძლებელი, რომელთა შორის არის სისტემაში შესული გადახდის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ის არის უპირობო (unconditional) და მისი გამოთხოვა

22. FSB-ის ვებ-გვერდზე მითითებულია 14 ძირითადი პრინციპი

23. Financial Sector Assessment Programme (FSAP)

24. Reports on the Observance of Standards and Codes (ROSC)

25. The Global Payment Systems Survey 2010

26. საქართველოში RTGS სისტემა 2001 წლიდან არსებობს



დაუშვებელია (irrevocable). გადახდების აღნიშნული დაცვა, კანონმდებლობებში მოცემულია, როგორც გადახდის და ანგარიშსწორების საბოლოობის პრინციპი. აღნიშნული გულისხმობს, რომ გადამხდელს და მიმღებს აქვთ სრული რწმუნება, რომ გადარიცხული ფულადი სახსრების გამოყენება შესაძლებელია ყოველგვარი შიშის/მოლოდინის გარეშე, რომ ეს ფულადი სახსრები იქნას გამოთხოვილი²⁷ ან სხვაგვარად შეზღუდული²⁸. RTGS სისტემა ტექნიკურად უზრუნველყოფს გადახდების უპირობო და გამოუთხოვად ანგარიშსწორებას უწყვეტად დღის განმავლობაში. საქართველოს კანონმდებლობა, კერძოდ 2012 წლის მაისში მიღებული საქართველოს კანონი „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ განსაზღვრავს გადახდის გამოთხოვის დაუშვებლობისა და მისი უპირობო ხასიათის პრინციპებს, რითაც საქართველოში ფუნქციონირებად მნიშვნელოვან საგადახდო სისტემებში შესრულებული გადახდის ოპერაციები დაცულია მესამე პირებისაგან, მათ შორის ლიკვიდატორისაგან, გაკოტრების მმართველისა და დროებითი ადმინისტრატორისაგან, ასევე ადმინისტრაციული და სასამართლო ორგანოებისაგან.

RTGS სისტემათა უმეტესობა, 2010 წლის მსოფლიო ბანკის კვლევის საფუძველზე, წარმოადგენს დაცულ სისტემებს, რომელთა დიზაინი შექმნილია საერთაშორისო სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ გარდა ზემოთ აღნიშნული ანგარიშსწორების საბოლოობის უზრუნველყოფისა, სისტემებში გათვალისწინებულია ასევე ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტები, როგორებიცაა: ა) სისტემის მონაწილეებისთვის ცენტრალური ბანკების ლიკვიდობის საშუალებების ხელმისაწვდომობა (RTGS სისტემების 90%), რომელთა საშუალებით უზრუნველყოფილია გადახდის ნაკადების მართვა შეუფერხებლად დღის განმავლობაში. ამავე დროს, ამ შემთხვევების 90%-ში ცენტრალური ბანკების მიერ მოითხოვება მაღალი ხარისხის გირაო; ბ) ოპტიმიზაციის საშუალება, როგორიცაა სისტემაში გადახდის რიგები, არსებობს სისტემების 88%-ში; გ) როგორც კვლევა აჩვენებს, სისტემის ოპერატორებისთვის, საოპერაციო რისკების მართვა

წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე პრიორიტეტულ საკითხს, რის შედეგადაც გაუმჯობესებულია სისტემის აღდგენისა და ბიზნეს უწყვეტობის ღონისძიებები.

საქართველოში RTGS სისტემა 2001 წლიდან არსებობს. ამ პერიოდისთვის მსოფლიოს მხოლოდ 37 ქვეყანაში არსებობდა ამ ტიპის სისტემა. პირველი RTGS სისტემის შექმნა 1918 წლით თარიღდება (აშშ), ხოლო მომდევნო სისტემის შექმნა 1987 წლით არის ცნობილი (შვეიცარია) (WB 2010)²⁹. საქართველოში არსებული RTGS სისტემის მფლობელი და ოპერატორი საქართველოს ეროვნული ბანკია. ამჟამად ფუნქციონირებადი სისტემა 2010 წლის დეკემბრის თვეში დაინერგა, რომელიც მოიცავს თანამედროვე სისტემებისთვის დამახასიათებელ ყველა ზემოთ ხსენებულ უპირატესობას/საშუალებას. აღნიშნული სისტემა წარმოადგენს ჰიბრიდულ სისტემას, რომელიც ამუშავებს არა მხოლოდ მსხვილ გადახდებს, არამედ მცირე თანხობრივი მოცულობის გადახდებსაც. მათი დამუშავება განსხვავებულ რეჟიმში ხდება; კერძოდ, მსხვილი გადახდები სისტემას მიეწოდება ინდივიდუალურად, ხოლო მცირე გადახდები ჯგუფდება და დასამუშავებლად სისტემას პაკეტებად მიეწოდება. მიუხედავად ამისა, ყველა გადახდის ოპერაციის ანგარიშსწორება დროის რეალურ რეჟიმში ხდება (NBG 2014).

მსოფლიო ბანკის 2010 წლის კვლევამ აჩვენა, რომ თანამედროვე, დაცული და ეფექტიანი დიდი თანხობრივი მოცულობის გადახდების სისტემის დანერგვის ყველაზე მაღალი მაჩვენებლით ხასიათდება მაღალი და საშუალოზე მაღალი შემოსავლების³⁰ ქვეყნები (საქართველო მიეკუთვნებოდა საშუალოზე დაბალი შემოსავლების ქვეყნებს, თუმცა როგორც აღინიშნა, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დანერგილია თანამედროვე სისტემა). RTGS სისტემის დანერგვის ყველაზე დაბალი მაჩვენებლით EAP (აღმოსავლეთ აზიისა და წყნარი ოკეანის) რეგიონი გამოირჩევა. ასევე იკვეთება ქვეყნები/რეგიონები (ეთიოპია, მალავი, ზამბია, კონგო, ჰაპუა ახალი გვინეა, ავღანეთი, სურინამი, სომხეთი, ტაჯიკეთი, და სხვა), სადაც პირველად ინერგება ან ხდება არსებული სისტემების ჩანაცვლება თანამედროვე სისტემებით (NBG 2014³¹).

27. კანონმდებლობით დაცულია „გადახდის გამოთხოვის დაუშვებლობის“ პრინციპით

28. კანონმდებლობით დაცულია „გადახდის უპირობობის“ პრინციპით

29. მსოფლიო ბანკის 2010 წლის კვლევის საფუძველზე.

30. იგულისხმება შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე (წყარო:WB)

31. აღნიშნული ქვეყნების ცენტრალური ბანკები მსოფლიო ბანკისა და სისტემის მწარმოებლის რეკომენდაციით ეწვივნენ ეროვნულ ბანკს RTGS სისტემის დანერგვის გამოცდილების გაზიარების მიზნით (წყარო: ეროვნული ბანკის ოფიციალური ვებ-გვერდი).

- **საცალო გადახდების სისტემა და მისი როლი ეკონომიკაში**

სტატიის „ინოვაციები საცალო გადახდებში“ ავტორები (H. Natarajan³², H. Baijal³³) მიიჩნევენ და ასაბუთებენ სხვადასხვა კვლევების საფუძველზე³⁴, რომ საცალო გადახდები ხელს უწყობს ეკონომიკის აქტივობას და ვაჭრობის ზრდას. ადგილობრივი საცალო გადახდების სისტემის დიზაინსა და ფუნქციონირებას შესაძლოა უდიდესი ზეგავლენა ჰქონდეს ეროვნული საგადახდო სისტემის უსაფრთხო-

ებასა და ეფექტიანობაზე.

საცალო საგადახდო სისტემები ჩვეულებრივ ამუშავებს დიდი რაოდენობის მცირე თანხიან გადახდებს, რომელიც უზრუნველყოფს გადახდების მიმართ მომხმარებლების მრავალფეროვანი მოთხოვნების დაკმაყოფილებას და ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ აქტივობას. უკვე საყოველთაოდ არის აღიარებული, რომ ნაღდი ფულიდან ელექტრონულ გადახდის მეთოდებზე გადასვლა ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობია (Summers, Natarajan, Baijal 2012, გვ. 145-146).

ჩანართი N2. საცალო გადახდების გავლენა ეკონომიკაზე (კვლევების შედეგები)

1. Moody's Analytics "The Impact of Electronic Payments on Economic Growth" March 2010.

როგორც კვლევამ აჩვენა (შერჩეული 51 ქვეყნის მაგალითზე, რომელთა ჯამური მშპ შეადგენს მსოფლიო მშპ-ს 91%-ს), ელექტრონულმა გადახდებმა, კერძოდ კი საგადახდო (საკრედიტო და სადებეტო) ბარათებმა გამოიწვია კერძო მოხმარების გაზრდა 1.1 ტრილიონით, რაც მშპ-ს დამატებითი 0.2%-იანი ზრდაა 2003-2008 პერიოდის განმავლობაში. ეს დამატებითი ზრდა მიაკუთვნეს კერძო მოხმარების ხარჯების (PCE – Private Consumption Expenditures) ზრდას, რის მიზეზად ელექტრონული გადახდების სიმარტივე და მოხერხებულობა დასახელდა, რამაც თავის მხრივ გააუმჯობესა კომერციის ეფექტიანობა. მაღალი ეფექტიანობა ზრდის მოხმარებას, რაც იწვევს მარაგების შემცირებას, წარმოებისა და დასაქმების ზრდას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ელექტრონული გადახდები იწვევს მოხმარების დანახარჯების გაზრდას, რაც ეკონომიკაში მულტიპლიკატორის ეფექტს ქმნის (Summers, Natarajan, Baijal 2012, გვ. 145) (Moody's Analytics 2010, გვ. 1-3).

2. Moody's Analytics "The Impact of Electronic Payments on Economic Growth" Feb 2013.

Moody's Analytics-ის მიერ შესწავლილ იქნა 56 ქვეყანის (რომელთა ჯამური მშპ შეადგენს მსოფლიო მშპ-ს 93%-ს) ხუთი წლის მონაცემები (2008-დან 2012 წლამდე პერიოდის). დაადგინეს, რომ: ა) ელექტრონული გადახდის ფართო გამოყენებამ გამოიწვია დანამატი მშპ-ში \$ 983 მილიარდის ოდენობით (რეალურ აშშ დოლარში); ბ) ბარათების გამოყენებამ გაზარდა მოხმარება საშუალოდ 0,7%-ით; გ) ამ მოხმარებამ შეუწყო ხელი მშპ-ს დამატებით ზრდას საშუალოდ 0.17 პროცენტული პუნქტით წელიწადში. ასევე აღნიშნავენ, რომ რეალური გლობალური მშპ-ს ზრდა საშუალოდ 1.8% იყო ამ პერიოდში. ბარათების გამოყენების ზრდის გარეშე, აღნიშნული ზრდა 1.6% იქნებოდა. აქვე აღნიშნულია, რომ ბარათების გამოყენებას უფრო დიდი წვლილი შეაქვს განვითარებადი ქვეყნების მშპ-ში; კერძოდ, დამატებითი 0.8%, ხოლო განვითარებულ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 0.3%-ია. (Moody's Analytics 2013, გვ. 3)

3. ბრაზილიის ცენტრალური ბანკის კვლევის მიხედვით, ყველა ტიპის ინსტრუმენტით გადახდის განხორციელების ჯამური წლიური ხარჯი წარმოადგენს ქვეყნის მშპ-ს დაახლოებით 3%-ს ქვეყნის მშპ-ს 3%-ს და სრული მიგრაცია გადახდის ქალაქის ინსტრუმენტებიდან ელექტრონულ ინსტრუმენტებზე გამოიწვევს დანაზოგს მშპ-ს 1%-ის ოდენობით (Summers 2012, გვ. 145).

4. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების შეფასებით, ნაღდი ფულის მართვის ხარჯები დაახლოებით მშპ-ს დაახლოებით 0.29%-დან 2.23%-ს შეადგენს. (Summers 2012, გვ. 146)

5. ნიდერლანდების ცენტრალური ბანკის (DNB) კვლევამ აჩვენა, რომ ელექტრონული გადახდები არის ნაკლებ ხარჯიანი, ვიდრე ნაღდი ფულის გამოყენება გადახდებისთვის და 1990-2004 პერიოდისთვის ნაღდი ფულის ჩანაცვლებამ საგადახდო ბარათებით, საცალო გადახდების მთლიანი ხარჯები 6%-ით შემამცირა. (Summers, 2012 გვ.145-146)

32. საგადახდო სისტემების უფროსი სპეციალისტი, მსოფლიო ბანკი

33. 2012 წლამდე იყო საგადახდო სისტემების უფროსი სპეციალისტი, მსოფლიო ბანკი

34. ჩანართში N1 (საცალო გადახდების გავლენა ეკონომიკაზე (კვლევების შედეგები)), მოყვანილია იმ კვლევების შედეგებიც, რომლებზეც ეყრდნობიან მოცემული სტატიის ავტორები.



ნაღდი ფულითა და ქალაქის საგადახდო ინსტრუმენტებით (ჩეკებით) გადახდა დომინირებს ისეთ ქვეყნებში, სადაც ნათლად გამოხატული ალტერნატივა ელექტრონული გადახდებისთვის არ არსებობს (Summers, Natarajan, Baijal 2012, გვ. 146). ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში ჩეკებით გადახდა არ ხორციელდებოდა. მიზეზი შესაძლოა შემდეგი იყოს: პირველ ყოვლისა, როდესაც სხვა ქვეყნებში პოპულარული იყო ჩეკებით გადახდა და არსებობდა შესაბამისი ინფრასტრუქტურა, საბჭოთა ქვეყნებში ასეთი ინსტრუმენტი არ არსებობდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საზოგადოებაში გადახდების მიმართ გაჩენილი მოთხოვნების დაკმაყოფილება პირველ რიგში ხორციელდებოდა ნაღდი ფულის საშუალებით, ხოლო ელექტრონული ფორმის გადახდებისას – საკრედიტო ტრანსფერებით (საბანკო გადარიცხვის საკრედიტო ფორმა), რომელსაც შემდგომში დამატა საგადახდო (ძირითადად, სადებეტო) ბარათები. ჩეკებით ანგარიშსწორება რთული საკლირინგო ინფრასტრუქტურის არსებობას მოითხოვდა. გარდა ამისა, ჩეკების ანგარიშსწორებასთან მაღალი საკომისიო, შესრულების შედარებით დიდი დრო და მაღალი რისკებია დაკავშირებული, რაც აიძულებს ქვეყნებს ჩეკებით ანგარიშსწორების შემცირებისა და გაუქმებისაკენ. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში არჩევანი ბუნებრივად გაკეთდა ნაკლები რისკების მატარებელ ინსტრუმენტებზე (საკრედიტო ტრანსფერებსა და საგადახდო ბარათებზე).

ისეთ ქვეყნებში, სადაც წარმოდგენილია ინფრასტრუქტურა ელექტრონული გადახდებისთვის, მაგრამ მაინც დომინირებს ნაღდი ფულით გადახდები, მნიშვნელოვანია ეფექტიანი ხელშემწყობი სტრატეგიის არსებობა მომხმარებელთა ცნობიერების ამაღლებისთვის და მათ მიერ ელექტრონული ინსტრუმენტების გამოყენების წახალისებითვის; ეს კი თავის მხრივ, ხელს უწყობს საგადახდო ინსტრუმენტების მიმართ ნდობის გამყარებას (Summers, Natarajan, Baijal 2012, გვ. 146).

არსებობს კვლევები, რომლებიც ელექტრონულ (უნაღდო) გადახდებსა და ჩრდილოვანი ეკონომიკის ურთიერთკავშირს ეხება. კერძოდ, A.T. Kearney, Inc.-ის პუბლიკაციაში „ჩრდილოვანი ეკონომიკა ევროპაში“ (A.T. Kearney Inc, 2010 და A.T. Kearney-Inc, 2013) ქვეყნების ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი (მშპ-ს %) შედარებულია ერთ სულ მოსახლეზე

განხორციელებული ელექტრონული გადახდების რაოდენობასთან, რის საფუძველზეც აღმოაჩინეს ძლიერი კორელაცია ამ ორ მაჩვენებელს შორის; კერძოდ, რაც უფრო მეტია ქვეყანაში ელექტრონული გადახდები, მით უფრო ნაკლებია ჩრდილოვანი ეკონომიკა. პროფესორი ფრიდრიხ შნაიდერის³⁵ კვლევით დადგენილია, რომ სულ მცირე ზედიზედ 4 წლის განმავლობაში ელექტრონული გადახდების წლიურად 10%-ით ზრდას შეუძლია გამოიწვიოს ჩრდილოვანი ეკონომიკის მაჩვენებლის 5%-ით შემცირება (A.T. Kearney, Inc 2013). ჩრდილოვანი ტრანზაქციების შესამცირებლად ქვეყნების მიერ გატარებული ღონისძიებების განხილვის შედეგად, აღმოაჩინეს მნიშვნელოვანი შედეგები როგორც განვითარებად, ისე განვითარებულ ქვეყნებში³⁶, რომელიც მოჰყვა ელექტრონული გადახდების წახალისების მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებს. ჩრდილოვანი ეკონომიკის შესამცირებლად გატარებული ღონისძიებები კვლევაში ორ მიმართულებად არის სტრუქტურირებული: 1) პირდაპირი ღონისძიებები ჩრდილოვანი ეკონომიკის შესამცირებლად, რომლებიც ისტორიულად პრიორიტეტულ მექანიზმებად მიიჩნეოდა ქვეყნების მიერ. ასეთი ღონისძიებებია სპეციალური წესების, კონტროლისა და სანქციის მექანიზმების შემოღება, ბიუროკრატიის შემცირება, გადასახადების გამარტივება. ამ ტიპის ღონისძიებების განხილვა მოცემულ სტატიაში არ განხორციელდება სტატიის თემიდან გამომდინარე. 2) მეორე კატეგორიის ღონისძიებები ერთიანდება სახელწოდებით „ნაღდი ფულის ჩანაცვლება“, რომლებიც უფრო კომპლექსური/რთული პროცესებია, ვინაიდან მომხმარებლის ქცევის ცვლილებასთან არის დაკავშირებული და ამავე დროს ამ პროცესებში განსხვავებული სუბიექტებია (სახელმწიფო, ბანკები, საგადახდო მომსახურების პროვაიდერები, სავაჭრო/მომსახურების ობიექტები) ჩართული. „ნაღდი ფულის ჩანაცვლების“ ღონისძიებებს მიაკუთვნეს:

ა) ნაღდი ფულის გამოყენების დემოტივაცია;

ნაღდ ფულთან თავისუფალი წვდომა, კერძოდ, ბანკომატებიდან უფასოდ (საკომისიოს გარეშე) თანხის გამოტანა, ანელებს ელექტრონულ გადახდებზე გადასვლის პროცესს. ბანკომატის საკომისიოს არ არსებობა იწვევს ნაღდი ფულის შეუფერხებელ გატანას ბანკომატიდან და შესაბამისად ნაღდი ფულით გადახდებს სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში. ნაღდის გატანაზე საკომისიოს არ არსებობა აღიქმება როგორც უპირატესობა „ნაღდის“

35. Friedrich Schneider, PhD, University of Linz, Austria - Seemoreat: http://www.atkearney.com/financial-institutions/featured-article/-/asset_publisher/8lucAqMqEhB/content/the-shadow-economy-in-europe-2013/10192#sthash.tmfVSlAM.dpuf
 36. იხ. ჩანართი N3 - ელექტრონული გადახდების წახალისების მიზნით ქვეყნებში გატარებული ღონისძიებები

სასარგებლოდ და ყალიბდება მცდარი წარმოდგენა რომ „ნაღდი ფული არის უფასო“ (A.T. Kearney, Inc 2013).

ბ) ბარათების მიმღები მოწყობილობების ქსელის (პოს-ტერმინალების ქსელის) გაფართოება;

ელექტრონული გადახდების დანერგვაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს საგადახდო ინფრასტრუქტურაზე თავისუფალ წვდომას (Summers, Nataraian, Baijal 2012, გვ. 146). მსოფლიო ბანკი, კვლევის საფუძველზე, ასევე ასახელებს პოს-ტერმინალების სიმცირეს ელექტრონული გადახდების სიმცირის ერთ-ერთ მიზეზად (იხ. დაწვრილებით ქვემოთ).

ქვეყნებში იქმნება პროექტები, რომელთა მიზანი არის ქვეყანაში ბარათის მიმღები მოწყობილობების ქსელის გაფართოება და ძირითადად გამიზნულია მცირე და საშუალო ზომის საცალო ობიექტების აღჭურვაზე ამ მოწყობილობებით (იხ. პოლონეთის და მექსიკის მაგალითები ჩანართში N3)

გ) პოს-გადახდების³⁷ წახალისება;

მომხმარებლის მიერ ბარათების გამოყენების სტიმულირება არის მარტივი გზა მათი ჩვევის შესაცვლელად. მსოფლიოში არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, მომხმარებლის სტიმულირების საშუალებებია სხვადასხვა ტიპის გათამაშება/ლატარეის ორგანიზება (მაგ. მექსიკა. იხ. ჩანართი N3), ასევე, ცნობილია სამხრეთ კორეის მაგალითი, სადაც საგადასახადო ორგანო მომხმარებელს ბარათით განხორციელებული გადახდებიდან გარკვეულ თანხას უბრუნებდა (იხ. ჩანართი N3).

სავაჭრო ობიექტებისა და პროვაიდერების (ბანკების) წახალისება, რომლებიც უზრუნველყოფენ პოს-ტერმინალების ქსელის გაფართოებას, ხორციელდება ძირითადად საგადასახადო შეღავათების დაწესებით (იხ. ჩანართი N3).

ვარაუდობენ, რომ სავაჭრო ობიექტის მიერ პოს-ტერმინალებით გადახდებზე მომხმარებლისთვის საკომისიოს დაწესება, გავლენას მოახდენს მომხმარებლის არჩევანზე ნაღდი ფულის სასარგებლოდ, ამიტომ წარმოადგენს რისკს იმ ქვეყნებისთვის, სადაც ბარათებით გადახდის ოპერაციები ნაკლებად არის დანერგილი. ევროპის უმეტეს ქვეყანაში, საგადახდო მომსახურების დირექტივის დანერგვისას, აიკრძალა

ბარათებით გადახდებზე მომხმარებლისთვის საკომისიოს დაწესება (A.T. Kearney, Inc 2013).

დ) ელექტრონული გადახდების ზრდა;

ელექტრონული გადახდების დანერგვის პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობს სახელმწიფო, როგორც უმსხვილესი ინიციატორი და მიმღები გადახდებისა. მისი გადასვლა ელექტრონულ გადახდებზე, მნიშვნელოვნად გაზრდის ქვეყანაში ელექტრონული გადახდების წილს.

ამ მიმართულებით საქართველოში სახელმწიფოს მიერ მნიშვნელოვანი ნაბიჯები იქნა გადადგმული; კერძოდ, ძირითადი გადახდები (ხელფასები საჯარო მოსამსახურეებზე, პენსიები და სხვა) და ასევე შემოსავლები (გადასახადები და სხვა) ელექტრონული გადახდების სახით ხორციელდება და უდავოა რომ მნიშვნელოვნად იმოქმედა ქვეყანაში ელექტრონული გადახდების სტატისტიკაზე. რუმინეთში შეიქმნა ეროვნული სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ბარათების საშუალებით პოს-ტერმინალით და ონლაინ საშუალებებით გადასახადების გადახდას, რამაც გამოიწვია ბარათების საშუალებით გადასახადების გადახდის წლიური 34%-იანი ზრდა.

ევროპაში ფართოდ გამოიყენება ლიმიტების დაწესება ნაღდი ფულის ტრანზაქციებზე. ლიმიტები ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია; თუმცა შეიმჩნევა დაწესებული ზედა ზღვრის ოდენობის შემცირების ტენდენცია (იხ. ჩანართი N3). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნაღდი ფულის ოპერაციებზე დაწესებული შეზღუდვების შესრულების კონტროლი სახელმწიფოს მხრიდან რთულია (A.T. Kearney, Inc 2013).

ე) ნაღდი ფულის დეპონირების წახალისება;

ზოგ ქვეყანაში (ბრაზილია, ისრაელი) ანგარიშზე თანხის შეტანის ოპერაციაზე დაწესებულია საკომისიო. უფასოდ ანგარიშზე შეტანა, დეპონირების საშუალება ბანკომატების მეშვეობით და მიზიდველი საპროცენტო სარგებელი ხელს უწყობს ნაღდი ფულის ბანკებში შედინებას (A.T. Kearney, Inc 2013). ამ კუთხითაც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ბაზრისთვის არ არის დამახასიათებელი მომხმარებლებისგან ნაღდი ფულის შეტანაზე საკომისიოების დაწესების პრაქტიკა.

37. ბარათის საშუალებით სავაჭრო/მომსახურების ობიექტში განხორციელებული გადახდა.



ჩანართი N3. ელექტრონული გადახდების წახალისების მიზნით სხვადასხვა ქვეყანაში გატარებული ღონისძიებები

2003 წელს **მექსიკაში** შეიქმნა ფონდი (FIMPE³⁸), რომლითაც დაფინანსდა მცირე და საშუალო ზომის მაღაზიების აღჭურვა პოს-ტერმინალებით. აღნიშნულმა პროექტმა 5 წლის განმავლობაში პოს-ტერმინალების 200%-იანი ზრდა, ხოლო ტრანზაქციების 300%-იანი ზრდა გამოიწვია. (A.T. Kearney, Inc 2010, გვ 8; A. T. Kearney, Inc 2013, გვ 17; WB 2008, გვ.xxvii). უნდა აღინიშნოს, რომ ამ პროექტის პარალელურად მიმდინარეობდა ლატარეა „BOLETAZO“, რომლის მიზანი სავაჭრო ობიექტებში ბარათებით გადახდებზე მომხმარებლების წახალისება იყო. დაუზუსტებელი ინფორმაციით, გათამაშებული იყო 3000-ზე მეტი ავტომატქანა.

მექსიკაში გატარებული ღონისძიების ინიციატორი ქვეყნის მთავრობა იყო, რომელმაც თავის მხრივ მოტივაცია შეუქმნა ბანკებს პოს-ტერმინალების ქსელის გაფართოებაზე მცირე და საშუალო სავაჭრო ობიექტებში, მათთვის ფისკალური სარგებლის დაწესების გზით. ამავე დროს, მექსიკის ცენტრალურმა ბანკმა (Bank of Mexico) შეისწავლა ბაზარზე სავაჭრო ობიექტებისთვის ბანკების მიერ დადგენილი პოს-ტერმინალის მომსახურების ტარიფი, რომელიც საკმაოდ მაღალი იყო, განსაკუთრებით მცირე მოვაჭრეებისთვის. უფლებამოსილების ფარგლებში ბანკებთან კომუნიკაციის შედეგად, ცენტრალურმა ბანკმა მიაღწია ურთიერთგაცვლის³⁹ საკომისიოს დაწევას, რამაც თავის მხრივ გამოიწვია სავაჭრო ობიექტის პოს-ტერმინალის მომსახურების საკომისიოს შემცირებაც. აღნიშნულმა კოორდინირებულმა ქმედებამ გამოიწვია იმ სავაჭრო ობიექტების რაოდენობის სწრაფი ზრდა, რომლებიც იღებდნენ გადახდებს ბარათების საშუალებით (პოს-ტერმინალების რაოდენობა 140 ათასიდან გაიზარდა 550 ათასამდე) (Summers, Medina-Alvarez 2012, გვ. 335);

2010 წელს **პოლონეთში** ვიზა-პოლონეთის აღმასრულებელი კომიტეტის ინიციატივით დაიგეგმა პოლონეთის ბარათების მიმღები მოწყობილობების გაორმაგება. ეს პროექტი დაფინანსდა ვიზა-პოლონეთის წევრების მიერ და ორიენტირებული იყო მცირე ქალაქებსა და სოფლებში საშუალო ზომის საცალო მომსახურების/ვაჭრობის ობიექტებში ვიზას და სხვა სისტემების ბარათების მიმღები ქსელის გაფართოებაზე, ასევე არსებული პოს-ტერმინალების მოდერნიზაციაზე. ინიციატივას დიდი წარმატება ჰქონდა. 120 000 ახალი პოს-ტერმინალი იყო რეგისტრირებული, უმეტესად ისეთ ობიექტებში, სადაც გადახდები ნაღდი ფულით ხორციელდებოდა; მაგალითად, კვების ობიექტები, სასტუმროები და სხვა. აღნიშნული პროგრამის დანერგვის შემდეგ (2010 წლიდან 2013 წლამდე) პოლონეთში ჩრდილოვანი ეკონომიკა შემცირდა 26%-დან 23.8%-მდე. რა თქმა უნდა ამ შემცირებაზე სხვა ბევრი ფაქტორიც მოქმედებდა, მაგრამ უდავოა გატარებულმა ღონისძიებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა დიდი ქალაქების ფარგლებს გარეთ ნაღდი ფულის შემცირებაში (A.T. Kearney, Inc 2013).

ბელგიაში პოს-ტერმინალებით აღიჭურვა დიდი სატრანსპორტო კომპანიების ტაქსები. აღნიშნული სექტორი ჩრდილოვანი ეკონომიკით ხასიათდება, თუმცა ვინაიდან პროექტი მიმდინარეობს სტადიაზე შედეგები არ არსებობს. საინტერესოა პროექტის შედეგების გაცნობა.

კოლუმბიაში და **არგენტინაში** დაწესდა საგადასახლო შეღავათი ბარათების საშუალებით განხორციელებულ საცალო შესყიდვებზე. კერძოდ, ბარათის საშუალებით გაყიდულ საქონელზე დღგ შემცირდა 5%-ული პუნქტით (21%-დან) არგენტინაში (2002 წლიდან), ხოლო კოლუმბიაში 2%-ული ერთეულით (16%-დან) (2004 წლიდან).

სამხრეთ კორეაში (1999 წლიდან) საგადასახლო ორგანომ შესთავაზა თავის მოსახლეობას ერთჯერადი გადახდის სახით გარკვეული თანხის დაბრუნება, თუ საკრედიტო ბარათების გამოყენებით შესრულებული ტრანზაქციების თანხა გადააჭარბებდა მათ მიერ მიღებული „გროსს“ შემოსავლის 20%-ს, ხოლო სადებეტო ბარათით განხორციელებული თანხა კი – შემოსავლის 25%-ს. თუ სამხრეთ კორეაში

38. The Electronic Payment In frastructure Fund (Fondode Infraestructurade Mediosde Pago Electronicos (FIMPE))

39. საკომისიო, რომელსაც უხრის პოს-ტერმინალის მომსახურე ბანკი (ექვიპირერი) ბარათის გამომშვებ ბანკს.

1990-იანი წლების დასაწყისში საბარათე ტრანზაქციები კერძო მოხმარების ხარჯების 5% იყო, 2000 წელს ამ მაჩვენებელმა 25%-ს, ხოლო 2009 წელს 50%-ს მიაღწია.

იტალიაში, ბულგარეთში, დანიაში, საფრანგეთში, საბერძნეთში, რუმინეთში, სლოვაკეთსა და ესპანეთში დაწესებულია ლიმიტი ნაღდი ფულით დასაშვებ ოპერაციაზე. იგი მკვეთრად განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით და 2012 წლის მდგომარეობით მერყეობს 1000 ევროდან 15 ათას ევრომდე თითო ოპერაციაზე.

შვედეთში მნიშვნელოვანი ძვრები შეიმჩნევა ნაღდი ფულის გაუქმების მიმართულებით. ბევრი ბარი არ იღებს ნაღდ ფულს; ბილეთები იყიდება ტექსტური მესიჯის ან უკონტაქტო ტექნიკურ-პროგრამული საშუალებების გამოყენებით; ბიზნესის მზარდი რაოდენობა იღებს მხოლოდ ბარათით გადახდებს; სამი დიდი ბანკის 780 ფილიალიდან 530 ფილიალი არ აწარმოებს ოპერაციებს ნაღდი ფულით. ქვეყნის სიდიდით მე-4 ქალაქში – უფსალაში სავაჭრო ობიექტებს ასწავლიან თუ როგორ აარიდონ თავი ნაღდ ფულს, აღნიშნული კი ზოგადი პროგრამის – როგორ გაუქმდეს ნაღდი ფული ქალაქში – ნაწილია. (A.T. Kearney, Inc 2013).

სტატიაში „ინოვაციები საცალო გადახდებში“ ასევე აღნიშნულია, რომ ნაღდი ფულიდან ელექტრონულ ინსტრუმენტებზე გადასვლის ხელშემწყობ გარემოებად მიიჩნევა, თუ რამდენად აკმაყოფილებს ელექტრონული ინსტრუმენტი მომხმარებლის მოთხოვნებს გადახდების განხორციელებისას (Summers, Natarajan, Baijal 2012, გვ. 146), სხვაგვარად რომ ვთქვათ რამდენად კომფორტულია მომხმარებლისთვის ინსტრუმენტი სხვადასხვა ტიპის გადახდების განხორციელებისას. კომფორტს უზრუნველყოფს ფულად სახსრებთან წვდომის მოხერხებულობა (ბარათი, ინტერნეტ-ბანკინგი, მობილური ბანკინგი), გადახდის ოპერაციის შესრულების სიმარტივე და ფასი.

მსოფლიო ბანკის 2010 წლის კვლევის შედეგების საფუძველზე, ქვეყნებში უნაღდო გადახდების დაბალი დონის გამომწვევ მიზეზებად დასახელდა: ა) უნაღდო გადახდების ინიცირებისა და მიწოდების არსების ქსელის განვითარების დაბალი დონე (მაგ. პოს-ტერმინალების სიმცირე, რომელსაც თან ერთვის არსებული ინფრასტრუქტურის დაბალი ურთიერთკავშირი⁴⁰); ბ) განვითარებად ქვეყნებში მოსახლეობის თანამედროვე საგადახდო ინსტრუმენტებზე თავისუფალი წვდომის არ არსებობა, განსაკუთრებით ურბანული ზონების ფარგლებს გარეთ; გ) საბანკო ინსტიტუტებს შორის, ზოგ შემ-

თხვევებში ბანკებსა და სხვა საგადახდო მომსახურების პროვაიდერებს შორის, კონკურენციის დაბალი დონე, რაც იწვევს მაღალ ფასებსა და მომსახურების ლიმიტირებულ გავრცელებას; დ) ეროვნული საგადახდო სისტემების რეფორმების დროს სახელმწიფოს, როგორც გადახდების ერთ-ერთი ძირითადი ორიგინატორის/ინიციატორის და მიმღების, ან/და კომუნალური მომსახურების კომპანიების ან სხვა მსხვილი კომერციული კომპანიების მოთხოვნების გაუთვალისწინებლობა, რამაც შედეგად გამოიღო აღნიშნული პირების მიერ ნაღდი გადახდებისადმი უპირატესობის მინიჭება.

საქართველოში ელექტრონული (უნაღდო) გადახდების, კერძოდ კი, ბარათებით გადახდების ზრდის ხელშემწყობი მიზეზების დასადგენად და იმის დასაზუსტებლად, თუ ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზებიდან რომელი შეიძლება ჩაითვალოს საქართველოსთვის რელევანტურად, აუცილებელია ძირეული კვლევების ჩატარება. თუმცა, მოსალოდნელია, რომ მომხმარებელთა ცნობიერების ამაღლებისა (ფინანსური განათლება) და მათ მიერ ელექტრონული ინსტრუმენტების გამოყენების წახალისების მიზნით დაგეგმილმა ღონისძიებებმა, დააჩქაროს ქვეყანაში უნაღდო გადახდების ზრდის ტემპი, როგორც ეს სხვა ქვეყნების მაგალითზე მოხდა.

40. „ინფრასტრუქტურის ურთიერთკავშირი“ არ შემოიფარგლება მხოლოდ ინფრასტრუქტურის ტექნიკური ურთიერთკავშირით, არამედ ასევე მოიცავს, მაგ. ისეთ სატარიფო პოლიტიკას, რომელიც ხელს უწყობს (ან არ აბრკოლებს) ინფრასტრუქტურის ცალკეულ კომპონენტებს შორის ურთიერთკავშირს.



დასკვნა

შევვიძლია დავასკვნათ, რომ საგადახდო სისტემა ემსახურება შინაარსობრივად მრავალფეროვანი ტრანზაქციების შესრულებას; დაწყებული, ფიზიკურ პირებს შორის გადახდებითა და ხელფასის მიღებით და დამთავრებული, ფინანსური ბაზრებისა და ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის ფარგლებში განხორციელებული ოპერაციებით. სტატიაში მოყვანილი მოსაზრებებიდან გამომდინარე, წარმოდგენელია დღევანდელი ეკონომიკის არსებობა დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემის არსებობის გარეშე, ასევე

მომხმარებელთა მიერ გადახდების მიმართ მოთხოვნების დაკმაყოფილება საცალო საგადახდო სისტემებისა და ინსტრუმენტების (როგორცაა საკრედიტო გადარიცხვა (ე.წ. საბანკო გადარიცხვა) და საგადახდო ბარათი) გარეშე. სტატიაში მოყვანილი ელექტრონული გადახდების ზრდისა და ნაღდი ფულის შემცირების სარგებლიდან გამომდინარე, ასევე გასათვალისწინებელია სხვა ქვეყნების მიერ ელექტრონული გადახდების ზრდის ხელშეწყობის მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები.



ლიტერატურა:

- [1] A.T. KearneyInc, Friedrich Schneider 2010, The Shadow Economy in Europe, <http://media.hotnews.ro/media_server1/document-2011-05-8-8602544-0-shadow.pdf>
- [2] A.T. KearneyInc, Friedrich Schneider 2013, The Shadow Economy in Europe, <<http://www.atkearney.com/documents/10192/1743816/The+Shadow+Economy+in+Europe+2013.pdf/42062924-fac2-4c2c-ad8b-0c02e117e428>>
- [3] Bank of England 2000, Oversight of Payment Systems, <<http://www.bankofengland.co.uk/publications/Documents/psor/ops.pdf>>
- [4] BIS 2003, CPSS - A Glossary of terms used in payments and settlement systems, <<http://www.bis.org/cpmi/publ/d00b.pdf>>
- [5] BIS, about the CPML, <<http://www.bis.org/cpmi/info.htm>>
- [6] BIS, Principles for Financial Market Infrastructures, <http://www.bis.org/cpmi/info_pfmi.htm>
- [7] BIS, Real Time Gross Settlement System, <<http://www.bis.org/cpmi/publ/d22.pdf>>
- [8] CPSS 2006, General Guidance for National Payment System Development, BIS publications, <<http://www.bis.org/cpmi/publ/d70.pdf>>
- [9] CPSS 2005, Central Bank Oversight of Payment and Settlement System, <<http://www.bis.org/cpmi/publ/d68.pdf>>
- [10] ECB 2009, Glossary of Terms related to Payment, Clearing and Settlement Systems, <<https://www.ecb.europa.eu/pub/pdf/other/glossaryrelatedtopaymentclearingandsettlementsystems.en.pdf>>
- [11] FIMPE 2007, ExploringFrontiers in PaymentsSystemsDevelopment, <https://www.google.com/url?sa=t&rc=j&q=&esrc=s&source=web&cd=1&ved=0CB4QFjAA&url=http%3A%2F%2Finfo.worldbank.org%2Fetools%2Fdocs%2Flibrary%2F240775%2FFIMPE-WB%252031-05-07.ppt&ei=wK10VJW_KcbCywOf_IkWD&usq=AFQjCNGBU9wM6i6v08qJ5QCO7a76pXfLSA&bvm=bv.80185997,d.ZGU&cad=rjt>
- [12] FSB, Key Standards for Sound Financial Systems, <http://www.financialstabilityboard.org/cos/key_standards.htm>
- [13] Kokkola Tom, 2010, The Payment System, ECB publication<
- [14] NY FED, Fedwire® and National Settlement Services, <<http://www.ny.frb.org/aboutthefed/fedpoint/fed43.html>>
- [15] Payments News, Visa Spotlights Payment Card Incentive Programs, <http://www.paymentsnews.com/2006/05/visa_spotlights.html>
- [16] SchneiderFriedrich, BuehnAndreas, MontenegroClaudio E. 2010, ShadowEconomiesAll over the World, <<https://openknowledge.worldbank.org/bitstream/handle/10986/3928/WPS5356.pdf?sequence=1>>
- [17] Summers Bruce J. 2012, Payment Systems: Design, Governance, Oversight, Central Banking Publication a division of Incisive Financial Publishing Ltd, Incisive Media, London
- [18] TrichetJean-Claude, 2010, The Payment System, Foreword, ECB publication>
- [19] WB 2008, Balancing Cooperation and Competition in Retail Payment Systems, <https://www.ecb.europa.eu/events/pdf/conferences/integr_innov/PolicyBrief_CooperationCompetitionRetailPayments_1.pdf?4478a4df130cb9cb23190e511664171a>
- [20] WB 2010, Payment Systems Worldwide Global Payment Systems Survey - Appendix, <<http://web.worldbank.org/WBSITE/EXTERNAL/TOPICS/EXTFINANCIALSECTOR/0,,contentMDK:22211642~pagePK:210058~piPK:210062~theSitePK:282885,00.html>>
- [21] WB 2010, Payment Systems Worldwide Global Payment Systems Survey, <<http://web.worldbank.org/WBSITE/EXTERNAL/TOPICS/EXTFINANCIALSECTOR/0,,contentMDK:22211642~pagePK:210058~piPK:210062~theSitePK:282885,00.html>>
- [22] ZandiMark, Virendra Singh, JustinIrving, Moodys' Analitics 2013, The Impact of Electronic Payments on Economic Growth, <http://usa.visa.com/download/corporate/_media/moodys-economy-white-paper-feb-2013.pdf>
- [23] ZandiMark, VirendraSingh, Moodys' Analitics 2010, The ImpactofElectronicPaymentsonEconomicGrowth, <<http://betterthancash.org/wp-content/uploads/2012/09/Moodys-WhitePaper-March-2010-Cards-contribute-to-GDP.pdf>>
- [24] საქართველოს ეროვნული ბანკი, დროისრეალურეჭიმშიანგარიშსწორებისსისტემა (RTGS), <<https://www.nbg.gov.ge/index.php?m=204>>
- [25] საქართველოს ეროვნული ბანკი, საგადახდო სისტემების განვითარების მიმოხილვა, <<https://www.nbg.gov.ge/index.php?m=202>>
- [26] საქართველოს ეროვნული ბანკი,სიახლეები, <<https://www.nbg.gov.ge/index.php?m=336>>
- [27] საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, საგადახდო სისტემის და საგადახდო მომსახურების შესახებ საქართველოს კანონი, <https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=1673253&lang=ge>
- [28] საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, საქართველოს საგადასახდო კოდექსი, <https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=1043717&lang=ge>



ქეთევან ნადირაშვილი

რისკების ცენტრალური მართვის დეპარტამენტის უფროსის
მოადგილე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბიზნესის ფაკულტეტის დოცენტობა

დიმიტრი ჯაფარიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის
კვლევის ცენტრი დირექტორი

ანდრე დე ვაალი

მაასტრიხტის მენეჯმენტის სკოლის დირექტორი, მაღალი
პერფორმანსის ორგანიზაციების ცენტრის დირექტორი

მაღალი პერფორმანსის მქონე ორგანიზაციები საქართველოს საბანკო სექტორში

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ორგანიზაციების შეფასებისა და მენეჯმენტის ლიტერატურაში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო იმ მაჩვენებლებისა და მახასიათებლების შესწავლას, რომლებიც განაპირობებენ ორგანიზაციების მაღალ პერფორმანსს¹.

ზოგადად, ადამიანები, ორგანიზაციული სტრუქტურა, დიზაინი, კულტურა, შიდა პროცესები, ტექნოლოგიები, გარემო ფაქტორები და კიდევ მრავალი სხვა, წარმოადგენენ სწორედ იმ ფაქტორებს, რომლებიც განსაზღვრავენ ორგანიზაციების წარმატებას. თუმცა, მრავალი ნაშრომი, კვლევა თუ წიგნი მიეძღვნა ამ საკითხის უფრო დეტალურად შესწავლას და იმის დაზუსტებას, თუ კონკრეტულად რომელი ფაქტორები ეხმარებიან ორგანიზაციებს ასეთი განსაკუთრებული სტატუსის მიღწევაში.

წინამდებარე სტატიაში გაანალიზებულია ქართული საბანკო სისტემა მაღალი პერფორმანსის მქონე ორგანიზაციების ჭრილში. ანალიზი დაფუძნებულია მაასტრიხტის მენეჯმენტის სკოლის პროფესორ ანდრე დე ვაალის მიერ შემუშავებულ ჩარჩოზე – „მაღალი პერფორმანსის ორგანიზაციების ჩარჩო“, რომელიც მენეჯმენტისა და პერფორმანსის შეფასების თეორიაში მიჩნეულია მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯად. აღნიშნული ნაშრომი ეფუძნება ძალიან დიდი რაოდენობის პრაქტიკულ ქეისებს და ასევე იმ მნიშვნელოვან თეორიულ მიღწევებს, რომლებიც მოპოვებულია ამ სფეროში ბოლო 30

წლის განმავლობაში. მოდელი უნიკალურია იქიდან გამომდინარე, რომ ის არ წარმოადგენს ინსტრუქციას ან მითითებების ჩამონათვალს, თუ როგორ უნდა იქნას მიღწეული ორგანიზაციებში მაღალი პერფორმანსი. არამედ, მისი მთავარი მახასიათებელი არის ის რომ, იგი წარმოადგენს გარკვეულწილად შეფასების ინსტრუმენტს მენეჯერებისათვის. ის ძალიან მოქნილია და შესაბამისად ადვილად მორგებადი ნებისმიერი ტიპის ორგანიზაციისათვის.

ამ ტიპის კვლევა საკმაოდ საინტერესო უნდა იყოს როგორც პროფესიონალთა ვიწრო წრისათვის, ისე მკითხველთა ფართო სპექტრისთვისაც. წინამდებარე კვლევის მიზანია შეისწავლოს, თუ რამდენად არიან ქართულ კომერციულ ბანკებს შორის წარმოდგენილი მაღალი პერფორმანსის მქონე ორგანიზაციები. ამასთანავე, სასარგებლო იქნება სწორედ ამ მახასიათებლების გამოვლა რაოდენობრივი პარამეტრების ჭრილში. აღსანიშნავია, რომ ანალოგიური ხასიათის კვლევა ჯერ არ ჩატარებულა საქართველოში; შესაბამისად, მნიშვნელოვანია მისი განხორციელება, შემდგომში დანერგვა და პრაქტიკულ საქმიანობაში ინტეგრირება, როგორც სახელმწიფო, ასევე, კერძო სექტორში.

საყურადღებოა, რომ წინამდებარე კვლევის თანავტორს წარმოადგენს სწორედ ამ მეთოდოლოგიის ავტორი – მაასტრიხტის მენეჯმენტის სკოლის პროფესორი ანდრე დე ვაალი.

1. მაღალი პერფორმანსის მქონე ორგანიზაცია, High Performance Organization (HPO)-ტერმინი დამკვიდრებულია ბოლო 2 ათეული წელიწადია. ტერმინი გულისხმობს ისეთ მიღწევებს, როგორცაა კარგი ფინანსური შედეგები, ძლიერი ხელმძღვანელობა, ინოვაცია, მომხმარებელთა კმაყოფილება, თანამშრომელთა მოტივაცია და ა.შ. სხვადასხვა ავტორის მიერ მოწოდებული განმარტებები იხ. სტატიაში.



1. ლიტერატურის მიმოხილვა

თ. პიტერსი და რ. ჰ. ვოტერმანი იყვნენ ერთ-ერთი პირველები, რომლებიც დაინტერესდნენ იმ ფაქტორების შესწავლით, რომლებიც კომპანიების წარმატებას განაპირობებდნენ. წიგნი- „ბრწყინვალეების ძიებაში“ გამოიცა 1982 წელს და დღემდე რჩება ერთ-ერთ მოთხოვნად ნაშრომად ბიზნეს გარემოში. ავტორები საკონსულტაციო საქმიანობას ეწეოდნენ კომპანია „მაქკინზი და კომპანია“ (McKensey & Company)-ში და შესაბამისად მათი კვლევა ჩატარებულ იქნა 62 კლიენტ ორგანიზაციაში, რომლებიც იმ დროისთვის აშშ-ში წარმატებულ კომპანიებს წარმოადგენდნენ. კვლევის შედეგად მათ დაადგინეს 8 ძირითადი ფაქტორი, რომლებიც განაპირობებენ კომპანიების წარმატებას. კერძოდ:

1. სწრაფი გადაწყვეტილებების მიღება და ბიუროკრატიის დონის შემცირება;
2. კომუნიკაცია მომხმარებელთან;
3. ინოვაციებისა და ექსპერიმენტების წახალისება; ტოლერანტობა შეცდომების მიმართ და თანამშრომელთა ინდივიდუალურობის აღიარება;
4. შრომის ნაყოფიერების ამაღლება თანამშრომლების პატივისცემისა და მათთან პარტნიორული ურთიერთობის დამყარების გზით;
5. მკაფიოდ განსაზღვრული, სწორი ორგანიზაციული ღირებულებების დამკვიდრება;
6. ძირეული საქმიანობის შენარჩუნება, იმავდროულად მზაობა დივერსიფიკაციის მხარდასაჭერად;
7. მოქნილობა და ადვილი ადაპტაცია ცვლილებების მიმართ;
8. მენეჯმენტის ყოველდღიური ჩართულობა მათი პრაქტიკულ საქმიანობაში თანამონაწილეობის გზით;

მიუხედავად წიგნის პოპულარობისა, მას მრავალი კრიტიკოსი გამოუჩნდა. თუმცა, დღეისათვის ნაშრომი კვლავ ინარჩუნებს ერთ-ერთი მოთხოვნილი წიგნის რეპუტაციას ბიზნეს სამყაროში. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ პიტერსისა და ვოტერმანის 8 ფაქტორი იქცა მრავალი მენეჯმენტის მოდელის პლატფორმად, რომელთა შორის განსაკუთრებულ ადგილს იკავებს მაკინზის 7-S მოდელი².

პიტერსისა და ვოტერმანის იდეა გაგრძელდა კოლინსისა და პარასის წიგნში „აშენო გაგრძელებისთვის“ (Collins, Porras,1997). ავტორები

შეეცადნენ მოეხდინათ იმ ფაქტორების იდენტიფიცირება, რომლებიც ორგანიზაციებს გამოარჩევდნენ სხვა მსგავსი ტიპის ორგანიზაციებისგან. კვლევისათვის მათ შეარჩიეს 18 ახლად დაარსებული კომპანია კარგად ჩამოყალიბებული, ძლიერი ხედვით და ისინი იმავე ინდუსტრიაში მოქმედ კომპანიებს შეადარეს.

კვლევის შედეგად, ისინი მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ გამორჩეულ და წარმატებულ კომპანიებს ჰყავთ ქარიზმატული ლიდერები, ისინი ფოკუსირებული არიან მოგების მაქსიმიზაციაზე და კონკურენტების დამარცხებაზე. ამ ნაშრომში განსაკუთრებული აქცენტებია გაკეთებული კომპანიების აგრესიულ სტრატეგიაზე, რომელიც მიმართულია მხოლოდ წარმატებისაკენ და ასევე ქარიზმატული ლიდერების განსაკუთრებულ შესაძლებლობებზე – მათ უნარებზე მოახდინონ ცვლილებები.

უდავოდ საინტერესო ნაშრომს წარმოადგენს კოლინსის შემდგომი კვლევა ანალოგიურ თემაზე. ნაშრომი გვთავაზობს ინდიკატორებს, რომლებიც განაპირობებენ ორგანიზაციების ნახტომისებურ ცვლილებას „კარგიდან საუკეთესოსკენ“ გრძელვადიან პერიოდში (Collins, 2001); ავტორმა შეისწავლა 1435 კომპანიის მონაცემები და დააკვირდა კომპანიების პერფორმანსს ბოლო 40 წლის განმავლობაში. წიგნში მწვავე კრიტიკაა ისეთი მიდგომების მიმართ, როგორებიცაა ცვლილებების წამოწყება მხოლოდ ორგანიზაციის კრიზისის ფაზაში, არამოტივირებული თანამშრომლების გააქტიურება მაღალი ხელფასებისა და პრემიების დაპირებებით, სამსახურიდან დათხოვნის საფრთხით კონკურენტუნარიანობის დამკვიდრება – ანუ შიში იმისა, რომ სხვები უფრო კონკურენტუნარიანები არიან, ისინი წინ მიიწევენ, ხოლო დანარჩენები კი ჩამორჩებიან. ავტორი სკეპტიკურად არის განწყობილი კომპანიების შერწყმისა და გაერთიანების შედეგად მიღწეული გაუმჯობესებული პერფორმანსის მიმართ. იგი აღნიშნავს, რომ გაერთიანება და შერწყმა ნამდვილად არის გზა კომპანიის გაფართოებისთვის, თუმცა ეს არ არის წარმატების საწინდარი. საინტერესოა ავტორის დამოკიდებულება ტექნოლოგიების, როგორც ცვლილებების კატალიზატორის მიმართ. იგი აღიარებს ტექნოლოგიების ძალიან დიდ მნიშვნელობას, თუმცა მოჰყავს არგუმენტები იმის თაობაზე, რომ მაღალი პერფორმანსის ორგანიზაციები არ საჭიროებენ და-

2. მაკინზის 7-S მოდელი-ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება ორგანიზაციის შესაფასებლად, გარკვეული მიზნის მიღწევასთან მიმართებაში; იგი ითვალისწინებს ორგანიზაციის 7 ძირითადი ელემენტის და ორგანიზაციის მიერ დასახული მიზნების თავსებადობას. შემუშავებულია 1980 წელს მაკინზის კონსულტანტების მიერ (Tom Peters, Robert Waterman, Julien Philips, Richard Pascale, Anthony G. Athos).

მატებით სტიმულებს. მათ მუდმივად ჰყავთ თვით-მოტივირებული თანამშრომლები და თავდადებული ლიდერები, რომლებიც მუდმივ რეჟიმში გეგმავენ და ახორციელებენ წარმატებებზე ორიენტირებულ ცვლილებებს. ანუ კოლინსმა აღნიშნულ ნაშრომში წარმოადგინა მოსაზრებები ორგანიზაციის ისეთ კულტურაზე, სადაც ადამიანები მუდმივად მიისწრაფვიან გაუმჯობესებისა და წარმატებისკენ.

პერფორმანსის შეფასებისა და მენეჯმენტის ლიტერატურაში მაღალი ცნობადობით გამოირჩევიან ავტორები ეფშტეინი და ბიკარდი, რომელთა ერთობლივი ნაშრომი „კორპორატიული ანგარიშვალდებულებების გარდაქმნა კონკურენტუნარიან უპირატესობაში“ (1999) აღწერს იმ წარმატების კრიტერიუმებს, რომლებიც მიჯნავენ „წამყვან“ და „თანამდევ“ ინდიკატორებს. მათ წარმოადგინეს კორპორატიული ანგარიშვალდებულების 4 ელემენტი, რომლებიც განაპირობებენ კონკურენტულ უპირატესობას:

1. მენეჯმენტის მაღალი ხარისხი;
2. ფინანსური, საოპერაციო და სოციალური შეფასების სისტემები;
3. გამჭვირვალე ანგარიშგება;
4. მენეჯმენტის სისტემები;

2001 წელს ეფშტეინმა და როიმ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს ისეთ ფაქტორზე, როგორცაა კორპორატიული მდგრადობა. ამის შემდეგ კი, ეფშტეინმა და შნიტსმა გაანალიზეს კორპორატიული მდგრადობის, როგორც ფაქტორის გავლენა ფინანსურ ინდიკატორებზე და დარწმუნდნენ, რომ მათ შორის არსებობს ურთიერთკავშირი. უფრო მეტიც, 1999 წლის აქციების ბაზრის ვარდნის ანალიზის შესწავლის შედეგად, მათ ნახეს, რომ ნეგატიური ზეგავლენა, ბევრად ნაკლებად აისახა მდგრადი და სტაბილური რეპუტაციის მქონე ორგანიზაციებზე.

ყველა ზემოაღნიშნული ფაქტორის და მათ მიმართ დიდი ინტერესის გათვალისწინებით მენეჯმენტისა და პერფორმანსის შეფასებისას ლიტერატურაში გაჩნდა მაღალი პერფორმანსის მქონე ორგანიზაციების განმარტების რამდენიმე ნაირსახეობა:³

- „მაღალი პერფორმანსის მქონე ორგანიზაციას ახასიათებს სტაბილური ზრდა და მისი ფინანსური მაჩვენებლები გრძელვადიან პერიოდში გაცილებით აღემატება მისი კონკურენტი კომპანიის ანალოგიურ მაჩვენებლებს“ (კოლინსი, პორასი

1997; გეუსი, 1997; ბრაუნი და ეისენჰარდი, 1998, ანუნიზიო, 2004).

- „მაღალი პერფორმანსის მქონე ორგანიზაციებს სწრაფი ადაპტაციის უნარი გააჩნიათ“ (კოტერი და ჰესკეტი, 1992; ფოსტერი და კაპლანი, 2001; ანუნიზიო, 2004).
- „მაღალი პერფორმანსის მქონე ორგანიზაციები მყისიერად რეაგირებენ ცვლილებებზე“ (გარატი, 2000; მაკვი, 2004; ლაითი, 2005).
- „მაღალი პერფორმანსის მქონე ორგანიზაციები ორიენტირებული არიან გრძელვადიან პერსპექტივაზე“; (მილერი და ბრეტონ-მილერი 2005; ანდერვუდი, 2004)
- „მაღალი პერფორმანსის მქონე ორგანიზაციის მართვის სისტემები ინტეგრირებულია ორგანიზაციის სტრატეგიასთან, სტრუქტურასთან, პროცესებთან და ყოველივე აღნიშნულს მნიშვნელოვანწილად განაპირობებენ ადამიანური ფაქტორები“ (ჰოდგეტს 1998)
- „მაღალი პერფორმანსის მქონე ორგანიზაცია ფოკუსირებულია მუდმივ გაუმჯობესებაზე და ახალი უნარების შექმნაზე“ (მანზონი 2004)
- „მაღალი პერფორმანსის მქონე ორგანიზაცია დიდ ძალისხმევას იჩენს სამუშაო ადგილებისა და შესაძლებლობების განვითარებაზე“ (ფოსტერი და კაპლანი 2001)

ყველაზე სრულყოფილი განმარტება ფორმულირებულია ანდრე დე ვალის მიერ (2007):

„მაღალი პერფორმანსის მქონე ორგანიზაცია არის ორგანიზაცია, რომელიც აღწევს მაღალ ფინანსურ მაჩვენებლებს თავის კონკურენტებთან შედარებით დროის გრძელვადიან პერიოდში; აქვს უნარი, რომ მოერგოს ნებისმიერი ტიპის ცვლილებას, რეაგირებდეს მყისიერად, რასაც აღწევს ინტეგრირებული მართვის სისტემებით; ასევე საკუთარი უნარების მუდმივი გაუმჯობესებისა და თანამშრომლებთან სამართლიანი ურთიერთობის საფუძველზე“.

მაშასადამე, მიუხედავად განმარტებებისა და მიდგომების მრავალფეროვნებისა, მაღალი პერფორმანსის მქონე ორგანიზაციები ყოველთვის ასოცირდებიან კარგ ფინანსურ მაჩვენებლებთან, კმაყოფილ მომხმარებლებთან და ეფექტურ თანამშრომლებთან. ამ ტიპის ორგანიზაცია ორიენტირებულია ინოვაციებსა და განვითარებაზე გრძელვადიან პერიოდში; ეს ფაქტორები თავსებადი ორგანიზაციის მისიასთან, ხედვასა და ძლიერ ხელ-

3. აღნიშნული განმარტებები მოყვანილია ანდრე დე ვალის ნაშრომში: „მაღალი პერფორმანსის მქონე ორგანიზაციის მახასიათებლები“, გვ.3 (“The Characteristics of High Performance Organization”; Global Professional Publishing LTD, UK 2012




2. მეთოდოლოგია – მაღალი პერფორმანსის მქონე ორგანიზაციის ჩარჩო

მკვლევარმა და შემდგომში ავტორმა ანდრე დე ვაალმა მაღალი პერფორმანსის ორგანიზაციების შესახებ კვლევა 2004 წლამდე არსებული გამოქვეყნებული ლიტერატურის ღრმა ანალიზით დაიწყო. ვინაიდან იმ დროს ხელმისაწვდომი წყაროები წარმოდგენილი იყო, როგორც მეცნიერული შრომებით, ისე პოპულარული სტატიებით. მან ნაშრომების სელექცია შემდეგი

კრიტერიუმებით მოახდინა: 1990 წლის შემდეგ გამოქვეყნებული შრომებიდან აქცენტი გააკეთა უახლეს გამოცდილებაზე; შრომები, რომლებშიც გამოკითხულ იქნა დიდი რაოდენობის რესპოდენტი; და სადაც მკაფიოდ იქნა აღწერილი კვლევის მეთოდები, მიდგომები და დასკვნები. ამ პრინციპით, მან შეარჩია 91 შრომა, რომელთა კომბინირებული ანალიზის შედეგად გამოავლინა ისეთი 8 ფაქტორი, რომლებიც განაპირობებენ ორგანიზაციის წევრების პერფორმანსზე ორიენტირებულ ქცევას და რაც საბოლოო ჯამში აისახება ორგანიზაციის პერფორმანსის მაღალ ხარისხზე. (იხ. ნახაზი 1)

სურათი №1:

8 ფაქტორი, რომლებიც გეგავლენას ახდენენ და განაპირობებენ ორგანიზაციის მაღალ პერფორმანსს
“The Characteristics of a High Performance Organization” - Published in Business Strategy Series, volume 8, number 3, 2007 (Emerald)



2007–2008 წლებში ანდრე დევაალმა კიდევ უფრო გააღრმავა თავისი კვლევა და მოიცვა 280–მდე კომპანია. ამ კომპანიებს შორის მოხვდნენ: „ტოიოტა“, „KLM-ნიდერლანდების სამეფო ავიახაზები“; ვიეტნამის, რუანდის, ნედერლანდების კომერციული ბანკები, აზიის ქვეყნების სასწავლო დაწესებულებები და სახელმწიფო ორგანიზაციები. 8 ფაქტორიდან თითოეულის შესაბამისად გამოვნილილ იქნა ელემენტები, რომელთა კლასიფიკაციისა და მნიშვნელობების ანალიზისა და მათი ორგანიზაციის პერფორმანსთან კორელაციის განსაზღვრის შედეგად გამოიკვეთა ხუთი ძირითადი წარმატების ფაქტორი:

1. მენეჯმენტის ხარისხი;
2. გახსნილობა და ქმედებაზე ორიენტირებულობა;

3. გრძელვადიანი ორიენტაცია;
4. მუდმივი გაუმჯობესება და განახლება;
5. თანამშრომელთა ხარისხი;

მაღალი პერფორმანსის მქონე ორგანიზაციის ჩარჩო დაფუძნებულია ზემოაღნიშნულ ფაქტორების იდენტიფიცირებაზე, რაც ხორციელდება ანდრე დე ვაალის მიერ შემუშავებული კითხვარის საფუძველზე. კითხვარი მოიცავს საკონტროლო კითხვებს, რაც გამოორიცხავს გაცემული პასუხების არასანდოობას.

მნიშვნელოვანია აღნიშნული ფაქტორებისა და ფინანსური მაჩვენებლების ურთიერთდამოკიდებულება; ავტორი მიიჩნევს, რომ მას შემდეგ, რაც ორგანიზაცია მიიღწევს მაღალი პერფორმანსის სტატუსს, მისი მოლოდინი ფინანსურ მაჩვენებლებთან მიმართებაში უნდა იყოს შემდეგი:

ცხრილი №1:

ფინანსური მაჩვენებლების გაუმჯობესების მოლოდინი მაღალი პერფორმანსის ორგანიზაციებისთვის
 წყარო: Andre A. De Waal, "What make a high performance organization-five validated factors of competitive advantage that apply world-wide" Global Professional Publishing LTD, UK, 2012.)

ფინანსური მაჩვენებელი	მოსალოდნელი სარგებელი მპო-ს სტატუსის მიღწევის შემდეგ
შემოსავლების ზრდა	4-16 %-მდე
მომგებიანობა	14-44 %-მდე
უკუგება აქტივებზე	1-12 %-მდე
უკუგება კაპიტალზე	9-25 %-მდე
უკუგება ინვესტიციებზე	15-26 %-მდე
უკუგება გაყიდვებზე	2-18 %-მდე
მთლიანი უკუგება	4-42 %-მდე

ქართული კომერციული ბანკები მაღალი პერფორმანსის მქონე ორგანიზაციების ჯრილში


ქართულ კომერციულ ბანკებში ჩატარდა კვლევა, რომელიც დაფუძნებული იყო ანდრე დე ვაალის მიერ შემუშავებულ კითხვარზე. კვლევაში მონაწილეობა ნებაყოფლობითი იყო. კითხვარი დაეგზავნათ, როგორც მაღალი და საშუალო რგოლის,

ასევე დაბალი რგოლის თანამშრომლებს. კითხვარის საშუალებით მიღებული პასუხების შეფასება მოხდა 10 ბალიანი შკალით. მიღებული შედეგები შედარებულ იქნა მაღალი პერფორმანსის მქონე ორგანიზაციების საშუალო მაჩვენებელთან (8.5-10).

კვლევის შედეგად დადგენილია, რომ კომერციული ბანკების საშუალო მაჩვენებელი მაღალი პერფორმანსის მქონე ორგანიზაციების ჯრილში არის 8.5, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია.

სურათი №2:

ქართული კომერციული ბანკების მაჩვენებლები



ქართული კომერციული ბანკების მაჩვენებლები



ხუთი ფაქტორიდან ყველაზე მაღალი ქულა – 8.8 – შეესაბამება ფაქტორს – მენეჯმენტის ხარისხი. მენეჯმენტის მაღალი ხარისხი უპირობოდ მნიშვნელოვანია ორგანიზაციისათვის. ეს ფაქტორი წარმოადგენს სხვადასხვა მახასიათებლის ერთობლიობას; კერძოდ, ნდობას, პატიოსნებას, სწრაფი გადაწყვეტილებების უნარს, სწრაფ ქმედებებს, შედეგებზე ორიენტირებას, ეფექტურობას, საკუთარ ძალებში დარწმუნებას.

მაღალი პერფორმანსის მქონე ორგანიზაციებში მაღალია თანამშრომელთა ნდობის ხარისხი მენეჯმენტის მიმართ. ხელმძღვანელი პირები განსაკუთრებულ დამოკიდებულებას ამჟღავნებენ მაღალი ფასეულობების, პრინციპებისა და სტანდარტების მიმართ. ისინი საკუთარ გადაწყვეტილებებს დროის უმოკლეს ვადებში გარდაქმნიან ქმედებებად, მათ აქვთ კარგი მენტორული უნარი და მუდმივად მზად არიან, რომ თავისი ცოდნა და გამოცდილება საკუთარ თანამშრომლებს გაუზიარონ. და ბოლოს, რა თქმა უნდა ისინი ადეკვატურად აფასებენ თანამშრომელთა ძალისხმევას.

მეორე ფაქტორის – გახსნილობა და ქმედებაზე ორიენტირებულობა – შესაბამისი ქულა არის 7.8, რაც ყველაზე დაბალი მაჩვენებელია ამ ხუთ ფაქტორს შორის. ეს შედეგი რა თქმა უნდა კავშირშია საბანკო სექტორის სპეციფიკასთან, სადაც მაღალი ინფორმაციის კონფიდენციალურობის ხარისხი. მაღალი პერფორმანსის მქონე ორგანიზაციების მართვა დაფუძნებულია ორმხრივ კომუნიკაციაზე, მენეჯერები ჩართულები არიან დიალოგში, ისინი უსმენენ და კონსულტაციებს იღებენ, აფასებენ კოლექტივის ინტელექტუალურ შესაძლებლობებს და მხარს უჭერენ ცოდნის გაზიარებას. ამ მიმართულებით, ისინი მიზანმიმართულად უწყობენ ხელს ცოდნის გაზიარების პროცესებს ორგანიზაციის შიგნით. თანამშრომელთა იდეები ყოველთვის სერიოზულად არის აღქმული.

მესამე ფაქტორის – გრძელვადიანი ორიენტაციის შესაბამისი ქულა არის 8.6. მაღალი პერფორმანსის

ორგანიზაციებში ხედვა და სტრატეგია შემუშავებულია გრძელვადიან პერსპექტივაში. ამ ტიპის ორგანიზაციებში ხელმძღვანელები დიდი ხნით რჩებიან ორგანიზაციაში, ისინი ქმნიან თანამშრომელთათვის უსაფრთხო და სტაბილურ გარემოს, რათა თანამშრომლები შეინარჩუნონ გრძელვადიან პერიოდში; ასევე, ამყარებენ გრძელვადიან ურთიერთობებს მომხმარებლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან.

მუდმივი გაუმჯობესება და განახლება მეოთხე მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომლის გათვალისწინებით მაღალი პერფორმანსის მქონე ორგანიზაციები უნიკალურ, კარგად განსაზღვრულ და მიღწევად მიზნებს სახავენ. ამ ტიპის ორგანიზაციები იღწვიან პროცესების გამართებისკენ; შესაბამისად, ხშირია პროცესების გადახედვა/ამოღება/განახლება და ასევე კრიტიკული წარმატების ინდიკატორების განსაზღვრა. მაღალი პერფორმანსის მქონე ორგანიზაციაში თანამშრომლები მუდმივად არიან ორიენტირებული ინოვაციაზე და მყისიერად პასუხობენ ბაზრის მოთხოვნებს. მათთვის დაშვებულია ზედმეტი რისკის აღება, რათა გამოავლინონ ახალი ინოვაციური იდეები და შემოქმედებითობა. ამ ფაქტორის შესატყვისი ქულა ქართული კომერციული ბანკებისათვის არის – 8.0.

დაბოლოს, მეხუთე ფაქტორია – თანამშრომელთა მაღალი კვალიფიკაცია და ხარისხი შესაბამისი ქულით – 8.2. მაღალი პერფორმანსის მქონე ორგანიზაციები ორიენტირებულია გამოცდილებისა და ცოდნის დაგროვებაზე. ამ ტიპის ორგანიზაციებში თანამშრომლებს მუდმივად სჭირდება გამოწვევები და მხარდაჭერა მათი მიზნების მისაღწევად. მათ უყვართ პასუხიმგებლობის აღება, ფოკუსირებული არიან თვითგანვითარებაზე, მოითხოვენ ტრენინგებს და როტაციის პროგრამაში მონაწილეობას. მაღალი პერფორმანსის მქონე ორგანიზაციებში სამუშაო ძალა დივერსიფიცირებულია და მაღალი კომპეტენციის მქონეა. შედეგები შეჯამებულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში:

ცხრილი №2:

ქართული კომერციული ბანკების მაჩვენებლები მაღალი პერფორმანსის მქონე ორგანიზაციების ჯგუფში

მპო ფაქტორები	მპო	ქართული ბანკები (n=103, AVG=8.2)
მენეჯმენტის ხარისხი	8.5	8.8
გახსნილობა და ქმედებაზე ორიენტირებულობა	8.5	7.8
გრძელვადიანი ორიენტაცია	8.5	8.6
მუდმივი გაუმჯობესება და განახლება	8.5	8.0
თანამშრომელთა ხარისხი	8.5	7.9
საშუალო ქულა	8.5	8.2

დასკვნა

ისტორიულად ბანკების პერფორმანსის შეფასება ფინანსურ მაჩვენებლებზე დაყრდნობით ხორციელდება. თუმცა, ანდრე დე ვალის მაღალი პერფორმანსის მქონე ორგანიზაციების კონცეფცია უკვე საკმაოდ პოპულარულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და კვლევის შედეგები გამოყენებულია პრაქტიკული მიზნებისთვის; ხუთი წარმატების ფაქტორის მიხედვით ხდება ორგანიზაციის სისტემური შემოწმება და მათი საჭიროებების დადგენა. შესაბამისად, ძალზე საინტერესოა აღნიშნული მეთოდოლოგიის გამოყენებით კვლევის საქართველოში ჩატარება.

ქართული საბანკო სექტორი გამოირჩევა განვითარების მაღალი დონითა და სრულიად შესაბამისობაშია საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებებთან და სტანდარტებთან. შესაბამისად, მოულოდნელი არ ყოფილა ის პოზიტიური შედეგები, რაც კვლევამ ქართული კომერციული ბანკების შესწავლის საფუძველზე გამოავლინა. ჩატარებული კვლევის შედეგები კიდევ ერთხელ ადასტურებენ იმას, რომ ქართული კომერციული ბანკები ძა-

ლიან დიდ რესურსს ახმარენ ორგანიზაციული განვითარების საკითხებს. ისინი ორიენტირებული არიან მუდმივ გაუმჯობესებაზე გრძელვადიან პერსპექტივაში, რაც მათი „მაღალი პერფორმანსის ორგანიზაციების“ სტატუსს განაპირობებს.

სამომავლოდ იგეგმება შესწავლის არეალის გაფართოება, ასევე, სხვა სექტორების მოცვა, მათ შორის ისეთი დარგებისა, სადაც მიღწევები ნაკლებად შთამბეჭდავია. აღნიშნული კვლევები საშუალებას მოგვცემს ხსენებულ სექტორებში ინსაიდერულ შეფასებებზე დაყრდნობით მოხდეს როგორც სტრატეგიული, ასევე ოპერაციული მენეჯმენტის სუსტი რგოლების იდენტიფიცირება. მათზე მიზანმიმართული ზემოქმედების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება პოზიტიური ცვლილებები, ხოლო მთლიანობაში კი დადებითი ეფექტი არა მხოლოდ დარგობრივ, არამედ მთლიანად, ეროვნულ ეკონომიკაზე.

ამ მიზნით, უმჯობესი იქნება კვლევის გაფართოება სხვა სექტორებში, სადაც გაცილებით მეტი პრობლემაა ორგანიზაციების მაღალი ხარისხის პერფორმანსთან მიმართებაში.



ლიტერატურა:

1. Thomas J. Peters, Robert H. Waterman, Jr. "In Search of Excellence: Lessons from America's Best-Run Companies" Warner Books 1982
2. Waterman, R. Jr., Peters, T. and Phillips, J.R. "Structure Is Not Organisation" in Business Horizons, 1980;
3. Collins, James C. and Jerry I. Porras. "Built to Last: Successful Habits of Visionary Companies" First Paperback Edition. New York: Harper-Collins, 1997;
4. Epstein, M.J. 2004 "The drivers and measures of success of high performance organizations;2004;
5. Collins, J. "Good to Great", Why some companies make the leap...and others don't. Random house, London, 2001;
6. Epstein, M.J., and M.J. Roy, "Sustainability in Action:Identifying and Measuring the Key Performance Drivers" Long Range Planning; 2001;
7. Garatt, B. The twelve organizational capabilities. Valuing people at work, HarperCollins Busienss, London. (2000)
8. Waal, A.A. "Strategic performance management. A managerial and behavioral approach", Palgrave MacMillan,Basingstoke, 2007;
9. Waal, A.A. "Characteristics of High performance organizations" Business Management Strategy ; London; 14-31; 2012
10. Manzoni, J.F. (2004) "From High performance organizations to an organizational excellence framework". Performance measurement and management control:superior organizational performance. Studies in managerial and financial accounting, volume 14. Elsevier, Amsterdam. (2004).





**ELECTRONIC
SIGNATURE**



განვითარებული ელექტრონული ხელმოწერა საბანკო სექტორში

ანოტაცია

სტატია ეხება საქართველოს საბანკო სექტორში ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის პროექტს, რომლის ინიციატორია საქართველოს ეროვნული ბანკი (შემდგომში - ეროვნული ბანკი), ელექტრონული ხელმოწერის იურიდიული სტატუსის, ტექნიკური უსაფრთხოებისა და გამოყენების სანდო გარემოს საკითხებს. ასევე, ასევე, სტატია ეხება საბანკო სექტორში გამოყენებული ელექტრონული დოკუმენტბრუნვის უსაფრთხო გარემოს მოდელს.

ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების მიმართ მაღალი ინტერესისა და აუცილებლობიდან გამომდინარე, მოსალოდნელია, რომ არც თუ ისე შორეულ მომავალში ელექტრონული ხელმოწერის თემა აქტუალური გახდება თითოეული მოქალაქისთვის. შესაბამისად, სტატია მიზნად ისახავს ფართო საზოგადოებას მიაწოდოს ინფორმაცია ელექტრონული ხელმოწერის დაცულობის აუცილებლობასთან დაკავშირებით.

შესავალი

უეიძლება ითქვას, რომ თავისთავად ტერმინი „ელექტრონული ხელმოწერა“ საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში ახალი არ არის. ჯერ კიდევ 2008 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“, თუმცა კანონის მიღებამდე საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც ელექტრონული ფოსტის, ინტერნეტბანკინგის ან/და ინფორმაციის ელექტრონული გაცვლის სხვა, მსგავსი საშუალებებით სარგებლობდა ავტომატურად ეხებოდა ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების აუცილებლობას. ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებულ მოდელთან დაკავშირებული რისკები, რომლებშიც პირველ რიგში მოიაზრება იურიდიული და ტექნოლოგიური, დღის წესრიგში არ აყენებდა ხელმოწერის დაცულობის გადახედვას ორი ფაქტორიდან გამომდინარე: პირველი - ამ კონკრეტულ ხელმოწერას მხარეების მიერ არ ენიჭებოდა იურიდიული ხელმოწერის ძალა და მეორე - რიგ შემთხვევებში, მაგალითისთვის შესაძლებელია დასახელებულ იქნას ინტერნეტბანკინგი, ტექნოლოგიური რისკები შემცირებული იყო სისტემის უსაფრთხო გამოყენების შესაძლებლობით.

ელექტრონული ხელმოწერის, როგორც იური-

დიული ძალის მქონე ინსტრუმენტის გამოყენების აუცილებლობა დღის წესრიგში დააყენა, ქალაქდზე ოპერაციების შესრულების პრაქტიკიდან ეტაპობრივი ამოღების აუცილებლობამ. დოკუმენტის მატერიალური ფორმიდან ელექტრონულზე გადასვლა უალტერნატივო აუცილებლობაა ბიზნეს პროცესების მოქნილობის და ოპტიმიზაციისთვის. ელექტრონული დოკუმენტბრუნვის გამოყენება გამართლებული იქნება მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ დაცულია დოკუმენტის და მასზე არსებული ხელმოწერის ავთენტურობა და ეს ყოველივე აღიარებული იქნება მესამე მხარის მიერ.

საბანკო სექტორში ელექტრონული ხელმოწერის იმ მოდელის გამოყენება, რომელიც დააკმაყოფილებს აღნიშნულ პრინციპს, პირველ რიგში გამიჯნული უნდა იქნას მომხმარებელთან პირისპირ ან დისტანციურად მომსახურების მიწოდების მიხედვით. მომსახურების აღნიშნული ფორმების შესაბამისად აქტუალური ხდება ხელმოწერის განსხვავებული მოდელის დანერგვა, მაგრამ ხელმოწერის სანდო და დაცული გარემოს უზრუნველსაყოფად, ორივე მოდელის შემთხვევაში სავალდებულოდ იქნა მიჩნეული ხელმოწერის ციფრულ სერტიფიკატის გამოყენება.

მიმდინარე ეტაპზე საბანკო სექტორში დანერგილი ელექტრონული ხელმოწერა ითვალისწინებს მომხმარებელთან პირისპირ მომსახურებისას ოპერაციების ქაღალდზე შესრულების ჩანაცვლებას ელექტრონული დოკუმენტით, რომელიც დამოწმებული იქნება როგორც კლიენტის, ასევე ბანკის ელექტრონული ხელმოწერით. ამასთანავე, დანერგილი მოდელი ვარგისია ნებისმიერი პოტენციური ხელმომწერისთვის, მიუხედავად იმისა, მომხმარებლის სავალდებულო იდენტიფიკაციას ბანკი განახორციელებს პირადობის ახალი მოწმობით თუ მის გარეშე; მეტი სიცხადისთვის შესაძლებელია აღინიშნოს, რომ პოტენციურ მომხმარებელს, პირისპირ საბანკო მომსახურების მიღებისას ეძლევა შესაძლებლობა გამოიყენოს ელექტრონული ხელმოწერის დანერგილი მოდელი, მიუხედავად იმისა სავალდებულოა თუ არა ბანკის მიერ მომხმარებლის იდენტიფიკაცია ან პირადობის მოწმობის რომელი ფორმა (ძველი თუ ახალი) იქნება წარდგენილი სავალდებულო იდენტიფიკაციისთვის. მომსახურების ეს ფორმატი საშუალებას აძლევს საბანკო სექტორს ელექტრონულ დოკუმენტბრუნვაზე გადაიყვანოს მომხმარებელთან პირისპირ მომსახურების სრული სეგმენტი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საბანკო სექტორში დღესდღეობით დანერგილი ელექტრონული ხელმოწერის მოდელი, ისევე როგორც საბანკო მომსახურების ელექტრონულ დოკუმენტბრუნვაზე გადაყვანისთვის დაგეგმილი მომდევნო ეტაპები, ერთმნიშვნელოვნად დამყარებული იქნება ხელმოწერის ციფრული სერტიფიკატის ან მინიმუმ ამ დონის უსაფრთხოების მქონე სხვა ტექნოლოგიურ მოდელზე, რამაც უნდა უზრუნველყოს საბანკო ოპერაციების ქაღალდზე შესრულების გადატანა ელექტრონულ დოკუმენტზე უსაფრთხოების იმ ხარისხით, რომლის საშუალებასაც იძლევა მოცემული დროისთვის არსებული მოწინავე ტექნოლოგიები. თავისთავად ცხადია, რომ აღნიშნული არ გამორიცხავს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ინიციატივით 2011 წლიდან გაცემული პირადობის ახალი მოწმობის გამოყენებას ხელმოწერის ინსტრუმენტად. ხელმოწერის ეს ფორმა დღესდღეობით არსებული პრაქტიკაა რამდენიმე კომერციულ ბანკში, რომლისგან დამოუკიდებლად, საბანკო ოპერაციების შესრულების უფრო მეტი მოქნილობისთვის ინერგება მაღალტექნოლოგიური ხელმოწერის ინსტრუმენტები.

ელექტრონული ხელმოწერის ის მოდელი, რომლის გამოყენებას „პროგრედიტ ბანკში“ 2014 წლის თებერვალში მიენიჭა იურიდიული ძალა, პირველი მოდელია არა მარტო ჩვენს საბანკო სექტორში, არამედ ქვეყანასა და რეგიონშიც

კი, რომელიც ევრორეგულაციების შესაბამისად კვალიფიცირდება „განვითარებულ ელექტრონულ ხელმოწერად“, დამყარებულია ციფრულ სერტიფიკატზე და იყენებს ხელმოწერის ბიომეტრიულ მონაცემებს. გარდა ამისა, ხელმოწერის შესრულების დრო დადასტურებულია მესამე მხარის „დროის აღნიშვნით“, რომლის გამოყენებაც იმ დროისთვის, სავალდებულო არ ყოფილა თვით ევროპული რეგულაციების მიხედვით. მოგვიანებით, 2014 წლის ივლისში ევროპარლამენტისა და ევროპული საბჭოს მიერ მიღებულ იქნა რეგულაცია, რომელმაც განსაზღვრა დროის აღნიშვნის გამოყენება ელექტრონული ხელმოწერის შესრულების სანდოობის უზრუნველყოფის მიზნით. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, საბანკო სექტორში შემოტანილი „განვითარებული ელექტრონული ხელმოწერა“ განკუთვნილია მომხმარებელთან პირისპირ მომსახურების მიწოდებისთვის და იყენებს ე.წ. „ხელმოწერის დაფას“, როგორც „ხელმოწერის შექმნის მოწყობილობის“ ერთ-ერთ კომპონენტს. უნდა აღინიშნოს, რომ თავისთავად ხელმოწერის დაფის განთავსება ხელმოწერის შესასრულებლად არ არის მისი გამოყენების სანდოობის გარანტი და არ იძლევა ხელმოწერის შექმნის სანდო და დაცული გარემოს არსებობის შესაძლებლობას. მოწყობილობა „ხელმოწერის დაფა“ წარმოადგენს ერთ-ერთ აუცილებელ, მაგრამ არა საკმარის კომპონენტს „განვითარებული ელექტრონული ხელმოწერის“ შესასრულებლად. ამ მოწყობილობის გამოყენებით ასევე შესაძლებელია შესრულდეს ე.წ. „მარტივი“ ელექტრონული ხელმოწერა, რომელიც თავისი ტექნოლოგიური მოდელიდან გამომდინარე ვერ უზრუნველყოფს ელექტრონული იდენტიფიკაციის, აუთენტიფიკაციის თუ ხელმოწერის (eIAS) ტექნიკურ, პროცედურულ და ხარისხობრივ მოთხოვნების დაცვას, რომლებიც აღიარებულია ელექტრონული ხელმოწერის დაცული გზით გამოყენების მიზნით. ეს გარემოება პოტენციური ხელმომწერისთვის გაგებული უნდა იქნას, როგორც ხელმოწერის დაფის გამოყენებასთან დაკავშირებული რისკების შეფასების აუცილებლობა. თუმცა, აღნიშნული რისკების შეფასება დაკავშირებულია გამოყენებული ტექნოლოგიური მოდელების, ალგორითმების, კომუნიკაციის უსაფრთხოების ხარისხისა და სხვა კომპონენტების ანალიზთან, მათ საერთაშორისოდ აღიარებულ პრინციპებთან და სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებასთან, ინფორმაციის საიმედოდ დაცვის მიზნით ტექნოლოგიური პროგრესის შესაბამისად შემუშავებული მეთოდების სანდოობის ხარისხთან. ეს ყოველივე ელექტრონული ხელმოწერის შექმნის გარემოს რისკების შეფასე-



ბასთან დაკავშირებული თემების არასრული ჩამონათვალია. არ იქნება მართებული ჩავთვალოთ, რომ პოტენციური ხელმოწერი უნდა ფლობდეს ან შესაძლებელია ფლობდეს მათი ანალიზისთვის საჭირო ცოდნას ან/და ინფორმაციას ან მომხმარებელმა, მის ხელთ არსებული ინფორმაციის მიუხედავად დამოუკიდებლად შეძლოს ხელმოწერის გარემოს შეფასება. აქედან გამომდინარე კითხვაზე პასუხი, თუ როგორ განსაზღვროს მომხმარებელმა რამდენად დაცულია ზემოთ აღნიშნული ხელმოწერის დაფის გამოყენება ან ზოგადად, შემოთავაზებული ხელმოწერის ინსტრუმენტის გამოყენება, უკავშირდება „სანდო სერვისის მიწოდების“ ცნებას, რომლის პროდუქტმაც უნდა უზრუნველყოს „ელექტრონული ხელმოწერის შექმნის სანდო და დაცული გარემო“.

წინამდებარე სტატიაში გამოყენებული ტე-

რმინების ინტერპრეტაციები და საბანკო სექტორში მათი დამკვიდრების პრინციპები მოცემულია ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებულ სახელმძღვანელო დოკუმენტებში, რომლებიც ხელმისაწვდომია მისამართზე <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=623>. აღნიშნული დოკუმენტები ფართოდ აღწერს ეროვნული ბანკის მიერ ინიცირებულ პროექტს საქართველოს საბანკო სექტორში ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების შესახებ და ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის მეთოდოლოგიურ საკითხებს; ხოლო რამდენადაც სტატიის მიზანია პოტენციური ხელმოწერისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება, მომდევნო თავები დაეთმობა ელექტრონული ხელმოწერის სანდოობის და დაცვის აუცილებლობას და საბანკო სექტორში გამოყენებული ელექტრონული ხელმოწერის თავისებურებებს.

ელექტრონული ხელმოწერის გობიერთი თავისებურებები

დღეისთვის არსებობს ტერმინ „ელექტრონული ხელმოწერის“ რამდენიმე განმარტება. მას სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს გამოყენების სხვადასხვა არეალში. საერთაშორისოდ აღიარებულია განმარტება, სადაც ელექტრონული ხელმოწერა ნიშნავს: მონაცემთა გზავნილში არსებულ ელექტრონულ მონაცემებს, რომლებიც მიბმულია ან ლოგიკურად დაკავშირებულია მასთან (გზავნილთან) და რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნას, ხელმოწერის მონაცემთა გზავნილთან კავშირის მიზნით, ხელმოწერის იდენტიფიცირებისთვის და მიუთითებს ხელმოწერის თანხმობას იმ ინფორმაციაზე, რაც განთავსებულია მონაცემთა გზავნილში (მოდალური კანონი ელექტრონული ხელმოწერის შესახებ, UNCITRAL 2001, გვ.1). ელექტრონული ხელმოწერა ასევე განმარტებულია, როგორც ელექტრონული ფორმით არსებული მონაცემები, რომელიც მიბმულია ან ლოგიკურად დაკავშირებულია სხვა ელექტრონულ მონაცემებთან და გამოიყენება როგორც აუთენტიფიკაციის საშუალება“ („ელექტრონული ხელმოწერის სახელმძღვანელო ჩარჩო“–ს შესახებ ევროპარლამენტისა და ევროპული საბჭოს 1999/93/EC დირექტივა 1999 (შემდგომში – დირექტივა). საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში მოქმედი განმარტება მიუთითებს, რომ ელექტრონული ხელმოწერა წარმოადგენს „ნე-

ბისმიერი ელექტრონული საშუალების გამოყენებით შექმნილ მონაცემთა ერთობლიობას, რომელსაც ხელმოწერი იყენებს დოკუმენტთან მისი კავშირის აღსანიშნავად“ (საქართველოს კანონი „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“ 2008). ყურადღება უნდა მივაქციოთ საქართველოს კანონის განმარტებას, რომლის პრაქტიკაში გამოყენება კიდევ უფრო ფართოდაა შესაძლებელი. განმარტება ითხოვს მხოლოდ და მხოლოდ: ა) ნებისმიერ ელექტრონულ მოწყობილობას, რომელიც ბ) ქმნის ელექტრონულ მონაცემებს და გ) ეს შექმნილი ელექტრონული მონაცემები დააკავშირებს ხელმოწერს დოკუმენტთან. აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული „ნებისმიერი ელექტრონული მოწყობილობა“ შესაძლებლობას იძლევა პრაქტიკაში გამოყენებულ იქნას ელექტრონული მესიჯის შექმნის ნებისმიერი საშუალება, მიუხედავად მისი სანდოობისა და დაცულობის, ხოლო დირექტივით მოთხოვნილი „აუთენტიფიკაციის საშუალება“ გარკვეულწილად ჩანაცვლებულია საქართველოს კანონში ხელმოწერისა და დოკუმენტის კავშირის აღნიშვნასთან. რამდენადაც არც დირექტივა და არც საქართველოს კანონი არ განსაზღვრავს ტექნოლოგიურ ან/და ხარისხობრივ მოთხოვნებს ზოგადად ელექტრონუ-

ლი ხელმოწერის ამ განმარტებასთან დაკავშირებით, ელექტრონულ ხელმოწერად მიიჩნევა ნებისმიერი ელექტრონული მესიჯი, რომელსაც ხელმოწერი მიიჩნევს თავისი ნების გამოხატვად ელექტრონულ დოკუმენტზე ან სხვა ნებისმიერ ელექტრონულ ინფორმაციაზე. ამ შემთხვევაში ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებასთან დაკავშირებით აქტუალური ხდება შემდეგი ზოგიერთი კითხვა: ა) როგორი სისტემის მიერ იქნება აღნიშნული მესიჯი დაგენერირებული; ბ) შესაძლებელია თუ არა განისაზღვროს როდის დაგენერირდა აღნიშნული მესიჯი; გ) რამდენად დაცული გზით მიეწოდა ხელმოწერა; დ) შესაძლებელია თუ არა ხელმოწერმა დაადასტუროს თუ რა მესიჯი მიიღო ხელმოწერის შესასრულებლად; ე) შესაძლებელია თუ არა გადამოწმდეს თუ რომელ ინფორმაციასთან კავშირი დაადასტურა ხელმოწერმა აღნიშნული მესიჯით; ვ) შესაძლებელია თუ არა აღმოჩენილ იქნას ნებისმიერი, ხელმოწერის შემდეგ შეტანილი ცვლილება თავდაპირველ ხელმოსაწერ ინფორმაციაში; ზ) შესაძლებელია თუ არა გადამოწმდეს თუ როდის გამოიყენა ხელმოწერმა სხენებული მესიჯი ხელმოწერის შესაქმნელად და ნამდვილად მის მიერ იყო გამოყენებული თუ არა.

საკითხის აქტუალობის შეფასებისთვის, პირველ რიგში უნდა განვიხილოთ თუ რატომ დგება ზემოთ ჩამოთვლილი კითხვების დასმის აუცილებლობა. ელექტრონული ხელმოწერის ზემოთ მოცემული სამივე განმარტებების შესაბამისად, ელექტრონული ხელმოწერა წარმოადგენს ხელმოწერის კავშირის დადასტურებას კონკრეტულ ელექტრონულ ინფორმაციასთან, ხოლო ეს კავშირი გაგებული უნდა იქნას როგორც „თანხმობა“ ან/და „ნების გამოხატვა“. იმისათვის, რომ აღნიშნული „თანხმობა“/„ნების გამოხატვა“ კონკრეტულ ინფორმაციაზე წარმოადგენდეს სამართლებრივ დადასტურებას, გამოყენებული ელექტრონული ხელმოწერა უნდა ჩაითვალოს იურიდიული ძალის მქონედ. სწორედ ელექტრონული ხელმოწერის იურიდიული აღიარება მიიჩნევა ელექტრონული კომერციის განვითარების ერთ-ერთ საბაზისო ფაქტორად. პრაქტიკაში ეს გაგებული უნდა იქნას, როგორც კონკრეტულ საკანონმდებლო სივრცეში ელექტრონული ხელმოწერის ამა თუ იმ მოდელის სამართლებრივი აღიარების აუცილებლობა. ელექტრონული ხელმოწერის სამართლებრივი აღიარება გულისხმობს მისი, ქალაქდზე ხელმოწერის თანაბარ იურიდიულ ძალის მქონე ხელმოწერად მიჩნევას. საქართველოს კანონი „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“ განსაზღვრავს პირადი ხელმოწერისა და

ელექტრონული (ციფრული) ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალის ცნობის პირობებს, სადაც აქცენტს აკეთებს ელექტრონულ დოკუმენტზე ციფრული ხელმოწერის შესრულებაზე, როცა ეს უკანასკნელი სრულდება ხელმოწერის მომენტში მოქმედ სერტიფიკატში (მოწმობაში) მითითებული მონაცემების შესაბამისად. რამდენადაც კანონის ეს დებულებები ერთმნიშვნელოვნად უთითებს ციფრული სერტიფიკატის გამოყენებას, შესაძლებელია დაშვებულ იქნას, რომ ელექტრონული ხელმოწერის შექმნის გარემო უზრუნველყოფილი იქნება დაცვის იმ ხარისხით, რაც მოთხოვნილია ევროპარლამენტისა და ევროპული საბჭოს შესაბამისი რეგულაციებით. თუმცა, ხაზგასმით უნდა მიეთითოს, რომ აღნიშნული დაცვის უზრუნველყოფა დამოკიდებული იქნება მხოლოდ და მხოლოდ ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებასთან დაკავშირებული სერვისის მიმწოდებლის მიდგომასა და მისი პროდუქტის საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებთან შესაბამისობის სურვილზე და არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენს საკანონმდებლო მოთხოვნას. სამწუხაროდ, საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში არ მოქმედებს არცერთი ნორმა, რომელიც განსაზღვრავს გამოყენებული ელექტრონული ხელმოწერის სანდო და დაცული გარემოს მინიმალურ ტექნიკურ მოთხოვნებს, გარდა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული მოთხოვნებისა, რომლებიც ეხება საბანკო სექტორში „განვითარებული ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებას. აქვე უნდა აღინიშნოს საქართველოს მთავრობის დადგენილება N88, რომელიც ციფრული ხელმოწერის სერტიფიკატის გამცემის მიმართ ტექნიკურ რეგლამენტს აწესებს. თუმცა, იმ შემთხვევაშიც, თუ რეგლამენტში მითითებული „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო“ თავისი ფუნქციის შესრულებას შეუდგება, საქართველოში უცხოური „სერტიფიკატის გამცემი უფლებამოსილი პირის“ სერტიფიკატის გამოყენების საკითხი ღიად რჩება; ასევე, საქართველოში აღნიშნული ორგანოს მიერ აკრედიტებული სერტიფიკატის გამცემი უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული სერტიფიკატის გამოყენების პირობები; კერძოდ, „დროის აღნიშვნის“ აუცილებლობა ან ფორმატი გრძელვადიანი არქივირებისთვის. უნდა აღინიშნოს, რომ „დროის აღნიშვნა“ განმარტებულია საქართველოს კანონში „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“, (რომელსაც მოგვიანებით შევეხებით და გავაკეთებთ შედარებას ეროვნული ბანკის მიერ მოთხოვნილ, საბანკო სექტორში გამოყენებულ „დროის აღნიშვნასთან“), თუმცა არც აღნიშნული კანონი და



არც სხვა რომელიმე საკანონმდებლო მოთხოვნა არ განსაზღვრავს ელექტრონული (მათ შორის ციფრული) ხელმოწერის გამოყენების დროს „დროის აღნიშვნის“ აუცილებლობას.

სავალდებულოა დაგუბრუნდეთ საქართველოს კანონს „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“, რომელიც პირადი ხელმოწერისა და ელექტრონული ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალის ცნობის ერთ-ერთ პირობად, ციფრული სერტიფიკატის გამოყენების გარდა, განსაზღვრავს ორ ან ორზე მეტ პირს შორის შეთანხმებას; შესაბამისად ნებისმიერ ელექტრონულ ხელმოწერას ენიჭება მატერიალურ დოკუმენტზე პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა. ისევ და ისევ ყურადღება უნდა გამახვილდეს „ნებისმიერი“ ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების შესაძლებლობაზე. მკითხველს შევასვენებ, რომ აღნიშნულ კანონზე საუბრისას აქცენტი გაკეთდა ელექტრონული ხელმოწერის განმარტებაზე, რომელიც „ნებისმიერი“ ელექტრონული საშუალების გამოყენებით შექმნილ მონაცემთა ერთობლიობას მიიჩნევს ელექტრონულ ხელმოწერად. კანონის არსებული დაშვება შესაძლებლობას იძლევა პრაქტიკაში გამოყენებულ იქნას „იურიდიული ძალის ხელმოწერად“ ნებისმიერი ელექტრონული მესიჯი, მისი დაცულობის ხარისხისა და სანდოობის მიუხედავად, თუ არსებობს ორ პირს შორის შეთანხმება. საილუსტრაციოდ შესაძლებელია განვიხილოთ ნებისმიერი სიმბოლო ან ნებისმიერი რიცხვი, თუ ის ატარებს ელექტრონულ ხასიათს და გამოყენებული იქნება ელექტრონულ დოკუმენტზე თქვენი კავშირის აღსანიშნავად. შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დღესდღეობით შესაძლებელია სამართლებრივ ურთიერთობებში გამოყენებული იქნას ელექტრონული (მათ შორის ციფრული) ხელმოწერა, რომელიც სრულად ან მნიშვნელოვან წილად მაინც ვერ დააკმაყოფილებს ელექტრონული ხელმოწერის სანდო და დაცული გარემოს საერთაშორისოდ აღიარებულ მოთხოვნებს და შესაბამისად უპასუხოდ ტოვებს ზემოთ ჩამოთვლილ კითხვებს შესრულებული ხელმოწერის უსაფრთხოდ გამოყენებასთან დაკავშირებით.

ევროკავშირში მოქმედი რეგულაცია დასაწყისშივე განმარტავს, რომ „სანდოობის შექმნა ვირტუალურ (ონლაინ) გარემოში არის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გასაღები. სანდოობის ნაკლებობა, კერძოდ ლეგალური დადასტურების არასაკმარისი გაგება აფერხებს მომხმარებელს, ბიზნეს წრეებს და საზოგადოებრივ სექტორს, რათა განახორციელონ ტრანზაქციები ელექტრონულად და გამოიყენონ ახალი სერვისები“ (ევროპარლამენტისა

და ევროპული საბჭოს რეგულაცია N910/2014 „ელექტრონული იდენტიფიკაცია და სანდო სერვისები ელექტრონული ტრანზაქციებისთვის“ (2014). რეგულაცია მომდევნო დებულებაში აგრძელებს, რომ მიზნად ისახავს გაზარდოს ელექტრონული ტრანზაქციების სანდოობა, რისთვისაც უნდა წარმოადგინოს „დაცული ელექტრონული ურთიერთდამოკიდებულების (ურთიერთკვეთის)“ ფორმატი მოქალაქეებს, ბიზნეს წრეებსა და საზოგადოებრივ სექტორს შორის და აქედან გამომდინარე, მოსალოდნელია კერძო და საზოგადოებრივი ონლაინ სერვისების, ელექტრონული ბიზნესისა და ელექტრონული კომერციის ეფექტურობის ზრდა. ამასთანავე, აღნიშნული რეგულაცია, რომელმაც ჩაანაცვლა მის მიღებამდე მოქმედი დირექტივა ისევ და ისევ ინარჩუნებს „ტექნოლოგიურად ნეიტრალურ“ ბუნებას და 27-ე დებულებაში მიუთითებს, რომ ლეგალური ეფექტი მიღწეული უნდა იქნას იმ ნებისმიერი ტექნიკური ფორმატით, რომელიც ამავე რეგულაციების მოთხოვნებს შეესაბამება. აღნიშნული რეგულაციის ამ ძირითადი მიდგომის მიმოხილვა ემსახურება სწორედ იმ მიზანს, რომ ხაზი გაესვას ელექტრონული ტრანზაქციის შესრულებისას მისი იურიდიული სტატუსის მნიშვნელობას მხოლოდ და მხოლოდ იმ ტექნიკური ფორმატით, რომელიც შესაბამისობაში იქნება სანდო და დაცული გარემოს საერთაშორისოდ აღიარებულ მოდელთან. როგორც მოქმედი რეგულაციის, ისე მისი წინამორბედი დირექტივის მოთხოვნის ზღვარი კი გადის „განვითარებული ელექტრონული ხელმოწერის“ ან/და „კვალიფიციური ხელმოწერის“ გამოყენებასთან. სწორედ ამ მოსაზრებიდან და მიდგომიდან გამომდინარე იქნა დაშვებული საბანკო სექტორში მინიმუმ „განვითარებული ელექტრონული ხელმოწერის“ დონის დაცვის ხელმოწერა და დღის წესრიგში დადგა ამ ხელმოწერის ქაღალდზე შესრულებული (პირადი) ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალის ცნობის აუცილებლობა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს საბანკო სექტორში გამოყენებული „განვითარებული ელექტრონული ხელმოწერის“ იურიდიული სტატუსი. როგორც სტატიის დასაწყისში იყო აღნიშნული, საბანკო სექტორში გამოყენებული ელექტრონული ინფორმაციის გაცვლის მოდელები დღემდე იყენებს ინსტრუმენტს, რომელიც კვალიფიცირდება „ელექტრონულ ხელმოწერად“, თუმცა პრაქტიკაში მისი გამოყენება არ იქნის იურიდიული სტატუსის მქონე ელექტრონულ ხელმოწერის შინაარსს და დატვირთვას. ძირითადად ასეთი ინსტრუმენტები გამოყენებულია როგორც აუთენტიფიკაციის ან/და დადასტურების საშუალება

(და არა ხელმოწერა). საბანკო სექტორში გამოყენებული ელექტრონული ხელმოწერისთვის მატერიალურ დოკუმენტზე ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალის მინიჭება შესაძლებელია ეროვნული ბანკის უფლებამოსილების ფარგლებში. ასევე შესაძლებელია არსებობდეს ორ პირს შორის შეთანხმება, რის ფარგლებშიც გამოყენებულ ხელმოწერას ამ პირებისთვის ენიჭება მატერიალურ დოკუმენტზე პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა. ამ უკანასკნელი ოფციის მოქმედების შემთხვევაში ხელმოწერის შესრულების გარემოს ტექნიკური ფორმატი შესაძლებელია იყოს ნებისმიერი, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული.

საქართველოს „კანონი კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ შესაძლებლობას აძლევს კომერციულ ბანკს ეროვნულ ბანკს დასამტკიცებლად წარუდგინოს ელექტრონული ხელმოწერის უსაფრთხოების პოლიტიკა, ხოლო დამტკიცებული უსაფრთხოების პოლიტიკის შესაბამისად შესრულებულ ელექტრონულ ხელმოწერას ენიჭება მატერიალურ დოკუმენტზე შესრულებული პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა. ეროვნულმა ბანკმა ინიცირება გაუკეთა საბანკო სექტორში ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის პროექტს, რომლის შესაბამისად ელექტრონული ხელმოწერის პრაქტიკაში გამოყენება გულისხმობს საქართველოს საბანკო სექტორში ქალაქებში შესრულებული ხელმოწერის ჩანაცვლებას ელექტრონული ხელმოწერით და ელექტრონული დოკუმენტ ბრუნვით ყველა იმ შესაძლო ოპერაციაზე, რომელზეც კონკრეტული კომერციული ბანკი მიიღებს გადაწყვეტილებას. შესაბამისად განსაზღვრა ის ძირითადი მოდელი, რომლის მიხედვით შესრულებული ელექტრონული ხელმოწერა იქნება ქალაქებში შესრულებული მატერიალური ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალის მქონე. როგორც უკვე იყო აღნიშნული საბანკო სექტორში დაინერგა „განვითარებული ელექტრონული ხელმოწერა“ ან შესაძლებელია გამოყენებულ იქნას მინიმუმ ამ დონის დაცვის ელექტრონული ხელმოწერა. უნდა აღინიშნოს, რომ მითითებულ მინიმალურ მოთხოვნებთან ერთად, ეროვნული ბანკი, საერთაშორისო პრაქტიკისა და თავისუფალი ბაზრის პრინციპებიდან გამომდინარე მიზნად არ ისახავს ელექტრონულ ხელმოწერასთან დაკავშირებული კონკრეტული მოდელების ან/და სქემების (პროდუქტების) განსაზღვრას ან/და დამკვიდრებას. ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული რეგულაცია თუ სახელმძღვანელო დოკუმენტები უზრუნველყოფენ, საერთაშორისოდ

აღიარებული პრინციპებისა და სტანდარტების შესაბამისად, ისეთი მოდელის განსაზღვრას, რომელთან შესაბამისობა ეროვნული ბანკის პოზიციიდან მიიჩნევა ელექტრონული ხელმოწერის დანერგვისთვის სანდო და დაცულ გარემოდ, ხოლო საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებისა და უსაფრთხოების შესაბამისი ზომების ცვლილებასთან ერთად, განხორციელდება ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების გარემოს და აუცილებელი მინიმალური ან/და რეკომენდირებული მოთხოვნების განახლება ან/და გადახედვა. შემუშავებულ იქნა „ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო“, რომელიც წარმოადგენს ეროვნულ ბანკთან შესათანხმებლად წარსადგენი კომერციული ბანკის „ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების უსაფრთხოების პოლიტიკის“ მომზადების მეთოდოლოგიურ საფუძველს. სახელმძღვანელო ეყრდნობა ევროკავშირის რეგულაციებით განსაზღვრულ ელექტრონული იდენტიფიკაციის, აუთენტიფიკაციის და ხელმოწერის (eIAS) ტექნიკურ, პროცედურულ და ხარისხობრივ მოთხოვნებს. კომერციული ბანკის მიერ, დამტკიცებული უსაფრთხოების პოლიტიკის შესაბამისად გამოყენებული ელექტრონული ხელმოწერის შესახებ ინფორმაცია აისახება ეროვნული ბანკის ვებგვერდზე <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=623>, სადაც ასევე ქვეყნდება ეროვნული ბანკის მიერ „სანდო სერვისის მიმწოდებლად“ აღიარებული და საბანკო სექტორში დაშვებული შესაბამისი სერვისის მიმწოდებლები. დღესდღეობით, საბანკო სექტორში „განვითარებული ელექტრონული ხელმოწერის“ გამოყენება დანერგილია ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების გამოყენებით, რაც პრაქტიკაში დაკავშირებულია ე.წ. „ხელმოწერის დაფების“ გამოყენებასთან. ზემოთ იყო აღნიშნული, რომ ხელმოწერის დაფების გამოყენება თავისთავად არ ნიშნავს ელექტრონული ხელმოწერის დაცული და სანდო გარემოს არსებობას, შესაბამისად კომერციული ბანკის მიერ ეროვნულ ბანკში დასამტკიცებლად წარმოდგენილი უსაფრთხოების პოლიტიკა სხვა, მთელ რიგ საკითხებთან ერთად მოიცავს კონკრეტული ხელმოწერის დაფის ტექნიკური მოდელის დეტალურ აღწერას, ხელმოწერის მაიდენტიფიცირებელი პერსონალური ინფორმაციის მიღების ხარისხს, მისი დაცვის სქემას, მიღებული მონაცემების ელექტრონულ დოკუმენტთან კავშირის ფორმატს, ელექტრონული დოკუმენტის მთლიანობისა და უცვლელობის დაცვის მექანიზმს, გამოყენებული ციფრული სერტიფიკატის გამცემის შესახებ ინფორმაციას, ელექტრონულ ხელმო-



წერასთან დაკავშირებული სხვა სერვისის (მაგ. დროის აღნიშვნა) ტექნიკურ ფორმატს და გამოყენების დონეს, დოკუმენტის გრძელვადიანი ვალიდაციის შესაძლებლობის პირობებს. ყოველივე ეს, კომერციული ბანკის ინფრასტრუქტურისა და დაკავშირებული რისკების შეფასებისა და მართვის მოდელებთან ერთად განიხილება და აღიარებულ მინიმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემ-

თხვევაში, მტკიცდება ეროვნული ბანკის მიერ, რაც უზრუნველყოფს ელექტრონული ხელმოწერის სანდო და დაცულ გარემოს. საბანკო სექტორში ამ ფორმატით შექმნილი ელექტრონული ხელმოწერა სრულად შეესაბამება ევროკავშირის სივრცეში აღიარებული „განვითარებული ელექტრონული ხელმოწერის“ ტექნიკურ და ხარისხობრივ მოთხოვნებს.

საბანკო სექტორში გამოყენებული განვითარებული ელექტრონული ხელმოწერა და ელექტრონული დოკუმენტი

როგორც საქართველოს კანონმდებლობის, ისე ევროკავშირში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად ელექტრონული ხელმოწერის ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს ციფრული ხელმოწერა. „ციფრული ხელმოწერის“ განმარტება, რომელიც საერთაშორისოდ აღიარებულია, მოცემულია ISO 7498-2 სტანდარტში, როგორც უსაფრთხოების მექანიზმი, რომელიც შესაძლოა გამოყენებულ იქნას უსაფრთხოების ისეთი სერვისების მიწოდებისთვის, როგორცაა აუთენტიფიკაცია, მონაცემთა წარმომავლობის აუთენტიფიკაცია, მონაცემთა ერთიანობა (დაურღვევლობა) და უარყოფის შეუძლებლობა. „ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო“ განმარტავს ციფრული სერტიფიკატის გამოყენების აუცილებლობას განვითარებული ელექტრონული ხელმოწერის შესრულებისას და ეყრდნობა ევროპის ელექტრონული ხელმოწერის სტანდარტიზაციის ინიციატივის (EESSI) ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებას, 1999/93/EC დირექტივის ტექნოლოგიურად ნეიტრალური მიდგომა საშუალებას არ იძლევა, რომ მითითება გაკეთდეს სპეციფიკურ ტექნოლოგიაზე, როგორცაა ციფრული ხელმოწერა დამყარებული ასიმეტრიულ კრიპტოგრაფიაზე. აქედან გამომდინარე, აღნიშნული ჯგუფის დასკვნის შესაბამისად, ნათელია, რომ დირექტივა, როცა „განვითარებულ ელექტრონულ ხელმოწერას“ აღწერს, გულისხმობს სწორედ ასიმეტრიული კრიპტოგრაფიის და სერტიფიკატზე დამყარებული ვერიფიკაციის მახასიათებლებს. ამავე დოკუმენტში აღნიშნულია დირექტივის „განვითარებული ელექტრონული ხელმოწერის“ განმარტების მსგავსება ISO 7498-2 (დამატება 2) სტანდარტის „ციფრული ხელმოწერის“ განმარტებასთან და მოცემულია დასკვნა, რომ

„განვითარებული ელექტრონული ხელმოწერა“, რომელიც შეიძლება არც იყოს განხილული როგორც „კვალიფიციური“, რეალურად ISO სტანდარტით განმარტებული „ციფრული ხელმოწერის“ ექვივალენტურია (ელექტრონული ხელმოწერის ევროპის სტანდარტიზაციის ინიციატივა (EESSI) 1999, გვ. 15).
გემოაღნიშნულთან ერთდ, გასათვალისწინებელია, რომ, დოკუმენტის შემუშავებისას გამოყენებული იქნა „ელექტრონული ხელმოწერის ევროპის საზედამხედველო უწყებების ფორუმის (The Forum of European Supervisory Authorities for Electronic Signature FESA) სამუშაო დოკუმენტი, კერძოდ „სამუშაო დოკუმენტი განვითარებული ელექტრონული ხელმოწერის შესახებ“ (Working Paper on Advanced Electronic Signature, October 12, 2004). ეს დოკუმენტი, ასევე იზიარებს დირექტივის „განვითარებული ელექტრონული ხელმოწერის“ განსაზღვრების ტექნოლოგიურად ნეიტრალურ ხასიათს და მიუთითებს, რომ პრაქტიკაში მისი გამოყენება ძირითადად ეყრდნობა ასიმეტრიულ შიფრაციას („ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო“, საქართველოს ეროვნული ბანკი 2013, გვ.8).
„განვითარებული ელექტრონული ხელმოწერის“ გამოყენებისას, სერტიფიკატზე დამყარებული ხელმოწერის შინაარსის გაგებისთვის აღნიშნული სახელმძღვანელო უთითებს სერტიფიკატის განმარტებას: „სერტიფიკატი“ ნიშნავს მონაცემთა გზავნილს ან სხვა ჩანაწერს, რომელიც ადასტურებს კავშირს ხელმოწერესა და „ხელმოწერის შექმნის მონაცემებს“ შორის (მოდალური კანონი ელექტრონული ხელმოწერის შესახებ, UNCITRAL 2001, გვ.1). სწორედ ხელმოწერის დაკავშირება „ხელმოწერის შექმნის მონაცემებსა“ (რაც თავის მხრივ

კავშირშია ხელმომწერთან) და ხელმოწერილ დოკუმენტთან წარმოადგენს განვითარებული ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების შინაარსს. აღნიშნულიდან გამომდინარე, განვითარებული ელექტრონული ხელმოწერის პრაქტიკაში დანერგვა უკავშირდება სერტიფიკატის გამოყენებას („ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო“, საქართველოს ეროვნული ბანკი 2013, გვ.8).

პოზიცია, რომელიც ეროვნულმა ბანკმა განსაზღვრა უზრუნველყოფს საბანკო სექტორში „განვითარებული ელექტრონული ხელმოწერის“ გამოყენების ხარისხობრივ თავსებადობას ზემოთ აღნიშნული დირექტივის მოთხოვნებთან; თუმცა, ციფრულ სერტიფიკატთან ერთად, გამოყენებული უნდა იქნას ხელმომწერის მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია, ამ შემთხვევაში პერსონალური მონაცემები, რომელიც მიეძღება ელექტრონულ დოკუმენტს, ხოლო ეს კავშირი დადასტურდება ხელმოწერის ციფრული სერტიფიკატის მეშვეობით. ამ შემთხვევაში გამოყენებული „მაიდენტიფიცირებელი“ არ გულისხმობს საბანკო სექტორში არსებულ „იდენტიფიკაციის“ განხორციელებას. „იდენტიფიცირება“ გულისხმობს „ამ დოკუმენტის მიზნებისათვის, ელექტრონული ხელმოწერის მეშვეობით ხელმომწერის იდენტურობის დადგენას, რაც უკავშირდება ელექტრონულ ხელმოწერაში „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პერსონალური მონაცემის მონაწილეობას. აღნიშნული არ გულისხმობს „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის“ შესახებ საქართველოს კანონისა და მის საფუძველზე გამოცემული ნორმატიული აქტებით განსაზღვრულ იდენტიფიცირებას“ („ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო“, საქართველოს ეროვნული ბანკი 2013, გვ.12). პერსონალურ მონაცემი განიმარტება, როგორც „...პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნით“ (საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ 2011). თავის მხრივ ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემები, რომელიც საბანკო სექტორში გამოყენებულ განვითარებულ ელექტრონულ ხელმოწერაში მონაწილეობს როგორც ხელმომწერის მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია, შემდეგი სახით განიმარტება: „ელექტრონული ხელმოწერის შექმნის მონაცემების შემადგენელი ნაწილი, კერძოდ სტატიკური და დინამიური მონაცემების ერთობლიობა, რომელიც დაკავშირებულია ელექტრონულ ხელმოწერასთან, უნიკალურია თი-

თოეული ხელმოწერი პირისთვის და რომლითაც შესაძლებელია ამ პირის იდენტიფიცირება, და შესაძლოა შეიცავდეს ელექტრონული ხელმოწერის შექმნის მოწყობილობის მიერ განსაზღვრულ სხვა, დამატებით მონაცემებს“ („ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო“, საქართველოს ეროვნული ბანკი 2013, გვ.13). ხელმოწერის შესრულების დროს, აღნიშნული მონაცემები აიღება ხელმოწერის დაფის მეშვეობით, რომლებიც შესაბამისი შიფრაციის შემდეგ „ხელმოწერის შექმნის გარემოს“ მეშვეობით უკავშირდება ხელმოსაწერ ელექტრონულ დოკუმენტს და დასტურდება ციფრული სერტიფიკატით. ხელმოწერის დაფის მიერ მიღებული ბიომეტრიული მონაცემები სავალდებულოა აკმაყოფილებდეს შესაბამისი ISO სტანდარტით განსაზღვრულ მინიმალურ ხარისხს, რომ ვარგისი იყოს ხელმოწერის ექსპერტიზისთვის, ხოლო ზემოთხსენებული შიფრაცია, სხვა დანარჩენი ტექნიკური კომპონენტები შესრულებული უნდა იქნას „ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს“ მიერ განსაზღვრული მინიმალური მოთხოვნების დაცვით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ელექტრონული ხელმოწერის ექსპერტიზა ხორციელდება „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ, რომელიც ეროვნული ბანკის ინიციატივით ჩაერთო საბანკო სექტორში ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის პროექტში და აღჭურვილია იმ შესაბამისი ტექნოლოგიური ინსტრუმენტებით, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება პროექტში ჩართულ თითოეულ კომერციულ ბანკში შექმნილ ელექტრონული ხელმოწერის შექმნის გარემოს. აღნიშნული ტექნოლოგიური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად, ბიომეტრიულ მონაცემებზე შექმნილი ელექტრონული ხელმოწერის ექსპერტიზა დაიყვანება ქაღალდზე შესრულებულ პირადი ხელმოწერის ექსპერტიზამდე. აქვე პასუხი უნდა გაეცეს კითხვას, დროის რა პერიოდის განმავლობაშია შესაძლებელი გამოყენებული ელექტრონული ხელმოწერის ექსპერტიზა. ელექტრონული დოკუმენტის დედანი, რომელიც შესაძლებელია არსებობდეს მხოლოდ ელექტრონული ფორმით, სავალდებულოა კომერციული ბანკის მიერ შენახული იქნას დოკუმენტის მოქმედების ვადის გასვლის მომენტიდან თხუთმეტი წლის განმავლობაში. შესაბამისად, აღნიშნული პერიოდის განმავლობაში ელექტრონული დოკუმენტი, რომელიც ხელმოწერილია ბიომეტრიულ მონაცემებზე დაყრდნობილი ელექტრონული ხელმოწერით, სავალდებულოა



ინარჩუნებდეს ორ ფუნქციას: პირველი – დროის ნებისმიერი მომენტისთვის შესაძლებელი იყოს დადასტურება იმისა, რომ ხელმოწერის მომენტში გამოყენებული ციფრული სერტიფიკატი წარმოადგენდა ქმედით სერტიფიკატს; და მეორე – შესაძლებელი იყოს დოკუმენტიდან დაშიფრული ბიომეტრიული მონაცემების ამოღება და ეს ბიომეტრიული მონაცემები ვარგისი იყოს ექსპერტიზისთვის. აღნიშნული მიზნის მისაღწევად სავალდებულოა ხელმოწერა შესრულდეს „გრძელვადიანი ვალიდაციის“ პირობების გათვალისწინებით, რაც სავალდებულოა ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. დოკუმენტის „გრძელვადიანი ვალიდაციის“ უზრუნველყოფა ძირითადად შესაძლებელია ორი ფაქტორის გათვალისწინებით: ხელმოწერა შესრულებული უნდა იქნას მხოლოდ და მხოლოდ pdf ფორმატის შესაბამისი ვერსიის ელექტრონულ დოკუმენტზე და გამოყენებულ ციფრულ ხელმოწერაზე დატანილი უნდა იქნას ისეთი ატრიბუტი როგორცაა „დროის აღნიშვნა“. ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული „ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო“ მინიმალურ სავალდებულო მოთხოვნად აყენებს დოკუმენტის გრძელვადიანი ვალიდაციის ორივე ფაქტორის დაცვას.

იმისთვის რომ დავასრულოთ საბანკო სექტორში გამოყენებული განვითარებული ელექტრონული ხელმოწერის მოდელის წარმოდგენა, გთავაზობთ მის განმარტებას (ელექტრონული ხელმოწერის სახელმძღვანელო ჩარჩო–ს შესახებ ევროპარლამენტისა და ევროპული საბჭოს 1999/93/EC დირექტივა 1999) მოკლე კომენტარებით: ელექტრონული ხელმოწერა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- დაკავშირებულია მხოლოდ ხელმოწერთან – ხელმოწერის გარეშე უზრუნველყოფს მხოლოდ ხელმოწერის მონაწილეობას უშუალოდ ხელმოწერის პროცესის დროს;
- მისი მეშვეობით შესაძლებელია ხელმოწერის იდენტიფიცირება – ბიომეტრიული მონაცემებით შესაძლებელია ხელმოწერის იდენტიფიცირება;
- შექმნილია ხელმოწერის შექმნისთვის აუცილებელი მონაცემების გამოყენებით, ისე რომ ხელმოწერი ხელმოწერის პროცესში უზრუნველყოფილია ნდობის მაქსიმალური პირობებით, რათა ხელმოწერა განხორციელდეს მისი ერთპიროვნული კონტროლის ქვეშ – ეროვნული ბანკი განიხილავს და ამტკიცებს კომერციული ბანკის მხოლოდ იმ უსაფრთხოების პოლიტიკას, რომელიც იძლევა ხელმოწერის ერთპიროვნული

კონტროლის შესაძლებლობას ხელმოწერის შესრულების პროცესში;

- დაკავშირებულია იმ მონაცემებთან რომელსაც ხელმოწერი ხელს აწერს ისე, რომ ხელმოწერა იძლევა ამ მონაცემებში ნებისმიერი ცვლილების აღმოჩენის შესაძლებლობას – დაშიფრული ბიომეტრიული მონაცემების ხელმოსაწერ დოკუმენტთან დაკავშირების შემდეგ ციფრული სერტიფიკატის გამოყენება უზრუნველყოფს მის გამოყენებამდე არსებულ ელექტრონულ ინფორმაციაში ნებისმიერი ცვლილების აღმოჩენის შესაძლებლობას.

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთაღნიშნული დირექტივის ტექნოლოგიურად ნეიტრალური ბუნებიდან გამომდინარე, ბიომეტრიული მონაცემების გამოყენება განვითარებული ელექტრონული ხელმოწერის შესასრულებლად არ წარმოადგენს ერთადერთ ალტერნატივას. შესაბამისად, შესაძლებელია განხილული იქნას ნებისმიერი ტექნოლოგიური მოდელი, რომელიც ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრულ მინიმალურ სავალდებულო მოთხოვნებს და საერთაშორისოდ აღიარებულ შესაბამის სტანდარტებს დააკმაყოფილებს.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, „დროის აღნიშვნა“ განმარტებულია საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში და გულისხმობს „მონაცემთა ერთობლიობას, რომელიც იქმნება ტექნიკური საშუალებების სისტემის მეშვეობით და ადასტურებს ელექტრონული დოკუმენტის შექმნის დროს“ (საქართველოს კანონი „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“ 2008). ელექტრონული დოკუმენტის „გრძელვადიანი ვალიდაციის“ უზრუნველყოფის მიზნით, საბანკო სექტორში განვითარებული ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის პროცესში აუცილებელი გახდა გამიჯნულიყო „ელექტრონული დოკუმენტის შექმნის“ და „ელექტრონულ დოკუმენტზე ციფრული ხელმოწერის შესრულების“ დროის აღნიშვნა, რომელთა შორის სხვაობა შესაძლებელია გააზრებული იქნას როგორც „არსებითად დიდი დრო“ ელექტრონული ხელმოწერის სანდობის ხარისხის განსაზღვრისთვის. თავისთავად ელექტრონული დოკუმენტის შექმნა შესაძლებელია ნიშნავდეს ნებისმიერ ელექტრონულ ფორმატში ინფორმაციის განთავსებას ყოველგვარი ხელმოწერისა და დაცვის გარეშე. განვითარებული ელექტრონული ხელმოწერით დადასტურებული დოკუმენტის გრძელვადიანი ვალიდაციის უზრუნველყოფისთვის საჭიროა შესაძლებელი გახდეს ციფრული ხელმოწერის შესრულების დროის დაფიქსირება, მყისიერად, ხელმოწერის დასრულებისთანავე დროის იმდენად

მცირე შუალედის განმავლობაში, როცა შეუძლებელია დოკუმენტზე ნებისმიერი ქმედება, დროის კონკრეტული მონაკვეთისთვის არსებული მოწინავე ტექნოლოგიების გამოყენების შემთხვევაშიც. გარდა ამისა, დროის აღნიშვნა შესაძლებელია შესრულებული იქნას როგორც ელექტრონული ხელმოწერის გარემოზე პასუხისმგებელი პირის სერვერიდან, ასევე დამოუკიდებელი მესამე მხარის სერვერიდან. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდების და სანდოობის ხარისხის უზრუნველსაყოფად, საბანკო სექტორში ციფრული ხელმოწერის გამოყენება დადასტურებული უნდა იქნას დამოუკიდებელი მესამე მხარის მიერ მოწოდებული დროის აღნიშვნის მომსახურებით. ასეთი მხარე, ელექტრონული ხელმოწერის შექმნის პროცესში მონაწილე სხვა სერვისის მომწოდებლებთან ერთად, ეროვნული ბანკის მიერ აღიარებული უნდა იქნას „სანდო სერვისის მიმწოდებლად“. ამასთანავე, დროის აღნიშვნის სანდო სერვისის მიმწოდებლის პროდუქტი უნდა წარმოადგენდეს კრიპტოგრაფიულ მესიჯს, რომელიც შესრულებული იქნება და გამოიყენება RFC 3161 დროის აღნიშვნის პროტოკოლის შესაბამისად. ამასთანავე პროექტის ფარგლებში გამოიყენება „ხელმოწერის დროის აღნიშვნა“ და „დოკუმენტის დროის აღნიშვნა“. მეტი სიცხადისთვის გადავამოთ თითოეული მათგანის ინტერპრეტაციას:

ხელმოწერის დროის აღნიშვნა – კრიპტოგრაფიული მესიჯი (a hash), რომელიც იანგარიშება ციფრული ხელმოწერის დირექტორიაში არსებულ შემადგენლობაზე და რომელიც ხელმოწერილი უნდა იქნას სანდო მესამე მხარის მიერ და მიუთითებს ციფრული ხელმოწერის შექმნის დროს. აღნიშნული კრიპტოგრაფიული მესიჯი იგზავნება სანდო მესამე მხარის სერვერზე, რომელზეც კეთდება ციფრული ხელმოწერა აღნიშნული მხარის კუთვნილი სერტიფიკატის გამოყენებით, რაც ნიშნავს მიღებული კრიპტოგრაფიული მესიჯის დაშიფრვას დახურული გასაღებით. ხელმოწერილი კრიპტოგრაფიული მესიჯი სანდო მესამე მხარის სერტიფიკატთან ერთად უბრუნდება მის გამგზავნ მხარეს და მიეზღვება ციფრული ხელმოწერის დირექტორიის ხელმოწერულ შემადგენლობას;

დოკუმენტის დროის აღნიშვნა – კრიპტოგრაფიული მესიჯი (a hash), რომელიც იანგარიშება დოკუმენტზე, ამ დოკუმენტის უსაფრთხოებასთან (მათ შორის ელექტრონულ ხელმოწერასთან) დაკავშირებულ ნებისმიერ ინფორმაციასთან ერთად, ხელმოწერილი უნდა იქნას სანდო მესამე მხარის მიერ და დადასტურებს ამ დოკუმენტის მოცემული შემადგენლობით არსებობას დროის კონკრეტული მომენტისთვის. აღნიშნული კრიპტოგრაფიული მესიჯი იგზავნება სანდო

მესამე მხარის სერვერზე, რომელზეც კეთდება ციფრული ხელმოწერა აღნიშნული მხარის კუთვნილი სერტიფიკატის გამოყენებით, რაც ნიშნავს მიღებული კრიპტოგრაფიული მესიჯის დაშიფრვას დახურული გასაღებით. ხელმოწერილი კრიპტოგრაფიული მესიჯი სანდო მესამე მხარის სერტიფიკატთან ერთად უბრუნდება მის გამგზავნ მხარეს და მიეზღვება აღნიშნულ დოკუმენტს;

სანდო სერვისის მიმწოდებლის დროის აღნიშვნა საბანკო სექტორში გამოყენებულ იქნა პირველი განვითარებული ელექტრონული ხელმოწერის შექმნისთანავე, 2014 წლის 10 თებერვალს. საინტერესოა, რომ დროის აღნიშვნის გამოყენება სავალდებულო ხასიათის გახდა ევროკავშირში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად მოგვიანებით, 2014 წლის ივლისში, როცა ევროპარლამენტისა და ევროპული საბჭოს მიერ მიღებულ იქნა ახალი რეგულაცია. დღესდღეობით, საქართველოს საბანკო სექტორში ელექტრონული ხელმოწერის შესრულებისას გამოიყენება „ხელმოწერის დროის აღნიშვნა“, ხოლო დოკუმენტის გრძელვადიანი ვალიდაციის პროცესში, გარკვეული ფაქტორების გათვალისწინების შესაბამისად სავალდებულო იქნება „დოკუმენტის დროის აღნიშვნის“ გამოყენება.

ხელმოწერის შესრულების დადასტურების ეს ფორმა სრულდება თითოეულ ხელმოწერაზე ცალკე, რაც გულისხმობს კლიენტის ხელმოწერის დამოუკიდებელ დადასტურებას და ბანკის წარმომადგენლის ხელმოწერის დამოუკიდებელ დადასტურებას. ორივე მათგანი შესაძლებელია შესრულდეს ხელმოწერის ბიომეტრიულ მონაცემებზე დაყრდნობით. მეტი სიცხადისთვის მნიშვნელოვანია დაკონკრეტდეს, რომ საბანკო პროდუქტების მომხმარებლის ხელმოწერა, არსებული მოდელის შესაბამისად, სავალდებულოა შესრულდეს ხელმოწერის ბიომეტრიულ მონაცემებზე დაყრდნობით. ზემოთ არაერთხელ იყო აღნიშნული, რომ სახელმძღვანელო დირექტივის ტექნოლოგიურად ნეიტრალური ბუნებიდან გამომდინარე განვითარებული ელექტრონული ხელმოწერა შესაძლებელია შესრულდეს სხვადასხვა მოდელის გამოყენებით თუ ის შეესაბამება ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრულ სავალდებულო მინიმალურ და დირექტივით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამ მოცემულობამ შესაძლებელი გახადა კომერციული ბანკის მხრიდან „იურიდიული პირის ხელმოწერის“ გამოყენება, რაც პრაქტიკაში გულისხმობს კომერციული ბანკის წარმომადგენლის, კონკრეტული ფიზიკური პირის ნაცვლად ხელმოწერა შეასრულოს უშუალოდ კომერციულმა ბანკმა, როგორც იურიდიულმა პირმა, მხოლოდ და მხო-



ლოდ ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებული უსაფრთხოების პოლიტიკის შესაბამისად და ასევე ეროვნული ბანკის მიერ დაშვებულ კონკრეტულ საბანკო ოპერაციებზე. რეალურად, საბანკო სექტორში (და არა მარტო საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში) პირველად გამოყენებული იქნა ე. წ. „იურიდიული პირის ხელმოწერა“, რომლის ანალოგი ვერორეგულაციებით დაშვებული იქნა მოგვიანებით, 2014 წლის ივლისში მიღებული რეგულაციით. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების ამ თავისებურებამ კომერციულ ბანკს მისცა საბანკო ოპერაციების ოპტიმიზაციისა და ხარჯების მინიმიზაციის შესაძლებლობა, ისე რომ შენარჩუნებულ იქნა ელექტრონული ხელმოწერის შექმნის გარემოს სანდოობისა და დაცვის ხარისხი.

საბანკო სექტორში გამოყენებული განვითარებული ელექტრონული ხელმოწერის მოდელის აღწერა უნდა დასრულდეს ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული „ელექტრონული შტამპის“ გამოყენებით, რაც წარმოადგენს „კომერციული ბანკის მიერ შესრულებულ ელექტრონულ დადასტურებას, რომელიც მიბმულია ელექტრონულ დოკუმენტზე და ადასტურებს ამ კომერციული ბანკის მიერ ელექტრონული დოკუმენტის მომზადებას“ („ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო“, საქართველოს ეროვნული ბანკი 2013, გვ.16) მის მიერ შექმნილ გარემოში და რაც ასევე ემყარება ხელმოწერის ციფრული სერტიფიკატის გამოყენებას.

დასკვნა

საბანკო სექტორში ელექტრონული ხელმოწერის გამოყენება მოიაზრებს არა მხოლოდ მომხმარებელთან პირისპირ მომსახურების გაწევისას, არამედ საბანკო ოპერაციების დისტანციურად განხორციელებისას ელექტრონული ხელმოწერის ისეთი მოდელის გამოყენებას, რომელიც მიჩნეული იქნება პირადი ხელმოწერის ტოლფასი იურიდიული ძალის მქონედ და შესრულდება ელექტრონული ხელმოწერის შექმნის სანდო და დაცულ გარემოში. როგორც დისტანციურად შექმნილი ელექტრონული ხელმოწერის, რომლის შესრულების გარემოც მართული უნდა იყოს „სანდო სერვისის მომსახურების“ მიმწოდებლის მიერ, ასევე მომხმარებელ(ებ)ის მიერ მართული ხელმოწერის გარემოს პირობებში შექმნილი ელექტრონული ხელმოწერის გამოყენება უზრუნველყოფს მნიშვნელოვან ეკონომიკურ სარგებელს. მიუხედავად ამისა, დასახელებულ ორივე გარემოს პირობებში შექმნილი ხელმოწერას უნდა მიეცეს ლეგალური აღიარება, რაც უნდა დაეფუძნოს შესაბამისი მმართველობითი და ადმინისტრაციული უსაფრთხოების პროცედურების არსებობას და სანდო სისტემებისა და პროდუქტების გამოყენებას, რაც ასევე მოიცავს კომუნიკაციის ელექტრონული არხების შესაბამის დაცულობას, და გარანტირებული იყოს ელექტრონული ხელმოწერის სანდო და დაცული გარემოს შექმნა და აღნიშნული გარემოს

გამოყენება ხელმოწერის ერთპიროვნული კონტროლის ქვეშ. აღნიშნული გარემოს ქვეშ მოიაზრება ელექტრონული დოკუმენტის დაცული გზით მიწოდების შესაძლებლობა. ელექტრონული დოკუმენტის დაცული გზით მიწოდება მნიშვნელოვანი საკითხია, მით უფრო საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით, რადგან ელექტრონული დოკუმენტის დედანი (კანონმდებლობის შესაბამისად) შესაძლებელია არსებობდეს მხოლოდ ელექტრონული ფორმით, ხოლო მისი მატერიალური ფორმა განიხილება როგორც დოკუმენტის ასლი, თუ დადასტურებულია ხელმოწერით. საბანკო სექტორში შექმნილი იმ ელექტრონული დოკუმენტის დედანი, რომელიც დამოწმებული/დადასტურებულია ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებული უსაფრთხოების პოლიტიკის შესაბამისად, შესაძლებელია კლიენტმა მიიღოს კომუნიკაციის ისეთი დაცული არხის საშუალებით, რომელიც პრაქტიკულად გამორიცხავს არაავთენტური დოკუმენტის მიღებას. თუმცა, ამ შემთხვევაში დღის წესრიგში დგება ელექტრონული დოკუმენტის დაცული გზით მიწოდების შესაძლებლობა მესამე მხარისთვის, რაც საბანკო სექტორში ელექტრონული დოკუმენტბრუნვის დამკვიდრებისა და განვითარების შემდეგი ეტაპია.

ლიტერატურა:

1. ევროპარლამენტისა და ევროპული საბჭოს რეგულაცია N910/2014 „ელექტრონული იდენტიფიკაცია და სანდო სერვისები ელექტრონული ტრანზაქციებისთვის“, 23 ივლისი 2014, <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?qid=1409220583805&uri=OJ:JOL_2014_257_R_0002>.
2. საქართველოს ეროვნული ბანკი, 2013, „ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო“, < <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=623> >.
3. საქართველოს ეროვნული ბანკი, 2013, „საბანკო სექტორში ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის პროექტის აღწერა“, 2013 < <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=623> >.
4. საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, 2011.
5. საქართველოს კანონი „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“, 2008.
6. UNCITRAL, 2001, „მოდალური კანონი ელექტრონული ხელმოწერის შესახებ“.
7. ევროპარლამენტისა და ევროპული საბჭოს 1999/93/EC დირექტივა „ელექტრონული ხელმოწერის სახელმძღვანელო ჩარჩო“-ს შესახებ, 13 დეკემბერი 1999.
8. Hans Nilsson, (20 July, 1999). Final Report of the EESSI Expert Team. ელექტრონული ხელმოწერის ევროპის სტანდარტიზაციის ინიციატივა.



ვირტუალური/კრიპტოგრაფიული ვალუტა და მისი თავისებურებები ვირტუალური ვალუტების რეგულირება (BITCOIN-ის მაგალითზე)

შესავალი

ციფრული ტექნოლოგიების განვითარებასთან და 90-იანი წლებიდან ინტერნეტის მომხმარებლების რაოდენობის მკვეთრ ზრდასთან ერთად ჩნდება ციფრული ვალუტები, რომელთა მეშვეობითაც ვირტუალურ საზოგადოებაში საქონლისა და მომსახურების გაცვლაა შესაძლებელი (ECB 2012, გვ.10-11). უკვე 2000 წლიდან ევროკავშირი იწყებს „ელექტრონული ფულის ინსტიტუტების ბიზნესის“ ზედამხედველობას; თუმცა, ახალი ტიპის ვირტუალური ვალუტის ე.წ კრიპტოგრაფიული ვალუტის (როგორცაა, bitcoin) გაჩენამ 2009 წელს და მისი პოპულარობის ზრდამ ახალი გამოწვევების

წინაშე დააყენა ცენტრალური ბანკები. ინტენსიური კვლევის საგანი გახდა კრიპტოგრაფიული ვალუტების დეცენტრალიზებული სტრუქტურა და გადახდების განხორციელებისა და შენახვის თავისებურებები.

სტატიაში ვალუტების/ფულის კლასიფიკაციისა და ვირტუალური ვალუტების ტიპების აღწერის შემდეგ, bitcoin-ის მაგალითზე, განხილულია კრიპტოგრაფიული ვალუტის შექმნისა და ფუნქციონირების სქემა. ყურადღება გამახვილებულია მის ძირითად სისუსტეებზე, აგრეთვე ასახულია გამოწვევები ზედამხედველობისათვის.

ციფრული და ვირტუალური ვალუტების კლასიფიკაცია

ციფრული ვალუტები ფულის განვითარების ხანგრძლივი ისტორიის თანამდროვე ეტაპია. ფულის/ვალუტის კლასიფიკაციისთვის ორი ფაქტორია მნიშვნელოვანი: იურიდიული სტატუსი და ფულის ფორმატი (იხ. ცხრილი 1) (ECB 2012, გვ. 11).

ფორმატის მიხედვით ფული შეიძლება დაიყოს

ფიზიკური და ციფრული ფორმის ფულად. ფიზიკური ფორმის მქონე ვალუტები ტრადიციულად ორ ტიპად იყოფა: რეგულირებადი ვალუტები, როგორებიცაა ცენტრალური ბანკის¹ მიერ ემიტირებული ბანკნოტები და მონეტები, და არარეგულირებადი ე.წ ლოკალური/კერძო ფული.

ცხრილი №1.

ფულის/ვალუტის კლასიფიკაცია

იურიდიული სტატუსი	არარეგულირებადი	ლოკალური/კერძო ფული	ვირტუალური ვალუტა
	რეგულირებადი	ბანკნოტები და მონეტები	ელექტრონული ფული ფული ანგარიშებზე კომერციული ბანკში (დეპოზიტები)
		ფიზიკური	ციფრული
		ფულის ფორმატი	

1. ან მისი ფუნქციების შემსრულებელი სხვა ორგანოს მიერ.



ანალოგიურად ციფრული ფორმატის ვალუტებში შეიძლება გამოიყოს რეგულირებადი ციფრული ვალუტები, რომელთა შორის ყველაზე გავრცელებულია კომერციული ბანკის ფული. ამავე კატეგორიას მიეკუთვნება ელექტრონული ფულიც², რომელიც

- ა) წარმოადგენს მოთხოვნას მისი გამომშვების მიმართ³;
- ბ) შენახულია ელექტრონულად;
- გ) გამომშვებელი მონეტარული სიდიდე ექვივალენტურია მიღებული ფულადი საშუალებების ოდენობისა⁴;
- დ) აღიარებულია გადახდის საშუალებად გამომშვების გარდა სხვა პირების მიერ.

ამგვარად, ევროპის ცენტრალური ბანკის კლასიფიკაციის შესაბამისად, „ვირტუალური ვალუტა

არის არარეგულირებადი ციფრული ფულის ტიპი, რომლის გამოშვება და ჩვეულებრივ კონტროლიც ხორციელდება მათი შემქმნელების მიერ და გამოიყენება სპეციფიკური ვირტუალური საზოგადოების წევრების მიერ“ (ECB 2012, გვ. 14).

ვირტუალური ვალუტები ფორმითა და გამოყენების სფეროთი ძალიან გავს ელექტრონულ ფულს; ამდენად, მნიშვნელოვანია მათი ცალსახა გამიჯვნა. ამ მხრივ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ ელექტრონული ფული არის **მოთხოვნა** მისი გამომშვების მიმართ და მისი გამოშვება ხდება მიღებული ფულადი საშუალებების სანაცვლოდ. განსხვავება ელექტრონულ ფულსა და ვირტუალურ ვალუტას შორის ჩამოყალიბებულია ცხრილ 2-ში.

ცხრილი №2.

ელექტრონული ფული და ვირტუალური ვალუტა (ECB 2012, გვ. 16)

	ელექტრონული ფული	ვირტუალური ვალუტა
აღრიცხვის ერთეული	ტრადიციული ვალუტები	გამოგონილი ვალუტა
მიღებულია/აღიარებულია გადახდის საშუალებად	გამომშვების გარდა სხვა პირების მიერ	სპეციფიკური ინტერნეტ-საზოგადოება
ფულის მიწოდება	ფიქსირებული (მიღებული ფულადი სახსრების ექვივალენტით)	არ არის ფიქსირებული (დამოკიდებულია ვალუტის შემქმნელზე)
უკუგადაცვლის შესაძლებლობა	გარანტირებულია (თავიდან გადახდილი ფულადი სახსრების ექვივალენტით)	არ არის გარანტირებული
იურიდიული სტატუსი	მოთხოვნა გამომშვების მიმართ	არ არის მოთხოვნა
ზედამხედველობა	კი	არა (2014 წლის აგვისტოს მდგომარეობით ⁵)

ვირტუალური ვალუტების ზემოთ ცხრილში მოყვანილი განსაზღვრება საკმაოდ ზოგადია. უფრო მკაფიო კლასიფიკაციისათვის ევროპის ცენტრალური ბანკი იყენებს ორ ძირითად კრიტერიუმს:

- ა) რეგულირებადი ვალუტით ვირტუალური ვალუტის შექმნის შესაძლებლობა.
- ბ) ვირტუალური ვალუტით რეალური საქონლისა და მომსახურების შექმნის შესაძლებლობა.

აღნიშნული კლასიფიკაციიდან გამომდინარე გამოიყოფა ვირტუალური ვალუტის სამი ძირითადი სქემა (იხ. ცხრილი 3. (ECB 2012, გვ.14));

1. დახურული ვირტუალური ვალუტის სქემა: ვირტუალურ ვალუტას არ აქვს კავშირი რეალურ ეკონომიკასთან. ასეთი ვალუტები ძირითადად თამაშებისათვის გამოიყენება. მაგალითად: მონაწილეობის საფასურის ან მონაწილის ონლაინ ქმედებების სანაცვლოდ მომხმარებელი იღებს ვირტუალურ ვალუტას, რომლის გამოყენება შეუძლია თამაშშივე (ან იგივე ვირტუალურ საზოგადოებაში ვირტუალური საქონლისა და მომსახურების შესაძენად. ასეთი **ვირტუალური ვალუტის** გამოყენება შეუძლებელია ამ ვირტუ-

2. ელექტრონული ფულის მოყვანილი განსაზღვრება ეყრდნობა ელექტრონული ფულის დირექტივას (Directive 2009/110/EC (2009) პარაგრაფი 2 აბზ. 2) და საქართველოს კანონს „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ (მუხლი 2, „ჰ“ ქვეპუნქტი)
 3. საქართველოს კანონი „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ მუხლი 18, პუნქტი 10
 4. ელექტრონული ფულის დირექტივის (Directive 2009/110/EC (2009) პარაგრაფი 2 აბზ. 2) განსაზღვრებით „არანაკლებია“.
 5. მიმდინარე ეტაპზე მსოფლიოს საზედამხედველო ორგანოების მიდგომა ბიტკოინის რეგულირებასთან მოცემულია ქვემოთ.

ალური საზოგადოების გარეთ⁶. ასეთი ვალუტის კარგი მაგალითია ცნობილი ონლაინ თამაში „World of Warcraft“ (WoW).

2. ცალმხრივი ვირტუალური ვალუტის სქემა: ვირტუალური ვალუტა შესაძლებელია შეიძინო რეალური ვალუტის სანაცვლოდ; თუმცა, უკუგადაცვლა არ არის ნებადართული. გადაცვლის პირობები და კურსი განისაზღვრება ვალუტის შემქმნელის მიერ. ამ ტიპის ვალუტებით ჩვეულებრივ შესაძლებელია ვირტუალური საქონლისა და მომსახურების შეძენა, მაგრამ ზოგ შემთხვევაში შესაძლებელია რეალურ საქონლისა და მომსახურების შეძენაც. მაგალითად, 2009 წელს დანერგილი ფეისბუქ-კრედიტი (Facebook Credit), რომლის შეძენა

შესაძლებელი იყო საკრედიტო ბარათით, „პეიპალით“ (Paypal), ან გადახდის რიგი სხვა საშუალებებით. აგრეთვე არსებობდა მათი გარკვეული მოქმედებებით გამომუშავების საშუალება. ფეისბუქ-კრედიტებით შესაძლებელი იყო ფეისბუქზე ვირტუალური პროდუქტების ყიდვა/გაყიდვა; თუმცა, უკუგადაცვლა რეგულირებად ვალუტაზე არ იყო შესაძლებელი (Deborah, 2010).

3. ორმხრივი ვირტუალური ვალუტის სქემა: ვირტუალური ვალუტის ყიდვა და გაყიდვა შესაძლებელია რეალური ვალუტის სანაცვლოდ, ასევე (როგორც წესი) შეზღუდვის გარეშე შესაძლებელია რეალური საქონლისა და მომსახურების შეძენა.

ცხრილი №3.
ვირტუალური ვალუტების კლასიფიკაცია

ვირტუალური ვალუტის სქემა	ვირტუალური ვალუტის შეძენა	ვირტუალური ვალუტის გაყიდვა	რეალური საქონლისა და მომსახურების ყიდვა
დახურული	მხოლოდ ვირტუალურ საზოგადოებაში გარკვეული ქმედებით	შავი ბაზარი	
ცალმხრივი	რეალური ვალუტით		
ორმხრივი	რეალური ვალუტით	რეალური ვალუტით	შესაძლებელია

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ციფრული ვალუტების კლასიფიკაციისთვის იყენებენ ასევე უშუალოდ გადახდის პროცესში ჩართული სანდოდ მიჩნეული მესამე მხარის არსებობა/არარსებობას (ონლაინ და ოფლაინ სისტემები), ან ვირტუალური ვალუტის სისტემის ცენტრალიზაციას (ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული სისტემები).

ა) ონლაინ და ოფლაინ სისტემები

ონლაინ სისტემის შემთხვევაში ციფრული ვალუტით გადახდის დროს ტრანზაქციის განხორციელებისათვის აუცილებელია მესამე, სანდო მხარის მონაწილეობა, რათა შემოწმდეს გადახდილი ციფრული ვალუტის ლეგიტიმურობა და თავიდან იქნეს აცილებული ერთი და იმავე ვალუტით ორმაგი გადახდა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტიპის სქემით მუშაობს ჩვენთვის ყველასთვის კარგად ცნობილი

ტრადიციული პლასტიკური ბარათების სისტემები, ასევე ელექტრონული ფული. ოფლაინ სისტემების შემთხვევაში კი გადახდის მომენტში მიმღები მხოლოდ ნაწილობრივ ამოწმებს გადახდის ლეგიტიმურობას, ხოლო საბოლოო შემოწმება ხორციელდება ტრანზაქციის განხორციელების შემდეგ მიმღებისა და ციფრული ვალუტის გამომშვებს შორის მონაცემების გაცვლის შემდეგ. ასეთი სისტემები არის მაგალითად ციფრული ნაღდი ფულის ოფლაინ სისტემები (electronic cash, E-Cash).

ბ) ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული სისტემები

ზოგადად ფულის ციფრულად შენახვისა და ელექტრონული საგადახდო სისტემების დაარსებისთანავე გაჩნდა მათი არსებობის უზრუნველყოფისთვის აუცილებელი მინიმალური მოთხოვნების შესრულების აუცილებლობა (Basieri etc, 2013), კერძოდ:

6. თუმცა არსებობს იმის მაგალითიც, რომ მაგალითად World of Warcraft ვირტუალური ვალუტა შავ ბაზარზე იყიდებოდა თამაშის გარეთ.



1. ორმაგი გადახდის თავიდან აცილება (double spending perceptibility);
2. გაყალბების შეუძლებლობა; განსაკუთრებით ციფრული ვალუტის შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ მისი ემისია ხდებოდეს მხოლოდ ავტორიზებული პირის/პირების მიერ ან წინასწარ დადგენილი, საჯარო ალგორითმით;
3. განხორციელებული ტრანზაქციების შენახვა (data attachability);
4. დანაწევრების შესაძლებლობა (Divisibility);
5. ტრანსფერის განხორციელების შესაძლებლობა (Transferability);
6. ანონიმურობა და არალეგალური ოპერაციების შემთხვევაში ანონიმურობის გახსნის (Anonymity revocation) შესაძლებლობა.

ციფრული ვალუტის განვითარების საწყის ეტაპზე ამ მოთხოვნების დაკმაყოფილება ხორციელდებოდა შესაბამისი სისტემების ცენტრალიზაციის ხარჯზე. კერძოდ, ცენტრალიზებული სისტემის დროს ვალუტის გამოშვება ხორციელდება **სანდო მესამე მხარის** მიერ, რომელიც მის მიერ დანერგილი ალგორითმისა და უსაფრთხოების სისტემების საშუალებით უზრუნველყოფს ზემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნების შესრულებას. მიმდინარე ეტაპზე ყველა რეგულირებად ციფრული ფორმატის ვალუტას (ფული ანგარიშებზე კომერციულ ბანკში და ელექტრონული ფული) ცენტრალიზებული სტრუქტურა აქვს, ისევე როგორც არარეგულირებადი ციფრული ვალუტების ნაწილს: მაგალითად, Linden Dollars თამაშში Second Life⁷, რომლის ემისიასაც ახორციელებს თამაშის ორგანიზატორი. დეცენტრალიზებული სისტემის შემთხვევაში კი ციფრული ვალუტა იქმნება წინასწარ განსაზღვრული ალგორითმით და არ არსებობს ცენტრალური ორგანო, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ფულის ემისიაზე⁸. ასეთ ვალუტას წარმოადგენს ბიტკოინი (bitcoin) და მისი მსგავსი ვირტუალური ვალუტები. დეცენტრალიზებული სისტემების გაჩენასთან ერთად ჩნდება ტერმინი **კრიპტოგრაფიული ვალუტები**, რომლებიც იყენებენ კრიპტოგრაფიულ მეთოდებს ტრანზაქციების გან-

ხორციელების, მათი უცვლელობის დაცვის, ორმაგი გადახდის თავიდან აცილებისა და ახალი ფულის შექმნის კონტროლისათვის (Greenberg, 2011).

ბიტკოინის ფუნქციონირების სქემა

კრიპტოგრაფიული ვალუტებიდან მიმდინარე ეტაპზე ყველაზე წარმატებული და გავრცელებულია ბიტკოინი. მისი აღწერა პირველად გამოქვეყნდა სატოში ნაკამოტოს (Satoshi Nakamoto⁹) მიერ 2008 წელს (Nakamoto, 2008), ხოლო 2009 წლიდან გამოჩნდა ბიტკოინის გამოყენებისათვის საჭირო ღია პროგრამული უზრუნველყოფა, რომელმაც საფუძველი დაუდო ბიტკოინის ქსელის შექმნას.


ტექნიკურად ბიტკოინი ეფუძნება ე.წ. ერთ-რანგიან, პირინგულ (Peer-to-Peer, P2P) ქსელს და შესაბამისად მას არ გააჩნია ცენტრალური ადმინისტრატორი. შეტყობინებების გადაცემა ხდება მონაწილიდან მონაწილეზე, თან შეტყობინების მიმღები თვითონ ხდება ამავე შეტყობინების გამცემი ქსელის სხვა მონაწილისათვის¹⁰. გარდა ამისა, გადახდები ქსელის მონაწილეებს შორის დენომინირებულია არა რომელიმე რეალურ ვალუტაში, არამედ თვით ბიტკოინებში, ამასთან ბიტკოინის ღირებულება არ არის მიბმული რომელიმე რეალურ აქტივთან ან ოფიციალურ ვალუტასთან, არამედ მისი ღირებულება სხვა ვალუტებთან მიმართ განისაზღვრება ღია ბაზარზე მოთხოვნისა და მიწოდების საფუძველზე. ზემოქმულიდან გამომდინარე, ბიტკოინი წარმოადგენს დეცენტრალიზებულ ვირტუალურ ვალუტას *ოფლაინ სისტემით* (Brito, Castillo 2013, გვ 3-4).

ბიტკოინის ქსელის დეცენტრალიზაცია აქტუალურს ხდის ციფრული ვალუტის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ზემოჩამოთვლილი მოთხოვნების შესრულებას, რომელთა შორის პირველი რიგის მნიშვნელობა აქვს ორმაგი გადახდის თავიდან აცილების მოთხოვნა.

ცენტრალიზებულ სისტემაში A და B პირებს შორის ონლაინ ტრანზაქციაში¹¹ ჩართულია მესამე სანდო პირი, რომელიც უზრუნველყოფს გადამხდელის მიერ ერთი და იმავე ციფრული ღირებულების ორჯერ

7. თამაშში მომხმარებელი „ცხოვრობს“ ვირტუალურ სამყაროში, რომელსაც გააჩნია თავისი ეკონომიკა, სადაც შეიძლება მუშაობა, დახურულ, ვირტუალურ ეკონომიკაში ტრანზაქციების განხორციელება და სხვა. ფულის ემისიას ორგანიზატორი ახორციელებს წინასწარ მის მიერ შემუშავებული პოლიტიკის შესაბამისად.
 8. თუმცა თუ ეს ალგორითმი არ არის ღია ყველასათვის, მაშინ გამოშვებაზე ზეგავლენის შეუძლებლობა შეიძლება კითხვის ქვეშ დადგეს.
 9. სავარაუდოდ ეს სახელი გამოგონილია, რადგანაც მიუხედავად ბევრი მცდელობისა ვერ იქნა დადგენილი პროგრამისტის იდენტობა. მიმდინარე ეტაპზე ითვლება, რომ ეს შეიძლება პროგრამისტა ჯგუფიც იყოს, რომლის სახელიც იაპონური კონცერნების აბრევიატურით იწოდება. Samsung TOSHIBA NAKAmichi MOTOROLA (Benjamin Wallace (2011)
 10. იგივე პრინციპს ეფუძნება ფაილების გაცვლის პროგრამებიც როგორცაა Torrent, eMule და მსგავსი
 11. ოფლაინ ტრანზაქციების შემთხვევაშიც მესამე სანდო პირი ჩართულია ტრანზაქციის დასრულებაში, თუმცა მისი ჩარევა ხორციელდება არა უშუალოდ ტრანზაქციის განხორციელებისას, არამედ ტრანზაქციის დასრულების შემდეგ გადახდის საბოლოო ვერიფიკაციისათვის. აგრეთვე შესაძლებელია სხვა ტექნიკური მეთოდები ასეთი ვერიფიკაციის განხორციელებისათვის ცენტრალურ ორგანოსთან. (David Chaum, 1992)

ნახ №1.



გამოყენების თავიდან აცილებას. ხოლო თუ ასეთი მესამე მხარე არ იარსებებს, ხოლო ციფრული ფული შენახული იქნება მომხმარებლების კომპიუტერებში, მაშინ, მათი მარტივი ასლის აღებით გადამხდელს შეეძლება ერთი და იმავე ციფრული ფულით ორჯერ გადახდის განხორციელება¹². დეცენტრალიზებული სისტემისთვის სხვა გამოწვევას წარმოადგენს უკვე განხორციელებული ტრანზაქციების დეცენტრალიზებული შენახვა მომხმარებელთა ანგარიშების ბალანსების განსაზღვრისათვის.

ბიტკოინის რეგულაციური სიახლე არის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ორმაგი გადახდის თავიდან აცილებას სანდო მესამე მხარის გარეშე როგორც უშუალოდ ტრანზაქციის დროს, ასევე მისი დასრულების შემდეგაც.

როგორ ხდება ბიტკოინებით გადახდები?

ბიტკოინის მისაღებად და ტრანზაქციების განსახორციელებლად მომხმარებელმა უნდა გადმოწეროს და საკუთარ კომპიუტერზე დააყენოს მიმდინარე ბიტკოინის კლიენტი პროგრამა¹³, რის შემდეგაც იგი ქმნის კრიპტოგრაფიული გასაღებების წყვილს – ღია და დახურულ გასაღებებს. ღია გასაღები ქვეყნდება ბიტკოინის ქსელში (რომლის წევრიც მომხმარებელი გახდა პროგრამის საკუთარ კომპიუტერზე დაყენების შემდეგ), ხოლო დახურული გასაღები ინახება კომპიუტერში ფაილის სახით. მისი წაშლა ან დაკარგვა ავტომატურად ნიშნავს რომ ამ გასაღებებთან დაკავშირებული მონეტები დაიკარგება (ECB 2012, გვ. 23). თითოეულ მო-

მხმარებელს შეუძლია შექმნას შეუზღუდავი რაოდენობის გასაღებების წყვილი და ისინი თავის ბიტკოინის საფულეში მოათავსოს.

ვირტუალური ვალუტის შემქმნელის ნაკამოტოს მიხედვით ბიტკოინის ელექტრონული მონეტა წარმოადგენს ციფრული ხელმოწერების ჯაჭვს (Nakamoto, 2008). ნახ. 1-ზე მოცემულია ერთი და იგივე ბიტკოინი არსებობის სხვადასხვა მომენტში. ტრანზაქციის მისაღებად P^1 -მა მომხმარებელმა უნდა მიაწოდოს თავისი ღია გასაღები ბიტკოინი P^0 მფლობელს. ეს უკანასკნელი თავისი დახურული გასაღებით ციფრულად ხელს აწერს ამ ბიტკოინის „მონეტით“ განხორციელებულ ყველა წინა ტრანზაქციის ჰეშს¹⁴ და მიმღების ღია გასაღებს. ამგვარად თითოეული ბიტკოინი შეიცავს ინფორმაციას მისი მეშვეობით განხორციელებული ყველა ტრანზაქციის შესახებ. პრაქტიკულად გადახდა (ტრანზაქცია) წარმოადგენს გადამხდელის ხელმოწერილ შეტყობინებას, რომელიც შეიცავს გამოყენებული ბიტკოინების „ისტორიის“ ჰეშს (და შესაბამისად გადახდის თანხას ბიტკოინებში) და მიმღების ღია გასაღებს. გადამხდელის ლეგიტიმაცია მოწმდება მისი (გამოქვეყნებული) ღია გასაღების მეშვეობით, ხოლო შეტყობინებაში მოთავსებული მიმღების ღია გასაღები საჯაროდ აფიქსირებს ამ ბიტკოინების ახალ მფლობელს. ამის შემდეგ ტრანზაქციაზე ფიქსირება დროის აღნიშვნა (timestamp) და ინახება საჯარო ბუღალტერიის ბლოკების ჯაჭვის ახალ ბლოკში. ამის შემდეგ ბიტკოინის ქსელის ყველა კომპიუტერი უზრუნველყოფს, რომ ქსელის ყოველ

12. ფიზიკური ფორმატის ფულის შემთხვევაში ასეთი მოქმედების თავიდან აცილება გაყალბების საწინააღმდეგო დაცვის ნიშნების მეშვეობით ხდება.

13. იმის გამო რომ ბიტკოინი დეცენტრალიზებული სისტემაა, არ არსებობს სანდო მესამე მხარე, რომელიც დაადასტურებდა გამოყენებული პროგრამული უზრუნველყოფის ხარისხსა და მის მუშაობას ბიტკოინის წესების შესაბამისად. ამდენად აუცილებელია, რომ ასეთი პროგრამული უზრუნველყოფა იყოს ღია პროგრამული კოდით, რათა ყველას ქონდეს საშუალება დარწმუნდეს მის სისწორეში და შეცდომების არარსებობაში.

14. ჰეში წარმოადგენს სპეციალური კრიპტოგრაფიული ჰეშფუნქციის გამოყენებით გამოთვლილ სიდიდეს, რომელის მეშვეობითაც შესაძლებელია მის საფუძვლად არსებული სიდიდის /ტექსტის უცვლელობის შემოწმება. მეტი ინფორმაცია ჰეშ ფუნქციების შესახებ იხ. Ovie Carroll and Mark Krotoski 2014:



მონაწილეს ჰქონდეს განახლებული ინფორმაცია განხორციელებული ტრანზაქციებისა და შესაბამისად ბიტკოინის ახალი მფლობელის შესახებ.


როგორ მოწმდება ტრანზაქციების სისწორე და იწარმოება საერთო ბუღალტერია?

როგორც უკვე აღინიშნა ბიტკოინის ქსელს არ გააჩნია ცენტრალური სანდო პირი, რომელიც აწარმოებდა ცენტრალიზებულ აღრიცხვას. ამდენად საჭიროა მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს განხორციელებული ტრანზაქციების დადასტურებას და თავიდან აიცილებს გადამხდელის მიერ იმავე ბიტკოინით სხვა ტრანზაქციის განხორციელებას. საერთო ბუღალტერიის წარმოება დამოკიდებულია იმ მომხმარებლებზე (მათ ხშირად “მომპოვებლებს” – „miner“ უწოდებენ), რომლებიც თავიანთი კომპიუტერების გამოთვლითი სიმძლავრეების ნაწილს „გადასცემენ“ ბიტკოინის ქსელის განკარგულებაში, რათა მოხდეს განხორციელებული ტრანზაქციების რეკონსილაცია და შენახვა ბლოკების ჯაჭვში. ამისათვის ბიტკოინის პროგრამულ უზრუნველყოფაში მოცემული ალგორითმით მომხმარებლები ცდილობენ ამოხსნან რთული მათემატიკური პრობლემა, რომელიც მოიცავს:


- ა) ახალ ბლოკში ტრანზაქციების სისწორის შემოწმებას (ორმაგი გადახდის თავიდან აცილებას, გადამხდელების ლეგიტიმაციას)
 - ბ) წინასწარ დადგენილი სირთულის ხარისხის დაკმაყოფილებას¹⁵.
- ყოველი ახალი ბლოკი უნდა შეიცავდეს ყვე-

ლა წინა ბლოკების ჯაჭვის ჰეშს, რითაც უზრუნველყოფილი იქნება საერთო ბუღალტერიის უწყვეტობა და მთლიანობა (იხ ნახ. 2)¹⁶. ახალი ბლოკი აღიარებული იქნება მას შემდეგ, რაც მის სისწორეს დაადასტურებს¹⁷ ბიტკოინის მონაწილეთა უმრავლესობა. სქემატურად ბლოკების ჯაჭვი შეიძლება წარმოდგენილი იქნეს გრაფის ხის (graph tree) მეშვეობით (იხ. ნახ. 3). ამასთან დადასტურებულია ბლოკების ის ჯაჭვი, რომელიც ყველაზე მეტადაა დაშორებული ამ ხის ფესვიდან (Root block). ამასთან რომელიმე ბლოკში ცვლილების შეტანისათვის აუცილებელი იქნებოდა ამ და მის მომდევნო ყველა ბლოკისათვის ხელახლა იყოს ნაპოვნი შესაბამისი მათემატიკური პრობლემის ამოხსნა, თან უფრო სწრაფად, ვიდრე ალტერნატიულ ჯაჭვში დანარჩენი მომხმარებლები დაადასტურებენ ახალ ბლოკებს, რაც პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის უკვე დადასტურებულ ბლოკებში ცვლილებების შეტანას. აღნიშნული ალგორითმი წარმოადგენს ბიზანტიელი გენერლების ამოცანის ელეგანტურ გადაწყვეტას (Bohm, 2011; Lamport etc. 1982). მიუხედავად დეცენტრალიზაციისა, ცალკეული მომხმარებლების ან მომხმარებელთა ჯგუფის მიერ წინააღმდეგობრივი ტრანზაქციების გენერირების შემთხვევაში ისინი არ იქნება დადასტურებული მანამდე, სანამ ქსელის მომხმარებელთა უმრავლესობა იცავს მიღებულ წესებს. შესაბამისად, რაც მეტია ბიტკოინის ქსელის მონაწილეთა რაოდენობა, მით უფრო რთულია თაღლითებისათვის საერთო ბუღალტერიაში თაღლითური ტრანზაქციების განხორციელება.

ნახ №2. ბიტკოინის ბლოკების ჯაჭვი



ნახ №3. ბიტკოინის ბლოკების ჯაჭვი



15. უფრო ზუსტად ბიტკოინის კრიპტოგრაფიული მექანიზმებისა და მათემატიკური საფუძვლის შესახებ იხ. Satoshi Nakamoto 2008, <<https://bitcoin.org/en/developer-guide#block-chain>>
 16. <<http://bitcoinmke.org/bitcoin-transaction-works/>>
 17. დადასტურება გულისხმობს იმას, რომ ქსელის მონაწილეთა უმრავლესობა ახლადშექმნილ ბლოკის ჰეშს აიღებს მომდევნო ბლოკის შექმნის საწყის კომპონენტად.

ამგვარად, ბულალტერიის წარმოების სქემა შემდეგია:

1. ახალი, ჯერ კიდევ დაუდასტურებელი ტრანზაქციების გამოქვეყნება;
2. გამოქვეყნებული ტრანზაქციების დადასტურება რთული მათემატიკური ამოცანების გადაჭრის გზით;
3. ახალი ბლოკების გამოქვეყნება და უმრავლესობის მიერ დადასტურებული ბლოკის არჩევა ჯაჭვის შემდეგ ბლოკად.


როგორ ხდება ბიტკოინის გამოშვება?

ბიტკოინის ბულალტერიის წარმოებისას ბლოკების ჯაჭვის ახალი დადასტურებული ბლოკის პოვნისათვის შესაბამისი მონაწილე „არაფრისგან“ იღებს ბიტკოინების ფიქსირებულ რაოდენობას. ამასთან, ზემოთ აღნიშნული გადასაწყვეტი მათემატიკური ამოცანის სირთულე პროგრამის მიერ ავტომატურად რეგულირდება იმგვარად, რომ საშუალოდ ყოველ 10 წუთში ნაპოვნი იქნეს ახალი ბლოკი¹⁸. ამ წესის

მეშვეობით ერთდროულად ორი პრობლემის გადაწყვეტა ხდება. ერთი მხრივ, მომხმარებლებს უზრუნველბათ მოტივაცია თავიანთი გამოთვლითი სიმძლავრეების მეტი ნაწილი გამოიყენონ ბიტკოინის ქსელისათვის, რადგანაც რაც მეტია გამოთვლითი სიმძლავრე, მით მეტია ალბათობა რომ ნაპოვნი იქნება ახალი დადასტურებული ბლოკი და მიღებული იქნება ჯილდო (ახალი ბიტკოინები). ხოლო მეორეს მხრივ, ჯაჭვის ახალი დადასტურებული ბლოკის პოვნისათვის მისაღები ბიტკოინების ფიქსირებული რაოდენობა ყოველ 4 წელიწადში ნახევრდება¹⁹, შედეგად ეგზოგენურად არის განსაზღვრული მოცემულ მომენტში გამოშვებული/მოპოვებული ბიტკოინების რაოდენობა და იგი 2040 წლისათვის მიიღწევს მაქსიმალურ რაოდენობას – დაახლოებით 21 მილიონ ბიტკოინს (იხ. ნახ. 4). ნავარაუდებია, რომ ამ მომენტიდან ახალი ბლოკის პოვნისათვის ჯილდო იქნება არა ახალი ბიტკოინების გამოშვება, არამედ ნაპოვნი ბლოკში გაერთიანებული ტრანზაქციების თანხიდან მიღებული საკომისიო (ECB, 2012, გვ. 23-24).

ნახ №4.

გამოშვებული/მოპოვებული ბიტკოინების მაქსიმალური რაოდენობა



18. უნდა აღინიშნოს, რომ მათემატიკური პრობლემა, რომელიც საფუძვლად უდევს ახალი ბლოკების შექმნას, შეუძლებელია ამოიხსნას დეტერმინისტული მეთოდებით. პრინციპში „მოპოვებლები“ განხორციელებული ახალი ტრანზაქციებისათვის ცდილობენ იპოვონ ჰეშის ისეთი სიდიდე, რომელიც ნაკლებია წინასწარ განსაზღვრულ მნიშვნელობაზე. იმის გამო რომ ჰეშის ანგარიშისათვის გამოყენებული ცალმხრივი ფუნქციის მნიშვნელობის წინასწარ დადგენა, ან მისი სასურველი მიმართულებით შეცვლა მიმდინარე ეტაპზე შეუძლებლად ითვლება, „მოპოვებლების“ მიერ გენერირებული ჰეშის სიდიდეები პრაქტიკულად შემთხვევითი სიდიდეებია და მათ მიერ დადგენილი კრიტერიუმების შესრულებაც ასევე შემთხვევითი მოვლენაა და დამოკიდებულია მხოლოდ „მოპოვებლის“ მიერ გამოყენებულ გამოთვლით სიმძლავრეზე.

19. 2009 წლიდან ყოველი ახალი ბლოკისათვის ჯილდო იყო 50 ბიტკოინი, ხოლო 2013 წლიდან 25 ბიტკოინი, 2017 წლიდან იქნება 12,5 ბიტკოინი და ა.შ.



ბიტკოინის სუსტი მხარეები

ისევე როგორც ნებისმიერ კომპლექსურ სისტემას, ბიტკოინსაც გააჩნია რიგი სუსტი მხარეები, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია როგორც მომხმარებლებისათვის, ასევე ზედამხედველებისთვისაც.

პროგრამული შეცდომები

მიუხედავად იმისა, რომ ბიტკოინი დეცენტრალიზებული სისტემაა, მისი მომხმარებლები მაინც საერთო ღია პროგრამული უზრუნველყოფით სარგებლობენ, რომელშიც ბიტკოინის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ალგორითმები იმპლემენტირებული. ამ ალგორითმების სირთულიდან გამომდინარე არ არის გამორიცხული პროგრამული შეცდომები, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ მომხმარებლების სახსრებზე (დაგროვილ ბიტკოინებზე) და ზოგადად სისტემის ფუნქციონირებაზე. ასეთი შემთხვევები უკვე არაერთხელ მომხდარა. მიუხედავად იმისა, რომ ისინი მომხმარებლების და პროგრამული უზრუნველყოფის ავტორების კოოპერაციული მოქმედების წყალობით დანაკარგების გარეშე იქნა აღმოფხვრილი, არ არსებობს გარანტია, რომ ასევე გაგრძელდება მომავალშიც.

1. 2010 წლის 15 აგვისტოს არითმეტიკული თანრიგის შეცდომის გამო, ორ ანგარიშზე შეცდომით დაირიცხა 184 მილიარდი ბიტკოინი. ხარვეზი გამოსწორდა პროგრამული უზრუნველყოფის განახლებით;
2. 2013 წლის 11 მარტს განახლებული პროგრამული უზრუნველყოფის შეცდომის გამო, არსებობდა

და ორი ალტერნატიული, დადასტურებული ვარიანტი. პრობლემა აღმოიფხვრა მომხმარებლების უმრავლესობის მიერ ძველი პროგრამული უზრუნველყოფის დაბრუნებაზე თანხმობით.

3. 2014 წლის აპრილში ბიტკოინის პროგრამულ უზრუნველყოფაში აღმოჩენილი იქნა უსაფრთხოების დარღვევა, რომელიც ოპერატიულად იქნა აღმოფხვრილი.


უმრავლესობის გადაწყვეტილება

როგორც აღვნიშნეთ, ახალი ბლოკების დადასტურებას მომხმარებლების უმრავლესობა ახორციელებს. თუმცა, გადაწყვეტილებაში მომხმარებლის ხმის წილი განისაზღვრება მომხმარებლის მიერ ბიტკოინის ქსელისათვის გადაცემული გამოთვლითი სიმძლავრის წილით საერთო გამოთვლით სიმძლავრეში. შესაბამისად, არსებობს ე.წ. 51%-იანი შეტევის საშიშროება. კერძოდ, თუ რომელიმე მომხმარებელი ან მათი ჯგუფი მოახერხებს სიმძლავრეების ასეთი წილის თავმოყრას, მას შეეძლება პრაქტიკულად ერთპიროვნულად აწარმოოს საერთო ბუღალტერია, რაც დაასრულებს ბიტკოინის დეცენტრალიზებულ სტრუქტურას და შესაძლებელს გახდის თაღლითური ტრანზაქციების განხორციელებას. უნდა აღინიშნოს, რომ განვლილ პერიოდში მართალია არცერთ მონაწილეს არ მიუღწევია ასეთი დიდი წილისათვის. თუმცა, იყო შემთხვევა, როცა მომპოვებელთა ორი გაერთიანება ჯამში გამოთვლითი სიმძლავრეების 52%-ს აკონტროლებდა. მომპოვებელთა გაერთიანებების წილი საერთო სიმძლავრეში მუდმივად კონტროლდება და საჯაროა²⁰ (ნახ. 5).



20. ასეთი საჯაროობის შედეგი იყო ის, რომ როდესაც მომპოვებელთა ერთ-ერთი გაერთიანება მიუახლოვდა 51%-იან ზღვარს, ბაზრის მსხვილმა მოთამაშემ გადაწყვიტა თავისი სიმძლავრეები გამოეყვანა ამ გაერთიანებიდან, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული ასეთი შეტევის ალბათობა. <<http://www.coindesk.com/bitfury-pulls-power-ghash-community-uproar/>>

ნახ №5.
 მომპოვებელთა კოლოკრაცია <<https://blockchain.info/pools>>
 14,08,2014



მონაცემების დაკარგვა ან მოპარვა.

იმის გამო, რომ მომხმარებლების მიერ ბიტკოინების ფლობა დასტურდება დახურული გასაღებით, მისი დაკარგვის ან მოპარვის შემთხვევაში შეუძლებელია იკარგება შესაბამისი ბიტკოინები. ამ გარემოებას ორი შედეგი აქვს:

ა) თუ გასაღები უბრალოდ დაიკარგა, მაშინ მომხმარებლის განკარგულებაში არსებული ბიტკოინები უბრალოდ დაიკარგება და ამოვა ბრუნვიდან განადგურებული, ნაღდი ფულის ანალოგიურად. ამდენად შეუძლებელია მოცემულ მომენტში ბრუნვაში არსებული ბიტკოინების რაოდენობის განსაზღვრა, რადგანაც უცნობია გამოშვებული ბიტკოინებიდან რამდენია დაკარგული;

ბ) შედარებით დიდი თანხების დაცვისათვის მომხმარებლები განათავსებენ თავიანთ ბიტკოინებს (დახურულ გასაღებებს) ინსტიტუციონალურ პირებთან, როგორცაა ბიტკოინების გაცვლის ბირჟები, რომლებიც პრაქტიკულად მოქმედებენ შუამავლებად მომხმარებლებს შორის, შედეგად ბიტკოინის დამფუძნებლის მიზანი – შუამავლის გარეშე მოქმედი საგადახადო სისტემის შექმნა – მიუღწეველი დარჩა, რაც დასტურდება ჰაკერული თავდასხმებითა, თუ

შუამავლების შეცდომის წყალობით დაზარალებული მომხმარებლების არსებობით²¹.

გარდა ამისა, უკვე არსებობს ინფორმაცია თაღლითების მიერ ბიტკოინების მეშვეობით პირამიდის მოწყობისა და მომხმარებლების დაზარალების შესახებ²².

კურსების დიდი რყევა და მანიპულაციები


ბიტკოინი არ არის დაკავშირებული რეალურ აქტივებთან; რეალური ვალუტებისაგან განსხვავებით, მის უკან არც რეალური ეკონომიკა დგას; ამდენად, მისი გაცვლითი კურსი არამართო მოკლევადიანი, არამედ საშუალო და გრძელვადიანი პერსპექტივითაც მხოლოდ მოთხოვნა-მიწოდებაზე დამოკიდებული. შესაბამისად, არ არსებობს არანაირი საფუძველი რეგულირებად ვალუტებთან გრძელვადიანი წონასწორობის შენარჩუნებისათვის. გარდა ამისა, მის კურსზე ძალიან დიდ გავლენას ახდენს ნეგატიური პრესა, ასევე ცალკეულ ქვეყნებში ზედამხედველების გადაწყვეტილებები ბიტკოინის გამოყენების სფეროს შეზღუდვასთან დაკავშირებით. ბიტკოინის კურსის მერყეობა ასახულია ნახ. 6.

21. <<https://en.bitcoin.it/wiki/Incidents#CVE-2010-5139>> ; <https://bitcointalk.org/index.php?topic=83794.0#post_allinvain_theft> ; <<http://siliconangle.com/blog/2011/08/01/third-largest-bitcoin-exchange-bitomat-lost-their-wallet-over-17000-bitcoins-missing/>>
 22. <<http://rt.com/usa/investors-currency-digital-fund-868/>> Bitcoin Ponzi scheme – investors lose \$5 million USD in online hedge fund, Aug 2012



ნახ №6.

ბიტკოინის კურსი ევროს მიმართ²³ <<http://www.finanze.net/devisen/bitcoin-euro-kurs>>



კრიპტოგრაფიული მეთოდების მოძველება

ბიტკოინის ფუნქციონირებისათვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია კრიპტოგრაფიული მეთოდების²⁴ საიმედოობა. თუმცა, დროთა განმავლობაში გამოთვლითი ტექნიკის განვითარების, ალგორითმების დახვეწისა და ახალი მათემატიკური მეთოდების დამკვიდრებასთან ერთად სულ უფრო სწრაფად არის შესაძლებელი კრიპტოგრაფიული ფუნქციების ანგარიში. შესაბამისად, შესაძლებელია ამ პროცესში გამოყენებული კრიპტოგრაფიული მეთოდები აღარ იყოს საკმარისი ბიტკოინის სისტემის საიმედოობისა და მთლიანობის უზრუნველსაყოფად.

ქვეყნების მიდგომები ვირტუალური ვალუტის რეგულირების თვალსაზრისით

ისევე როგორც ახალი ტექნოლოგიების უმრავლესობამ, ვირტუალური ფულის გამოჩენამაც წარმოშვა ახალი გამოწვევები ფინანსური ინსტიტუტების ზედამხედველობისათვის. მთავარი სირთულე მდგომარეობს იმაში, რომ იგი სრულყოფილად

არ ჯდება ვალუტის, ფინანსური ინსტრუმენტის ან ფინანსური ინსტიტუტის მიღებულ განსაზღვრებაში. მას გააჩნია, როგორც ვალუტის, ასევე საცალო საგადახდო სისტემის და აქტივების თვისებები. (Brito, Castillo, 2013, გვ. 27). ამასთან, ცალკე სირთულეს წარმოადგენს ისეთი ვირტუალური ვალუტების სქემები (მაგალითად, ბიტკოინი), რომელთაც გააჩნიათ დეცენტრალიზებული სტრუქტურა, რადგანაც რეალურად არ არსებობს ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც, შესაძლოა, პასუხისმგებელი ყოფილიყო ბიტკოინის გამართულად ფუნქციონირებაზე, ან მისი ან ზედამხედველის მიერ დადგენილი წესების შესრულებაზე.

სტატიაში ქვემოთ მოყვანილი შემთხვევები ნათელ სურათს იძლევა, რომ რეგულატორების მიდგომები განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით და რაც საინტერესოა, თვით ევროკავშირის ქვეყნებს შორისაც. ერთმნიშვნელოვანია, რომ ვირტუალურ ვალუტას დიდი ყურადღება ექცევა სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან და მათ განვითარებაზე

23. MtGox იყო ბიტკოინის რეგულირებად ვალუტებზე გადამცვლელი მსხვილი პლატფორმა – ე.წ. ბიტკოინების ბირჟა. უსაფრთხოების ზომების არასაკმარისი დაცვის გამო დაკარგული იქნა მისი კლიენტების კუთვნილი 750 000 ბიტკოინი, 473 მილიონი დოლარის საბაზრო ღირებულებით.
 24. SHA-2 რომელიც გამოიყენება როგორც ხელმოწერისას, ასევე ბლოკების შექმნისა და დადასტურებისათვის. (Satoshi Nakamoto 2008)

მიმდინარეობს მუდმივი მონიტორინგი. მთავარი გამოწვევა რაც უმეტესი მარეგულირებლის წინაშე დგას, ბალანსის შენარჩუნებაა; ერთის მხრივ, ფინანსური სერვისების სფეროში ინოვაციების ხელშეწყობასა და, მეორეს მხრივ, არალეგალური მიზნებისთვის ამ ინოვაციების გამოყენებისგან დაცვას, ასევე, ინოვაციათა მომხმარებლების უფლებების დაცვას შორის. თუმცა, უნდა აღინიშნოს რომ ზოგიერთი ქვეყანა აღნიშნული ბიზნესის აკრძალვის გზით წავიდა.

**ევროპის ცენტრალური ბანკის²⁵
მიდგომა (ECB, 2012)**

დახურული ვირტუალური ვალუტის სქემები, რომლებიც მოქმედებს სპეციფიკურ ვირტუალურ საზოგადოებაში და არცდება ამ ფარგლებს, ნაკლებად რელევანტურია ცენტრალური ბანკების ფუნქციების შესრულებასთან. რაც შეეხება დანარჩენ ორ სქემას, რომელთაც კავშირი აქვთ რეალურ ეკონომიკასთან, სიტუაცია სხვაგვარია. განსაკუთრებით ისეთი ვირტუალური ვალუტები, რომელთა გადაცვლა ორმხრივად არის შესაძლებელი რეალურ ვალუტაზე, ქმნის სპეკულაციური გარემოს ჩამოყალიბების შესაძლებლობას; ხოლო იმ შემთხვევებში, როდესაც ვირტუალური ვალუტით შესაძლებელია რეალური საქონლისა და მომსახურების ყიდვა, დგება ტრადიციულ ვალუტებთან კონკურენციის საკითხი (ECB, 2012, გვ. 33).

ევროპის ცენტრალური ბანკის დოკუმენტში განხილულია ვირტუალური ვალუტის სქემების შესაძლო ზეგავლენები ცენტრალური ბანკის შემდეგი ფუნქციების შესრულებაზე: ა) ფასების სტაბილურობაზე; ბ) ფინანსურ სტაბილურობაზე; და გ) საგადახდო სისტემის სტაბილურობაზე. ასევე, ეს დოკუმენტი შეეხო ცენტრალური ბანკის პოტენციურ რეპუტაციულ რისკს, რომელიც შესაძლოა გამოიწვიოს ვირტუალური ვალუტის სქემების უსაფრთხოებასთან დაკავშირებულმა ინციდენტებმა.

წინასწარი ანალიზზე დაყრდნობით, ევროპის ცენტრალური ბანკის ანგარიშში მოცემულია დასკვნები, რომ არსებული ვითარების გათვალისწინებით, ვირტუალური ვალუტის სქემები (ECB, 2012, გვ. 47):

- არ უქმნიან საფრთხეს ფასების სტაბილურობას იმ პირობით, რომ ვალუტის შექმნა გაგრძელდება ამავე დაბალი ტემპით;
- როგორც წესი, არასტაბილურია, მაგრამ ვერ შეუქმნის საფრთხეს ფინანსურ სტაბილურობას რეალური ეკონომიკასთან მათი შეზღუდული

- კავშირის გამო, მათი გაყიდვების დაბალი მოცულობისა და მომხმარებელთა სიმცირის გამო;
- დღესდღეობით არ რეგულირდება და არ არის რაიმე სახელმწიფო სტრუქტურის ზედამხედველობის ან ოვერსაიტის ქვეშ. თუმცა მონაწილეობა ამ სქემაში მომხმარებლებს აყენებს საკრედიტო, ლიკვიდობის, საოპერაციო და სამართლებრივი რისკების წინაშე;
- სპეციფიური საკანონმდებლო ნორმების არ არსებობის გამო შეიძლება წარმოადგენდეს სახელმწიფო სტრუქტურების გამოწვევას, რადგან აღნიშნული სქემები შეიძლება გამოყენებულ იქნას კრიმინალების, თაღლითებისა და ფულის გამთეთრებლების მიერ უკანონო საქმიანობისთვის;
- შესაძლოა ნეგატიური გავლენა იქონიოს ცენტრალური ბანკების რეპუტაციაზე. იმის გათვალისწინებით, რომ ამ სქემების მოხმარება მნიშვნელოვნად იზრდება და ამ სქემებთან დაკავშირებული ინციდენტები სწრაფად ვრცელდება ფართო პრესის საშუალებით, საზოგადოებამ შესაძლოა აღიქვას ინციდენტის გამომწვევ მიზეზად, ცენტრალური ბანკის მიერ თავისი სამუშაოს/ფუნქციის არასათანადოდ შესრულება;
- თავისი მახასიათებლებით საგადახდო სისტემებთან მსგავსების გამო, ხვდებიან ცენტრალური ბანკების პასუხისმგებლობის ფარგლებში, რომელიც წარმოშობს საჭიროებას მინიმუმ შესწავლილ იქნას ამ სქემების განვითარების პროცესი და მომზადდეს წინასწარი შეფასება.

მიუხედავად იმისა, რომ ამ სქემებს შეიძლება ჰქონდეს დადებითი გავლენა ფინანსური ინოვაციების კუთხით და წარმოადგენს მომხმარებლისთვის ალტერნატიულ გადახდის საშუალებას, ნათელია, რომ ისინი ასევე იწვევენ რისკებს, რომლებსაც ამ ეტაპზე (ვირტუალური ვალუტის მცირე მოცულობის გამო) ზემოქმედება შეიძლება იქონიონ მხოლოდ მომხმარებელზე.

ECB-ის ასევე მოჰყავს რამდენიმე ფაქტორი, რომელიც ვირტუალურ ვალუტის მოცულობის ზრდის ხელშემწყობია: ა) ინტერნეტის ხელმისაწვდომობა და მზარდი გამოყენება, რაც ვირტუალური საზოგადოების წევრების რაოდენობის ზრდას იწვევს; ბ) ელექტრონული კომერციისა და ციფრული საქონლის ზრდა, რომელიც იდეალური გარემოა ვირტუალური ვალუტის სქემებისთვის; გ) ანონიმურობის უმაღლესი ხარისხი სხვა ელექტრონული გადახდის

25. European Central Bank (ECB)



ინსტრუმენტებთან შედარებით, რომელიც მიიღწევა ვირტუალური ვალუტით გადახდის დროს; დ) დაბალი ხარჯები (საკომისიო), ტრადიციული გადახდის სისტემებთან შედარებით; ე) გადახდის ოპერაციების უფრო პირდაპირი და სწრაფი კლირინგი და ანგარიშსწორება, რომელიც სჭირდება და სასურველია ვირტუალური საზოგადოებისთვის.

იმის გათვალისწინებით, რომ ვირტუალურ ვალუტის სქემები გააგრძელებს ზრდას, ევროპის ცენტრალური ბანკი საჭიროდ თვლის რომ, პერიოდულად შემოწმდეს სქემების განვითარება, რათა გადაფასდეს რისკები.

ევროპის ბანკების სააგენტო²⁶

ევროპის ბანკების სააგენტოს რეპორტის მიხედვით, ვირტუალური ვალუტა არის არარეგულირებადი ციფრული ფული, რომელიც არ არის გამოშვებული ან გარანტირებული ცენტრალური ბანკის მიერ და რომელიც, შესაძლოა მოქმედებდეს (გამოყენებულ იქნას) გადახდის საშუალებად. EBA აღნიშნავს, რომ ბიტკოინმა შეცვალა ვირტუალური ვალუტის ხასიათი დეცენტრალიზებული სქემის ჩამოყალიბებით. მედია-საშუალებებით ინფორმაციის ფართო გავრცელების დახმარებით, ბიტკოინების მოხმარება სწრაფად გაიზარდა და მხოლოდ 2013 წლის განმავლობაში მომხმარებელთა რაოდენობამ 45 000-დან 400 000-ზე მეტს მიაღწია (EBA, 2014, გვ. 31).

2013 წლის დეკემბერში EBA-მ გადაწყვიტა გამოეცა გაფრთხილება²⁷ ვირტუალური ვალუტის (მათ შორის Bitcoin) მომხმარებლებისთვის (EBA, 2013). ამ გაფრთხილებაში ხაზი გასმულია იმ შესაძლო რისკებზე, რომელიც ემუქრება მომხმარებელს ვირტუალური ვალუტის ყიდვისას, შენახვისას ან ვირტუალურ ვალუტით ვაჭრობისას. მომხმარებელმა უნდა იცოდეს ყველა რისკი, მათ შორის ფულის სრულად დაკარგვის რისკიც, რომლებიც ვირტუალური ვალუტის თანმდევა. კერძოდ, EBA შემდეგ რისკებს და თავისებურებებს აიდენტიფიცირებს:

ა) არ არსებობს კონკრეტული სამართლებრივი დაცვა, რომელიც დაფარავს/აუნაზღაურებს მომხმარებელს დანაკარგს თუ პლატფორმა²⁸ – პირი, რომელიც ცვლის ან ფლობს მომხმარებლის ვირტუალურ ვალუტას, ვერ შეასრულებს თავის ვალდებულებას ან შეწყვეტს თავის საქმიანობას (ზოგ შემთხვევაში ამის მიზეზი მესამე მხარის

მიერ ჰაკერული შეტევების შედეგი შეიძლება იყოს). ამ შემთხვევაში მომხმარებელი სრულად დაკარგავს თავის ფულს, რომელსაც ინახავდა „გადაცვლის პლატფორმაზე“;

- ბ) მომხმარებლის „ციფრული საფულე“, შესაძლოა მოიპაროს ჰაკერმა ან თავად მომხმარებელმა დაკარგოს პაროლი ან გასაღები, რომლითაც წვდომა ჰქონდა „ციფრულ საფულეზე“, რის შედეგადაც სამუდამოდ დაკარგავს თავის ფულს;
- გ) გადახდის ოპერაციები ვირტუალური ვალუტით არ არის გარანტირებული. შეცდომით შესრულებული ტრანზაქციის გაუქმება შეუძლებელია²⁹;
- დ) ბიტკოინის და სხვა ვირტუალური ვალუტის ღირებულება (ფასი) შეიძლება შეიცვალოს სწრაფად და შესაძლოა დაეცეს ნულამდეც;
- ე) ვირტუალური ვალუტა, მომხმარებლების ანონიმური ხასიათის გამო, შეიძლება გამოყენებული იყოს არალეგალურ საქმიანობაში, მათ შორის ფულის გათეთრებისთვის. ამგვარი გამოყენების შედეგად, სამართალდამცავმა ორგანოებმა შესაძლოა გადაწყვიტონ „გადაცვლის პლატფორმის“ დახურვა, რაც შეუძლებელს გახდის მომხმარებლების წვდომას თავიანთ ფულზე ან მათ გამოყენებას.
- ვ) მომხმარებელზე შესაძლოა გავრცელდეს საგადასახადო ვალდებულებები, როგორცაა დღგ ან საშემოსავლო გადასახადი.

ამ ეტაპზე, EBA განაგრძობს ვირტუალურ ვალუტასთან დაკავშირებული რისკების შეფასებას იმისათვის, რომ დაადგინოს (1) შესაძლებელია თუ არა რეგულირება და (2) უნდა რეგულირდებოდეს თუ არა ვირტუალური ვალუტები. ამ მიზნით, 2014 წელს სპეციალური ჯგუფის შექმნას გეგმავდა. (EBA, 2014, გვ. 32). აღნიშნული ჯგუფის მიზანი არამხოლოდ მომხმარებლებისთვის რისკების შეფასებაა, არამედ რისკებისა, რომლებიც შესაძლოა წარმოიშვას:

- რეგულატორებისთვის, ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ფარგლებში თავიანთი მიზნების შესრულებისას, ვინაიდან ანონიმური ხასიათის გამო, აღნიშნული სქემები მიმზიდველია არალეგალური საქმიანობისთვის;
- ინვესტორებისთვის, რომლებიც იყენებენ ვირტუალურ ვალუტას სპეკულაციური ოპერაციებისთვის ან ყიდულობენ საინვესტიციო პროდუქტს, რომელიც დაფუძნებულია ვირტუალურ ვალუტაზე;

26. European Banking Authority (EBA)

27. EBA/WRG/2013/01 12 Dec 2013, Warning to consumers on virtual currency

28. აღნიშნული პლატფორმები ასევე ცნობილია „გადამცველების“ (exchanger) სახელწოდებით.

29. ევროკავშირში საქონლისა და მომსახურების გადახდებზე მოქმედებს მომხმარებელთა დაცვის სპეციფიკური ნორმა ე.წ. ანაზღაურების უფლება (refund right), რომლიც ასევე არ ვრცელდება ვირტუალურ ვალუტაზე.

- საზოგადოებისთვის ფართო გაგებით, როგორც შედეგი იმისა, რომ ვირტუალური ვალუტა შეიძლება გამოყენებული იქნას ისეთი არალეგალური საქმიანობისთვის, როგორცაა არალეგალური საქონლის (ნარკოტიკული ნივთიერებებისა და იარაღის) შექმნა.

გერმანია

გერმანიის ფინანსთა ფედერალურმა სამინისტრომ აღიარა ბიტკოინი და უწოდებს ბიტკოინს როგორც „აღრიცხვის ერთეულს“ (units of account) და „კერძო ფულს“. ვინაიდან, ვირტუალური ვალუტა არ არის ელექტრონული ფული და არც გადახდის კანონიერი საშუალება (legal tender) გერმანიაში, მაშინ ბიტკოინების გადარიცხვა უნდა განიხილებოდეს არა როგორც ფულადი სახსრების გადარიცხვა, არამედ როგორც საქონლის ტრანსფერი, რომელიც პოტენციურად უნდა დაექვემდებაროს დღგ-სა და საშემოსავლო გადასახადს (Segal, Ellis, 2013, გვ. 7-8).

როგორც გერმანიის იურიდიული კომპანიის WINHELLER-ის საიტზე³⁰ არის მითითებული, ბიტკოინებთან დაკავშირებული ბიზნესი თავისი ბიზნეს მოდელიდან გამომდინარე შესაძლოა საჭიროებდეს BaFin-ისგან ლიცენზიას, რადგან ბიტკოინი კლასიფიცირებულია როგორც ფინანსური ინსტრუმენტი, უფრო სწორად კი „აღრიცხვის ერთეული“.

2013 წლის დეკემბერში BaFin-ი ადასტურებს ფინანსთა სამინისტროს პოზიციას, რომ ბიტკოინი არის „აღრიცხვის ერთეული“ (Aschenbeck-Florange, 2014) და შესაბამისად არის ფინანსური ინსტრუმენტი გერმანიის საბანკო აქტის (Kreditwesengesetz) ფარგლებში. BaFin-ი³¹ განმარტავს, რომ ბიტკოინი არ არის გადახდის კანონიერი საშუალება (legal tender) და არც ელექტრონული ფული ევროპული და გერმანიის კანონმდებლობის ფარგლებში. ამავე დროს, განმარტავს, რომ ბიტკოინით გადახდის განხორციელება და მისი მოპოვება (mining) არ არის რეგულირებადი საქმიანობა და არ საჭიროებს ლიცენზიას (Aschenbeck-Florange, 2014). თუ ბიტკოინების ყიდვა – გაყიდვა ხდება სხვის მაგივრად კომერციული მიზნით, მაშინ ასეთი საქმიანობა საჭი-

როებს ლიცენზირებას გერმანიის საბანკო აქტის საფუძველზე (BaFin, 2014).

ევროპის ბანკების სააგენტოს (EBA) მიერ მომხმარებლების გაფრთხილების გამოქვეყნების შემდეგ, 2014 წლის თებერვალში BaFin-მაც გამოაქვეყნა მსგავსი გაფრთხილება ვირტუალური ვალუტის მომხმარებლებისთვის.

აშშ

აშშ წარმოადგენს ბიტკოინების ერთ-ერთ ყველაზე დიდ ბაზარს. 2013 წლის ოქტომბრის მდგომარეობით, ეს იყო პირველი ქვეყანა, რომლის სასამართლომაც გარკვეული განმარტებები გააკეთა ვირტუალურ ვალუტასთან დაკავშირებით (Segal, Ellis, 2013, გვ. 6). მოსამართლის³² განაჩენით,

„ბიტკოინი შესაძლებელია გამოყენებული იყოს როგორც ფული. მისი საშუალებით შესაძლებელია საქონლის ან მომსახურების შექმნა... ის შესაძლებელია ასევე გადაცვლილი იქნას ჩვეულებრივ ფულზე, როგორცაა აშშ დოლარი ... შესაბამისად, ბიტკოინი არის ვალუტა ან ფულის ფორმა და ინვესტორები, რომლებსაც სურთ ინვესტირება BTCST-ში [ჰეჯფონდის სქემა] ახორციელებენ ფულის ინვესტირებას“ (Segal, Ellis, 2013, გვ. 6-7).

ასევე, უნდა აღინიშნოს რომ „სილქ როუდის“³³ დაყადაღების დოკუმენტაციაში ნახსენებია, რომ ბიტკოინი არის „ელექტრონული ვალუტა, რომელიც შექმნილია იყოს ისეთივე ანონიმური, როგორც ნაღდი ფული“ (Segal, Ellis, 2013, გვ. 7).

FinCEN³⁴-ის მიერ გამოცემული სახელმძღვანელოს³⁵ საფუძველზე საბანკო საიდუმლოების აქტი³⁶ ვრცელდება პირებზე, რომლებიც ქმნიან, ინახავენ, ანაწილებენ/ავრცელებენ, ცვლიან, იღებენ ან რიცხავენ ვირტუალურ ვალუტას. აღნიშნული პირები დაყოფილები არიან სამ კატეგორიად: „მომხმარებლები“ (users), „ადმინისტრატორები“ (administrators) და „გადამცვლელები“ (exchangers). „მომხმარებლები“, რომლებიც იძენენ ვირტუალურ ვალუტას და იყენებენ მას რეალური ან ვირტუალური საქონლის შესაძენად არ წარმოადგენენ რეგულირებად პირებს. „ადმინისტრატორი“ ან „გადამცვლელი“, რომელიც (1) იღებს და რიცხავს

30. www.winheller.com
 31. the German Federal Financial Supervisory Authority
 32. Magistrate Judge Amos Mazzant for the Eastern District of Texas
 33. ინტერნეტ გვერდი, რომელიც ახორციელებდა არალეგალური საქონლით ვაჭრობას ბიტკოინებით.
 34. FinCEN (Financial Crimes Enforcement Network) არის აშშ-ს სახელმწიფო ხაზინის ბიურო. FinCEN-ის მისიაა, უზრუნველყოფილ იქნას ფინანსური სისტემის უკანონო გამოყენებისგან დაცვა, ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლა და ეროვნული უსაფრთხოების განმტკიცება.
 35. “Application of FinCEN’s Regulations to Persons Administering, Exchanging, or Using Virtual Currencies”, FinCEN, March 2013
 36. აღნიშნული აქტის საფუძველზე, ფულის სერვისების საქმიანობით დაკავებული პირი, უნდა დარეგისტრირდეს FinCEN-ში და შეასრულოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ დადგენილი მოთხოვნები



კონვერტირებად³⁷ ვირტუალურ ვალუტას, ან (2) ყიდულობს, ან ყიდის ვირტუალურ ვალუტას ნებისმიერი მიზნით, წარმოადგენენ „ფულის გადამცემებს/გადამგზავნებს“ (money transmitters) და ხვდებიან FinCEN -ის რეგულაციის ქვეშ (FinCEN, 2013).

ნიუ-იორკის შტატის ფინანსური სერვისების დეპარტამენტმა (DFS³⁸) 2014 წლის ივლისში გამოაქვეყნა ვირტუალური ვალუტის რეგულაციის პროექტი. ეს პირველი დოკუმენტია, რომელიც შექმნის ბიტკოინის ყოვლისმომცველ რეგულატორულ ჩარჩოს. ჩარჩო მოიცავს მომხმარებელთა უფლებების დაცვის, ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლისა და უსაფრთხოების წესებს ვირტუალური ვალუტის ბიზნესებისთვის. ახალი ტიპის ლიცენზიები (ე.წ. „BitLicenses“) დასჭირდებათ იმ პირებს, რომლებიც აწარმოებენ ისეთ საქმიანობებს, როგორებიცაა ვირტუალური ვალუტის მიღება და გადაგზავნა/გადაცემა კლიენტების სახელით; ვირტუალური ვალუტის შენახვა და კასტოდიური მომსახურება ან კონტროლი კლიენტების სახელით; ვირტუალური ვალუტის გადაცემა როგორც რეალურ ვალუტაზე, ასევე ვირტუალურ ვალუტაზე; ვირტუალური ვალუტის გამოშვება და სხვა. ამ პროექტით ლიცენზირება არ სჭირდებათ პირებს, რომლებიც იძენენ/ფლობენ ვირტუალურ ვალუტას პირადი მიზნებისთვის; ვირტუალური ვალუტის მომპოვებლებს; (miners), სავაჭრო ობიექტებს, რომლებიც ჰყიდიან საქონელს და მომსახურებას ვირტუალურ ვალუტაზე. BitLicense-ის მქონე პირები ვალდებული არიან მოახდინონ ყველა მომხმარებლის იდენტიფიცირება; იქონიონ რეზერვი, რომლის შესაბამისი ვირტუალური ვალუტის ფლობის უფლება ექნებათ; შეიმუშაონ და გამოაქვეყნონ მომხმარებელთა გასაჩივრების პოლიტიკა და ბოლოს DFS-ი განახორციელებს უსაფრთხოების აუდიტს BitLicense-ის მქონე პირებზე, რათა თავიდან იქნას აცილებული MtGox³⁹-ზე განხორციელებული ჰაკერული შეტევების მსხგავსი სხვა შემთხვევები (DFS 2014) (Wile, 2014).

ჩინეთი

2009 წლის ივნისში ჩინეთის ვაჭრობის სამინისტრომ კულტურის სამინისტროსთან ერთად გამოსცა პირველი ოფიციალური ნორმა, რომელიც

არეგულირებს ვირტუალური ვალუტის გამოყენებას. ამ ნორმის მიხედვით, ვირტუალური ვალუტით, რომლის გადაცემა რეალურ ფულზე შესაძლებელია განსაზღვრული კურსით, დასაშვებია მხოლოდ ამ ვალუტის გამომშვების ვირტუალური საქონლისა ან მომსახურების შექმნა. ასევე, ამავე ნორმით აიკრძალა ვირტუალური ვალუტით აზარტული თამაშები და არასრულწლოვანებისთვის ვირტუალური ვალუტის მიყიდვა (Ministry of Commerce of People’s Republic of China, 2009).

აღნიშნული ღონისძიებების მიზგზს უმეტესწილად წარმოადგენდა იმ დროისთვის ჩინეთში არსებული ვირტუალური ვალუტა „QQ coins“⁴⁰, რომლის გამომშვები იყო ჩინეთის სოციალური მედიისა და თამაშობების გიგანტი Tencent.com. აღნიშნულ სექტორში დარეგისტრირებული იყო 220 მლნ მომხმარებელი, რომელიც „QQ coin“-ებს იყენებდა არამხოლოდ ვირტუალურ სივრცეში, არამედ ცვლიდა მათ რეალურ ფულზე და ყიდულობდა რეალურ საქონელსა და მომსახურებას. აღნიშნული სექტორის დაარსებიდან მოკლე პერიოდში, (ზოგიერთის შეფასებით) მან ჩინეთის ნაღდი ფულის ეკონომიკის 13%-ს⁴¹ მიაღწია (The Crypto Crimson, 2009), რაც სავარაუდოდ იქნებოდა მიზეზი ჩინეთის სახელმწიფო სტრუქტურების მიერ ვირტუალური ვალუტის რეალურ ფინანსურ სექტორზე შესაძლო ზეგავლენის შეზღუდვის მიზნით ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებების მიღებისა. ვინაიდან “QQ coins” ვირტუალური ვალუტის სექტორი იყო ცენტრალიზებული, შესაბამისად მასზე შეზღუდვების გავრცელება მარტივი იყო. სხვა სიტუაციაა ბიტკოინებთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში ჩინეთის ცენტრალური ბანკისა და სხვა 5 სახელმწიფო სტრუქტურის მიერ 2013 წლის დეკემბერში გამოიცა ერთობლივი მითითება ბიტკოინთან დაკავშირებით, რომელშიც აღნიშნულია, რომ ბიტკოინი არ ატარებს კანონიერი გადახდის საშუალების თვისებებს; ის არ არის ვალუტა თავისი შინაარსით; ბიტკოინი არის ვირტუალური საქონელი და არ შეიძლება გამოყენებული იქნას ბრუნვაში როგორც ვალუტა. რაც შეეხება, ბიტკოინის მომხმარებლებს, მითითების მიხედვით, მათ შეუძლიათ იყიდონ და გაყიდონ ბიტკოინი მხოლოდ თავისი რისკის ქვეშ, ხოლო ფინანსურ და საგადახდო

37. ვირტუალური ვალუტის ტიპი, რომელსაც აქვს რეალური ვალუტის ექვივალენტური ღირებულება ან მოქმედებს როგორც რეალური ვალუტის ჩამნაცვლებელი (FinCEN 2013, 2014).
 38. Department of Financial Services
 39. MtGox-ი იყო მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი „გადამცველი“, რომელმაც 2014 წლის დასაწყისში დაკარგა ასობით მილიონი დოლარი უსაფრთხოების პრობლემების გამო.
 40. ზოდ წყაროში მოხსენიებულია როგორც “Q coin” ან “QQ” სახელწოდებით.
 41. აღნიშნული ინფორმაცია აღებულია ინტერნეტ სტატიიდან და არ არის გადამოწმებული <http://money.cnn.com/2013/11/18/investing/bitcoin-china/>

ინსტიტუტებს ეკრძალებათ ნებისმიერი კავშირი ბიტკოინებთან. ამავე მითითებით, ბიტკოინების გადამცვლელების ვებ-გვერდები ვალდებული არიან დარეგისტრირდნენ ტელეკომუნიკაციების ბიუროში და დაექვემდებარონ ფულის გათეთრების საწინააღმდეგო მოთხოვნებს (BTC China, 2013)⁴².

შეიძლება ითქვას, რომ ჩინეთის ცენტრალური ბანკს ტოლერანტული დამოკიდებულება აქვს ბიტკოინის მიმართ (Qi, 2013), წინამორბედი QQ Coin-ისგან განსხვავებით, რადგან აღნიშნული ვირტუალური ვალუტის კავშირი რეალურ ეკონომიკასთან დაშვებულია.

გადასახადების სახელმწიფო ადმინისტრაციის მიერ გავრცელებული ინფორმაციით ვირტუალური ვალუტის ვაჭრობიდან მიღებული მოგება ჩინეთში დაექვემდებარება საშემოსავლო გადასახადს (Ye, 2009).

ტაილანდი

ევროპული ქვეყნებისა და აშშ-გან განსხვავებით ტაილანდის ცენტრალურმა ბანკმა (BOT⁴³) გამოაცხადა ბიტკოინი არალეგალურად (Segal, Ellis, 2013, გვ. 8). ინფორმაცია გავრცელდა ტაილანდში არსებული კომპანიიდან (Bitcoin Co. Ltd), რომელსაც აქვს ბიტკოინების სავაჭრო პლატფორმა. აღნიშნულმა კომპანიამ ტაილანდის ცენტრალურ ბანკში გამართულ შეხვედრაზე მიიღო მითითება, რომ ბიტკოინი არ არის ლეგალური, რის გამოც აღნიშნულმა კომპანიამ შეაჩერა საქმიანობა (Clinch, 2013a) (Bitcoin Co. Ltd, 2013). თუმცა, სხვა მსგავსი

კომპანიები განაგრძობდნენ საქმიანობას ტაილანდში. მოგვიანებით “Bitcoin Co”-მ ცენტრალური ბანკიდან მიიღო წერილი, რომ მას შეუძლია აღადგინოს საქმიანობა, თუმცა ბიტკოინის სამართლებრივი სტატუსი კვლავ გაურკვეველი რჩება (Palmer, 2014).

BOT-ის შეზღუდვასთან დაკავშირებით გაკეთდა შენიშვნები, რომ ტაილანდის ცენტრალურ ბანკს კონსტიტუციით არ ჰქონდა უფლებამოსილება აეკრძალა ბიტკოინი, თუმცა მას აქვს უფლება არეგულიროს ვალუტის ოპერაციები. ტაილანდის ცენტრალური ბანკის მოსაზრებით კი ბიტკოინებით ვაჭრობამ შესაძლებელია გავლენა იქონიოს ვალუტის კურსებზე (Watts, 2013).

რუსეთი

2014 წლის 3 ოქტომბერს რუსეთის ფინანსთა სამინისტრომ გამოაქვეყნა ცვლილებების კანონპროექტი, რომლის საფუძველზეც რუსეთის ტერიტორიაზე იკრძალება ოპერაციები ფულადი სუროგატების (რომელიც მოიცავს ვირტუალურ ვალუტასაც) საშუალებით (Rizzo, 2014). ამავე კანონპროექტით ფულადი სუროგატების გამოშვება, მათი გამოშვების მიზნით პროგრამული უზრუნველყოფების შექმნა და გავრცელება, ფულადი სუროგატების საშუალებით ოპერაციების განხორციელება, გამიზნულად ინფორმაციის გავრცელება, რომელიც უზრუნველყოფს ფულადი სუროგატების შექმნას ან ოპერაციებს მათი საშუალებით, ექვემდებარება ფულად დაჯარიმებას (Единый Портал, 2014).

დასკვნა

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ბიტკოინით (დეცენტრალიზებული ვირტუალური ვალუტით) გადახდების განხორციელებისას აღარ არის საჭირო სანდო მესამე მხარის არსებობა, მას ახასიათებს რიგი სისუსტეები, რომლებიც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ მისი როგორც ვირტუალური ვალუტის სიცოცხლისუნარიანობას და წარმოშობს გარკვეულ რისკებს ცენტრალური ბანკების ამოცანებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე ეტაპზე ეს რისკები

არ უქმნიან შესამჩნევ საფრთხეს ცენტრალური ბანკების ამოცანების განხორციელებას, მათი გამოყენების ზრდის შემთხვევაში აუცილებელი იქნება მათი რეგულირება სხვა ვალუტებისა და ელექტრონული ფულის მსგავსად. მიმდინარე ეტაპზე არ არსებობს ერთობლივი მიდგომა ვირტუალური ვალუტების რეგულირებასთან დაკავშირებით. თუმცა, მსოფლიოს ცენტრალური ბანკები აგრძელებენ თანამშრომლობას ერთიანი მიდგომის ჩამოსაყალიბებლად.

42. ჩინეთის ცენტრალური ბანკის საიტზე ბიტკოინთან დაკავშირებული დოკუმენტაცია მოცემულია მხოლოდ ჩინურ ენაზე, თუმცა არსებობს ამ დოკუმენტის არაოფიციალური თარგმანი BTCChina-ს (ბიტკოინების ერთ-ერთი დიდი ჩინური სავაჭრო პლატფორმა) ვებ-გვერდზე.

43. The Bank of Thailand



ლიტერატურა:

- [1] Aaron Sines 2014, Bitcoin is not Banned in China and What You Need to Know, 09/10/2014, <<http://cryptocrimson.com/2014/04/bitcoin-banned-china-need-know/>>
- [2] Andrew Trotman 2013, Bitcoins banned in Thailand, 08/10/2014, <<http://www.telegraph.co.uk/finance/currency/10210022/Bitcoins-banned-in-Thailand.html>>
- [3] Andy Greenberg (2011). “Crypto Currency”. < <http://www.forbes.com/forbes/2011/0509/technology-psilocybin-bitcoins-gavin-andresen-crypto-currency.html>>. Retrieved 8 August 2014
- [4] BaFin 2014, Trading in Bitcoins, 07/10/2014, <http://www.bafin.de/SharedDocs/Veroeffentlichungen/EN/Jahresbericht/2013/jb_2013_II_9_2_trading_in_bitcoins.html>
- [5] BBC 2013, Bitcoin sinks after China restricts yuan exchanges < <http://www.bbc.co.uk/news/technology-25428866>>
- [6] Benjamin Wallace (2011): The rise and Fall of bitcoin, 2011 http://www.wired.com/2011/11/mf_bitcoin/14.08.2014
- [7] Bitcoin Co. Ltd 2013, Trading suspended due to Bank of Thailand advisement, 08/10/2014, < <https://bitcoin.co.th/trading-suspended-due-to-bank-of-thailand-advisement/>>
- [8] BTC China, The People’s Bank of China and Five Associated Ministries Notice: “Prevention of Risks Associated with Bitcoin” 02/10/2014, <<https://vip.btcchina.com/page/bocnotice2013>>
- [9] Dan Palmer 2014, Bank of Thailand Suggests Bitcoin Not Illegal But Warns Against its Use, 09/10/2014, <<http://www.coindesk.com/bank-thailand-says-bitcoin-illegal-warns-use/>>
- [10] David Chaum, “Achieving Electronic Privacy,” Scientific American, August 1992, გვ. 96–101
- [11] Die Zeit 2013, China verbietet seinen Banken den Handel mit Bitcoin, 2013 <<http://www.zeit.de/wirtschaft/2013-12/bitcoin-china-verbot>>
- [12] Directive 2009/110/EC (2009): Directive 2009/110/EC of the European Parliament and of the Council of 16 September 2009 on the taking up, pursuit and prudential supervision of the business of electronic money institutions amending Directives 2005/60/EC and 2006/48/EC and repealing Directive 2000/46/EC
- [13] EBA 2013, Warning to consumers on virtual currencies, 03/10/2014, <<http://www.eba.europa.eu/documents/10180/598344/EBA+Warning+on+Virtual+Currencies.pdf>>,
- [14] EBA 2014, Consumer Trends Report, 03/10/2014, <<http://www.eba.europa.eu/documents/10180/534414/EBA+Consumer+Trends+Report+2014.pdf>>
- [15] ECB, (2012): “Virtual Currency schemes. October 2012”. European central Bank, Frankfurt am Main
- [16] FinCEN 2013, Guidance: Application of FinCEN’s Regulations to Persons Administering, Exchanging, or Using Virtual Currencies, 07/10/2014, <http://fincen.gov/statutes_regs/guidance/html/FIN-2013-G001.html>
- [17] FinCEN 2014, Ruling: Application of Money Services Business regulations to the rental of computer systems for mining virtual currency, 08/10/2014 < http://www.fincen.gov/news_room/rp/rulings/html/FIN-2014-R007.html>
- [18] George Selgin, “Synthetic Commodity Money” (working paper, Department of Economics, University of Georgia, Athens, 2013), <http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=2000118>
- [19] Jacob Davidson, 2014, New York Proposes Bitcoin Regulations, 2014, <http://time.com/money/3004751/new-york-bitcoin-regulations-benjamin-lawsky/>
- [20] Jake Maxwell Watts 2013, Thailand’s Bitcoin ban is not quite what it seems, 08/10/2014, <<http://qz.com/110164/thailands-infamous-bitcoin-crackdown-is-not-quite-what-it-seems/>>
- [21] Jens Münzer, Bafin, 2013, Bitcoins: Aufsichtliche Bewertung und Risiken für Nutzer, in Bafin Journal, January 2014 გვ. 26–30, Frankfurt < http://www.bafin.de/SharedDocs/Veroeffentlichungen/DE/Fachartikel/2014/fa_bj_1401_bitcoins.html>
- [22] Jens Münzer, BaFin 2014, Bitcoins: Supervisory assessment and risks to users , 07/10/2014, <http://www.bafin.de/SharedDocs/Veroeffentlichungen/EN/Fachartikel/2014/fa_bj_1401_bitcoins_en.html>
- [23] Jerry Brito, Anreia Castillo 2013: Bitcoin, a Primer for Policemakers, Mercatur Center, 2013, გვ. 3–4
- [24] Juliet Ye 2009, China Cracks Down on Virtual Currency For Real, 08/10/2014, <<http://blogs.wsj.com/china-realtime/2009/06/29/china-cracks-down-on-virtual-currency-for-real/>>

- [25] Leslie Lamport, Robert Shostak, Marshall Pease: The Byzantine Generals Problem. In: ACM Transactions on Programming Languages and Systems (ACM TOPLAS). Nr. 4.3, 1982, S. 382–401, <<http://research.microsoft.com/en-us/um/people/lamport/pubs/byz.pdf>>
- [26] Liu Deborah (2010), “Expanding Our Commitment to Facebook Credits”, Facebook Developer Blog, February, <https://developers.facebook.com/blog/post/2010/02/25/expanding-our-commitment-to-facebook-credits/>
- [27] Liyan Qi 2013, Beijing Tolerates Bitcoin for Now, 06/10/2014, <<http://blogs.wsj.com/chinarealtime/2013/11/22/beijing-tolerates-bitcoin-for-now/>>
- [28] Matt Clinch 2013, Bitcoin recognized by Germany as ‘private money’, 07/10/2014, <<http://www.cnbc.com/id/100971898#>>
- [29] Matt Clinch 2013a, Bitcoin banned in Thailand, 09/10/2014, <<http://www.cnbc.com/id/100923551>>
- [30] Ministry of Commerce of People’s Republic of China 2009, China bars use of virtual money for trading in real goods, 06/10/2014, <<http://english.mofcom.gov.cn/aarticle/newsrelease/common-news/200906/20090606364208.html>>
- [31] NewFinance Innovations Ltd., 2013, Seminar Guide: Bitcoin: Legal, Regulation, Exchanges, <<http://files.meetup.com/2243521/NewFinance%20Seminar%20Guide%20-%20Bitcoin%20-%20October%202013%20v1.0.pdf>>
- [32] NEW YORK STATE DEPARTMENT OF FINANCIAL SERVICES 2014, PROPOSED NEW YORK CODES, RULES AND REGULATIONS, Title 23, Part 200 <<http://www.dfs.ny.gov/about/press2014/pr1407171-vc.pdf>>
- [33] Ovie Carroll and Mark Krotoski 2014: “Using ‘Digital Fingerprints’ (or Hash Values) for Investigations and Cases Involving Electronic Evidence,” 62 United States Attorneys’ Bulletin 44-82 (May 2014)
- [34] Paul Bohm 2011, Bitcoins Value is decentralization, 2011, <<http://paulbohm.com/articles/bitcoins-value-is-decentralization/>>
- [35] People’s Bank of China 2013, PBOC Spokesperson Answers Press Questions on Current Bitcoin-Related Affairs, 02/10/2014, <http://www.pbc.gov.cn/publish/goutongjiaoliu/524/2013/20131205153156832222251/20131205153156832222251_.html>
- [36] Pete Rizzo 2014, Russia Proposes Monetary Penalties for Bitcoin Use and Promotion, 08/10/2014 <<http://www.coindesk.com/russia-proposes-fines-bitcoin/>>
- [37] Rob Wile 2014, New York Just Released Its Bitcoin License, And They’re Going To Change The Face Of Digital Currencies In The US, 18/07/2014, <<http://www.businessinsider.com/nydfs-bitlicense-draft-2014-7>>
- [38] Satoshi Nakamoto (2008): “Bitcoin: A Peer-to-Peer Electronic Cash System”, 2008. <https://bitcoin.org/bitcoin.pdf>, Retrieved 28 April 2014.
- [39] Spiegel, 2014, Internetwährung: Chinas Zentralbank will Konten von Bitcoin-Händlern schließen, 2014 <<http://www.spiegel.de/netzwelt/web/kryptowaehrung-china-verbietet-bitcoin-handel-a-961254.html>>
- [40] Tanja Aschenbeck-Florange, LL.M. 2014, Regulation of Bitcoins in Germany: First comprehensive statement on Bitcoins by German Federal Financial Supervisory Authority (BaFin), 07/10/2014, <<http://bitcoinmagazine.com/9922/regulation-bitcoins-germany-first-comprehensive-statement-bitcoins-german-federal-financial-supervisory-authority-bafin/>>
- [41] Winheller 2014, Winheller Rechtsanwälte und Steuerberater, Finanzaufsichtsrecht (BaFin-Lizenz) <<http://www.winheller.com/bankrecht-finanzrecht/aufsichtsrecht-bafin-lizenz.html>>, 14/08/2014
- [42] WINHELLER Rechtsanwaltsgesellschaft mbH, Bitcoin Businesses & Crowdfunding Platforms, 09/10/2014, <<http://www.winheller.com/en/banking-finance-and-insurance-law/banking-regulations-bafin.html>>
- [43] WSJ 2014, China Central Bank Warns Banks on Bitcoin, 2014, <http://online.wsj.com/news/articles/SB1000142405270230465304579547251552490962>
- [44] Y. Basieri, etc. (2013): Y. Basieri, B Takhaei, J. Mohareji, Secure untraceable off-line electronic payment system, 2013.
- [45] Правительство Российской Федерации 2014, Проект О ВНЕСЕНИИ ИЗМЕНЕНИЙ В ОТДЕЛЬНЫЕ ЗАКОНОДАТЕЛЬНЫЕ АКТЫ РОССИЙСКОЙ ФЕДЕРАЦИИ, 08/10/2014, <http://regulation.gov.ru/project/17205.html?point=view_project&stage=2&stage_id=13089>



ნობელიანტი ეკონომისტები

2013 წლის ნობელის სახელობის პრემია ეკონომიკაში მიენიჭა ჟან ტიროლს, „საბაზრო ძალაუფლებისა და რეგულირების ანალიზისთვის“.



ჟან ტიროლი (1953 -)

ფრანგი ეკონომისტი, რომლის ინტერესებში შედის ინდუსტრიული ორგანიზაცია, თამაშთა თეორია და ეკონომიკური ფსიქოლოგია. მან შეიტანა წვლილი მიკროეკონომიკური ანალიზის მრავალ საკითხში, განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს კოლექტიური რეპუტაციის თეორია, რომელიც ახდენს ისეთი ცნებების მათემატიზირებულ ფორმალიზებას, როგორებიცაა მყიდველის/გამყიდველის რეპუტაცია, საქონლის/მომსახურების ხარისხი, პატიოსანი ქცევა და ა. შ. 2014 წლის ნობელის სახელობის პრემია ეკონომიკაში მას მიენიჭა საბაზრო ძალაუფლებისა და ბუნებრივი მონოპოლიების რეგულირების კვლევაში.

1970 წლის ნობელის სახელობის პრემია ეკონომიკაში მიენიჭა პოლ სამუელსონს, „სამეცნიერო საქმიანობაში, რომლის მეშვეობითაც მან შეიმუშავა და განავითარა სტატიკური და დინამიკური ეკონომიკური თეორია და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ეკონომიკური მეცნიერების ანალიტიკური დონის ამაღლებაში“.



პოლ სამუელსონი (1915-2009)

ამერიკელი ეკონომისტი, ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი მეცნიერი მეოცე საუკუნის ეკონომისტებს შორის, ნეო-კეინსიანური ეკონომიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი. მან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ე. წ. ნეოკლასიკური სინთეზის შექმნაში, რომელიც დღემდე დომინირებს ეკონომიკურ მეცნიერებაში. მისი ნაშრომები მოიცავდა მომხმარებლის თეორიას, კეთილდღეობის ეკონომიკას, კაპიტალის თეორიას, საჯარო ფინანსებს, საერთაშორისო ეკონომიკას. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა გადამფარავი თაობების (overlapping generations) მოდელის პოპულარიზებაში, რომელიც გამოიყენება ეკონომიკური აგენტების ქცევის ანალიზისთვის დროის რამდენიმე პერიოდის მანძილზე.

სამუელსონს სახელი გაუთქვა ეკონომიკის საფუძვლების გავლენიანმა სახელმძღვანელომ “Economics”, რომელიც პირველად 1948 წელს დაიბეჭდა და დღემდე იბეჭდება (ამჟამად გამოსულია მე-19 გამოცემა). სახელმძღვანელო, რომელიც კეინსიანური ეკონომიკის პირველ პოპულარულ გადმოცემას წარმოადგენს, ითვლება ყველა დროის ყველაზე გაყიდვად სახელმძღვანელოდ ეკონომიკაში.

მის მთავარ ნაშრომად ითვლება „ეკონომიკური ანალიზის საფუძვლები“ (Foundations of Economic Analysis), რომელიც წარმოადგენს ეკონომიკის მათემატიკური ფორმალიზების პირველ თანმიმდევრულ მცდელობას. წიგნის ორ ძირითად პრინციპს წარმოადგენს ეკონომიკური აგენტების მიერ გარკვეული ცვლადების (მომხმარებლებისთვის სარგებლის, ხოლო ფირმებისთვის – მოგების) მაქსიმიზირება, და ეკონომიკური სისტემების წონასწორული მდგომარეობის სტაბილურობა.



საქართველოს ეკონომიკის მინისტრის სამსახური

02.09.2014

გიორგი ქადაგიძე საერთაშორისო ლიდერთა ფორუმზე



საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა გიორგი ქადაგიძემ მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო ფორუმში „დემოკრატიული რეფორმების მომავალი: თანამედროვე სახელმწიფოს მშენებლობა 21-ე საუკუნეში“. ფორუმი თბილისში 1-3 სექტემბერს მიმდინარეობდა.

გიორგი ქადაგიძემ სესიაში „დემოკრატია და ეკონომიკური განვითარება“ ვრცლად ისაუბრა საქართველოს ეკონომიკის მდგომარეობისა და ქვეყანაში განხორციელებული რეფორმების შესახებ.

საერთაშორისო ფორუმი სტენფორდის უნივერსიტეტის დემოკრატიის, განვითარებისა და კანონის უზენაესობის ცენტრისა და საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის ეგიდით ტარდება.

სახელმწიფოს მშენებლობისა და პოლიტიკური რეფორმების სფეროში სტენფორდის უნივერსიტეტის ექსპერტებმა - ფრენსის ფუკუიამამ და ერიკ ჯენსენმა მონაწილეობა მიიღეს სადისკუსიო სესიების მოდერირებაში.

30.09.2014

საერთაშორისო კონფერენცია „ფინანსური განათლება – გამოწვევები და პერსპექტივები“



30 სექტემბერს, სასტუმრო „ჰოლიდე ინში“, საქართველოს ეროვნული ბანკის ორგანიზებით და გერმანული შემნახველი ბანკების ფონდის მხარდაჭერით გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია „ფინანსური განათლება – გამოწვევები და პერსპექტივები“.

კონფერენციის მიზანია სხვადასხვა დაინტერესებული მხარის შეხედულებების გაზიარება ფინანსური განათლების პრობლემასთან დაკავშირებით. შეხვედრაზე განიხილეს ფინანსური განათლების დაბალი დონის ნეგატიური ეფექტი მომხმარებლის კეთილდღეობაზე და შედეგად, მისი შესაძლო გავლენა ფინანსურ ინსტიტუტებზე. გაიმართა დისკუსია ისეთ საკითხებზე, როგორცაა ფინანსური განათლების დაბალი დონის ამაღლებისკენ მიმართული ღონისძიებები, დაინტერესებული მხარეების როლი, მათი პასუხისმგებლობა და ა.შ.

კონფერენციის მონაწილეებს საკუთარი გა-

მოცდილება ბრიტანელმა და გერმანელმა საერთაშორისო ექსპერტებმა შონ მუნდიმ და ანია დაინცერმა გაუზიარეს. შონ მუნდიმ კონფერენციის მონაწილეებს გააცნო საერთაშორისო გამოცდილება ფინანსური განათლების ამალღებისკენ მიმართულ ღონისძიებებთან დაკავშირებით. ანია დაინცერმა კი გერმანული შემნახველი ბანკების ფინანსური ჯგუფის გამოცდილებაზე ისაუბრა.

კონფერენციაში მონაწილეობდნენ მოქმედი კომერციული ბანკების, საქართველოს ბანკების ასოციაციის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების განვითარებისა და მხარდაჭერის ასოციაციის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლები, ასევე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები, არასამთავრობო ორგანიზაციები და დამოუკიდებელი ექსპერტები.

09.10.2014

ქართული საგდამხედველო მოღელის გასაცნობად საქართველოს ეროვნულ ბანკს ტაჯიკეთისა და ყაზახეთის ცენტრალური ბანკების დელეგაციები ესტუმრნენ



საბანკო ზედამხედველობის მიმართულებით გატარებული რეფორმების გაცნობისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით, საქართველოს ეროვნულ ბანკს ტაჯიკეთისა და ყაზახეთის ცენტრალური ბანკების დელეგაციები ესტუმრნენ.

შეხვედრების ფარგლებში სტუმრები გაეცნენ ეროვნული ბანკის მიერ დანერგილ რისკებზე დაფუძნებული საზედამხედველო მიდგომის ძირითად პრინციპებს და ჩარჩოს, მათ შორის, კონსოლიდირებული ზედამხედველობის, სტრუქტურების მეთოდოლოგიასა და საკრედიტო აქტივების ხარისხის ანალიზის საკითხებს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის საზედამხედველო მიდგომების მიმართ ინტერესი განსაკუთრებით მას შემდეგ გაიზარდა, რაც საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის ერთობლივმა მისიამ „ფინანსური სექტორის შეფასების პროგრამის“ (FSAP) ფარგლებში პოზიტიური დასკვნა გამოაქვეყნა.

მისიის შეფასებით, საქართველოს ეროვნულ ბანკს დანერგილი აქვს რისკებზე დაფუძნებული მოწინავე საზედამხედველო ჩარჩო, რომელიც უზრუნველყოფს რისკების ადრეულ ეტაპზე იდენტიფიცირებასა და საზედამხედველო რესურსების ყველაზე ეფექტიანად გადანაწილებას.

საქართველოს ეროვნული ბანკი მომავალშიც აპირებს აქტიურად განახორციელოს საკუთარი რეფორმების ექსპორტი და გაუზიაროს უცხოელ კოლეგებს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და საკუთარი ინოვაციური მიდგომების ეფექტიანი დანერგვის შესახებ გამოცდილება.

30.10.2014

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა საგდამხედველო მიდგომები დიდი ოთხეულის აუდიტორებს გააცნო

30 ოქტომბერს, საქართველოს ეროვნულ ბანკში გამართულ სამუშაო შეხვედრაზე, საბანკო ზედამხედველებმა დიდი ოთხეულის აუდიტორებს ეროვნული ბანკის მიერ დანერგილი „რისკებზე დაფუძნებული საზედამხედველო მიდგომის“ ძირითადი ჩარჩო გააცნეს.

შეხვედრაზე განსაკუთრებული აქცენტი საკრედიტო რისკების შეფასების პრინციპებზე, კონსოლიდირებული ზედამხედველობისა და კაპიტალის



ადეკვატურობის საკითხებზე გაკეთდა.

ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის, ოთარ ნადარაიას თქმით, საბანკო სექტორის ზრდასა და განვითარებასთან ერთად, ბანკების ბიზნეს მოდელები და სტრუქტურა მეტ კომპლექსურობას იძენს. დღეისათვის, მრავალი მიმართულებით, საბანკო ზედამხედველები და გარე აუდიტორები საერთო გამოწვევების წინაშე დგანან. ამდენად, მნიშვნელოვანია ინფორმაციის გაცვლა და თანამშრომლობა, როგორც საზედამხედველო, ისე აუდიტორული საქმიანობის უფრო ეფექტიანად და ხარისხიანად წარმართვისათვის.

31.10.2014

დაზოგვის მსოფლიო დღე საქართველოში

უკვე მესამედ, საქართველოში მსოფლიო დაზოგვის დღე აღინიშნა. ეს დღე, რომელსაც დიდი ხნის ისტორია აქვს, მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში (1925 წლიდან) აღინიშნება. დაზოგვის დღის ფარგლებში

დაგეგმილი კამპანია მიზნად ისახავს მოსახლეობის ფინანსური ინფორმირებულობის დონის გაზრდას. აღნიშნული ღონისძიების ჩატარება ასევე ხელს შეუწყობს სხვადასხვა ფინანსური ორგანიზაციის, ეროვნული ბანკის, აკადემიებისა და ასოციაციების მონაწილეობით ფინანსური სექტორისადმი მოსახლეობის ნდობის ამაღლებას. მსოფლიო დაზოგვის დღე მოსახლეობასა და კომერციულ ბანკებს შორის არსებული ბარიერის გადალახვის კარგი საშუალებაა.

ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ საქართველოს ეროვნული ბანკი, გერმანული შემნახველი ბანკების ფონდი საერთაშორისო თანამშრომლობისთვის და რვა ქართული კომერციული ბანკი: საქართველოს ბანკი, თიბისი ბანკი, ლიბერთი ბანკი, ბანკი ქართუ, ვითიბი ბანკი, ბანკი რესპუბლიკა, ბაზისბანკი და პროკრედიტ ბანკი.

წლევანდელი მსოფლიო დაზოგვის დღე საქართველოში წინა წლებთან შედარებით უფრო მასშტაბური იყო. მთავარი ღონისძიებები თბილისსა და ქუთაისში გაიმართა, კერძოდ, ბავშვებისა და მათი მშობლებისთვის ღონისძიება თბილისში, რიყის პარკში 1 ნოემბერს, ხოლო ქუთაისში, მესხიშვილის თეატრის წინ მდებარე ცენტრალურ მოედანზე, 2 ნოემბერს შედგა.



ამოქმედდა სპეციალური ვებგვერდი www.grovia.com.ge, სადაც განთავსებულია ინფორმაცია როგორც დაზოგვის დღესთან დაკავშირებით, ასევე საბანკო პროდუქტებზე, მომსახურებებსა და ზოგადად, მომხმარებელთა უფლებებზე.

31.10.2014

საქართველოს ეროვნული ბანკის განცხადება საბანკო სექტორის არაპროფილურ საქმიანობაში ჩართვის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით



ეროვნულმა ბანკმა სხვადასხვა ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან შეხვედრებისა და საერთაშორისო პრაქტიკის განხილვის შემდეგ, დაასრულა საბანკო სექტორის არაპროფილურ საქმიანობაში ჩართვის მიზანშეწონილობის საკითხის შესწავლა. როგორც საერთაშორისო გამოცდილება ადასტურებს, ამ თემასთან დაკავშირებით ქვეყნების მიხედვით განსხვავებული მიდგომებია. მიუხედავად ამისა, ბოლო პერიოდში რეგულატორების პოლიტიკაში იკვეთება ტენდენცია, რომელიც ბანკებს უძრავი ქონებისა და სხვა არასაფინანსო სექტორებში ჩართვას უზღუდავს, მათ შორის ბანკების შვილობილების მეშვეობითაც.

უნდა აღინიშნოს, რომ დღეისათვის საქართველოში აღნიშნული საქმიანობის მასშტაბები კვლავ შედარებით მცირეა. ბანკების მხრიდან

არაპროფილურ საქმიანობაში ჩართვის მიმართ ეროვნული ბანკის ლიბერალური დამოკიდებულება ერთ-ერთი ნაწილი იყო იმ პოლიტიკისა, რომელიც 2008-2009 წლების ფინანსური კრიზისის დაძლევის თვალსაზრისით შემუშავდა სხვადასხვა რეგულაციის შერბილებასთან ერთად. ამ ეტაპზე, აღარ არსებობს მსგავსი მიდგომის შენარჩუნების აუცილებლობა და აღნიშნულმა პაკეტმა საკუთარი თავი მთლიანად ამოწურა. უძრავი ქონების სექტორის გაჯანსაღების ტენდენციამ და ბანკების არაპროფილური საქმიანობის მზარდმა მასშტაბებმა დღის წესრიგში დასვა საზედამხებელო მიდგომის ცვლილების აუცილებლობა.

ბანკების არაპროფილურ საქმიანობაში ჩართულობა სებ-ის მიერ საშუალოვადიან პერსპექტივაში სექტორისათვის რისკიანად ფასდება. მსგავსი პრაქტიკა აჩენს ინტერესთა კონფლიქტის რისკს. დამატებითი არგუმენტია ეკონომიკის რეალურ სექტორში კონკურენციაზე უარყოფითი ზეგავლენის არიდება.

აქვე აღსანიშნავია, რომ სებ-ი მიესალმება კომერციული ბანკის აქციონერების მხრიდან არასაბანკო სფეროში ინვესტიციების განხორციელების პრაქტიკას, თუ აღნიშნული არ ხორციელდება უშუალოდ ბანკების მიერ და ასევე არ წარმოქმნის დამატებით რისკებს ბანკებისათვის.

ამდენად, მიღებულია გადაწყვეტილება, რომ საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკებს აეკრძალოთ არაპროფილური საქმიანობა და საბანკო სექტორი შემოიფარგლოს მხოლოდ ტრადიციული საფინანსო მომსახურების მიწოდებით. სებ-ი მნიშვნელოვნად ამკაცრებს ახალი ნებართვების გაცემის მიდგომას არაპროფილური საქმიანობის წამოწყებაზე, რაც შესაბამისობაშია 2008 წლამდე არსებულ პრაქტიკასთან. ასევე, იმ კომერციულმა ბანკებმა, რომლებიც უკვე ჩართულნი არიან ასეთ საქმიანობაში, 30 კალენდარული დღის ვადაში სებ-ს უნდა წარმოუდგინონ ბანკის არასაფინანსო სფეროდან ეტაპობრივი (2015 წლის 31 დეკემბრამდე) გამოსვლის დეტალური სტრატეგია.



04.11.2014

საქართველოს ეროვნული ბანკმა აზერბაიჯანელ კოლეგებს გამოცდილება გაუზიარა



საგარეო სექტორის სტატისტიკის მიმართულებით გატარებული რეფორმების გაცნობისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით, საქართველოს ეროვნულ ბანკს აზერბაიჯანის ცენტრალური ბანკის დელეგაცია ეწვია.

საქართველოს ეროვნული ბანკის თანამშრომლებმა აზერბაიჯანელ კოლეგებს გააცნეს საქართველოს გამოცდილებას საგარეო სტატისტიკის სფეროში, კერძოდ თუ როგორ ხდება ინფორმაციის მოგროვება, როგორც საბანკო, ისე არასაბანკო არხებით, ინფორმაციის დამუშავების მეთოდებს და საბოლოო ცხრილების მომზადებას.

სტუმართა განსაკუთრებულ ინტერესს საქართველო-აზერბაიჯანის ეკონომიკური ურთიერთობები წარმოადგენს, რომლებიც სიმეტრიულად უნდა აისახოს საქართველო-აზერბაიჯანის საგარეო სექტორის სტატისტიკაში.

განხორციელებული რეფორმების გასაცნობად საქართველოს ეროვნულ ბანკს უკვე სტუმრობდნენ აზიის, აფრიკის, აღმოსავლეთ ევროპის, დსთ-ს არაერთი ქვეყნის ოფიციალური დელეგაციები, რომელთა უმრავლესობა საქართველოში მსოფლიო ბანკის რეკომენდაციით იმყოფებოდა.

04.11.2014

საქართველო ეროვნულმა ბანკმა VISA-ს რეგიონულ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა



4 ნოემბერს, სასტუმრო „თბილისი-მარიოტში“, საერთაშორისო საბარათე სისტემა VISA-ს ორგანიზებით, „კავკასიის რეგიონის რეგულატორების, სამართალდამცავი სტრუქტურებისა და ბანკების სამუშაო შეხვედრა“ გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ცენტრალური ბანკების, რეგიონის ძალოვანი სტრუქტურებისა და VISA-ს სისტემაში მონაწილე ბანკების წარმომადგენლებმა მიიღეს.

შეხვედრის მიზანი იყო, გააცნოს მონაწილე ქვეყნებს გადახდების ეკოსისტემაში არსებული უსაფრთხოების ტენდენციები, კიბერ-დანაშაულთან დაკავშირებული თაღლითობებისგან დაცვისა და მათი გამოძიების მეთოდები. ასევე, საბარათე ბიზნესის დაცვის უახლესი ინოვაციური საშუალებები და რისკების მართვის მნიშვნელობა.

შეხვედრაზე განიხილეს ისეთი მნიშვნელოვანი

საკითხები, როგორებიცაა ბარათებით თაღლითობის კონტროლის ტენდენციები და პრიორიტეტები. მონაცემთა უსაფრთხოების სტრატეგია, ვიზას რისკების მართვის ინსტრუმენტები და სერვისები, რისკების მართვა ელექტრონულ კომერციაში და მომხმარებელთა გამოცდილება. ძალოვანი სტრუქტურების სტრატეგია კიბერ-დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში. ვიზას სტრატეგია სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობაში უნაღლო გადახდების განვითარების კუთხით. უნაღლო გადახდების განვითარების პრიორიტეტები კავკასიის რეგიონში.

09.11.2014

საქართველოს საბანკო სექტორმა ბანკირის დღე დასუფთავების მასშტაბური აქციით აღნიშნა



საქართველოს ეროვნული ბანკის, საბანკო ასოციაციისა და მოქმედი კომერციული ბანკების თანამშრომლებმა პროფესიულ დღეს დასუფთავების აქციაში მიიღეს მონაწილეობა. აქცია საქართველოს სხვადასხვა რეგიონში (აჭარა, იმერეთი, სამეგრელო, კახეთი, შიდა ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი, გურია, მცხეთა-მთიანეთი) მიმდინარეობდა და მასში სექტორის 2000-მდე თანამშრომელმა მიიღო მონაწილეობა.

„აქცია სპეციალურად დავამთხვიეთ ბანკირის დღეს და გვსურს ამ მასშტაბური ღონისძიებით მოვუწოდოთ სხვა სექტორის წარმომადგენლებს

აქტიურად ჩაერთონ მსგავს აქციებში და თუნდაც მცირედით, მაგრამ მაინც, თავიანთი წვლილი შეიტანონ ჩვენი ქვეყნის ბუნების დაცვის კამპანიაში“, - განაცხადა ეროვნული ბანკის აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი მელაშვილმა.

ბანკირის პროფესიული დღე საქართველოში 2001 წლიდან აღინიშნება. ბანკირის დღე დაწესდა პირველი ქართული ბანკის – „სათავადაზნაურო ბანკის“ დაარსების 140 წლისთავისა და 8 ნოემბერს მისი დამაარსებლისა და პირველი ხელმძღვანელის ილია ჭავჭავაძის დაბადების 177-ე წლისთავთან დაკავშირებით.

10.11.2014

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა წელს უკვე მეორედ მოიპოვა გამარჯვება კიბერუსაფრთხოებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების რეგიონულ კონფერენციაში და სამ ნომინაციაში ლიდერად დასახელდა



6-7 ნოემბერს, თბილისში, სასტუმრო “შერატონ მეტეხი პალასში”, საქართველოს კიბერუსაფრთხოებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების



განვითარების VII რეგიონულ კონფერენციაზე - GITI 2014, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სამ ნომინაციაში გაიმარჯვა - „ყველაზე ფართოდ გამოყენებადი ელექტრონული სერვისი“, რომელიც ითვალისწინებს საბანკო სექტორში ქალაქდებ შესრულებული ოპერაციების ჩანაცვლებას „განვითარებული ელექტრონული ხელმოწერის“ გამოყენებით შექმნილი ელექტრონული დოკუმენტით და შესაბამისად ელექტრონული დოკუმენტბრუნვით. „ყველაზე წარმატებული ინფრასტრუქტურული გადაწყვეტილება“, პროექტის ფარგლებში საჯარო სექტორში პირველად ეროვნულ ბანკში დაინერგა მონაცემთა სანახის ფედერირებული ვირტუალიზატორი, რამაც სერვერულ ცენტრებს შორის გადართვის დროს ხანგრძლივობა ნულამდე შეამცირა და „ინფორმაციული უსაფრთხოების საუკეთესო მენეჯმენტი“, რომლის ფარგლებშიც ეროვნულ ბანკში დაინერგა საერთაშორისო ISO27001 სტანდარტის შესაბამისი ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემა, ხოლო უახლოეს მომავალში ეროვნული ბანკი გეგმავს აღნიშნული სტანდარტით სერტიფიცირებას, რაც იქნება საქართველოში პირველი ISO27001-ით სერტიფიცირება.

კიბერუსაფრთხოებისა და IT ინოვაციების კონფერენცია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოსა და ICT ბიზნეს საბჭოს ორგანიზებით ყოველწლიურად ტარდება და მისი მიზანია საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა.

კონფერენციაში, რომელშიც 30 ქვეყნის 400-ზე მეტი წარმომადგენელი მონაწილეობდა განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო როგორც საქართველოში, ისე რეგიონში ელექტრონული მმართველობის განვითარების საკითხებს, კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოების პროექტებს, ასევე ამ პროექტებში ტექნოლოგიური ინოვაციების დანერგვის პროცესს.

ინფორმაციისთვის, 2012 წელს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სამ ნომინაციაში მოიპოვა გამარჯვება „ყველაზე წარმატებული ინფრასტრუქტურული გადაწყვეტილება“, „საუკეთესო IT მენეჯმენტი“ და „წლის საუკეთესო IT“.

24.11.2014

საქართველოს ეროვნულ ბანკს ჩეხეთის ცენტრალური ბანკის კომუნიკაციების აღმასრულებელი დირექტორი მარეკ პეტრუსი ესტუმრა



24-25 ნოემბერს, საქართველოს ეროვნულ ბანკს ჩეხეთის ცენტრალური ბანკის კომუნიკაციების დირექტორი მარეკ პეტრუსი ეწვია. მარეკ პეტრუსმა საქართველოს ეროვნულ ბანკში შეხვედრები გამართა ბანკის მენეჯმენტთან. შეხვედა პრეზიდენტის აპარატის, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურისა და სხვა დეპარტამენტების წარმომადგენლებს.

საქართველოში ყოფნის დროს მარეკ პეტრუსმა ქართული მედიასაშუალებების წარმომადგენლებისთვის შეხვედრა გამართა, რომელზეც ყურადღება გამახვილდა ისეთ თემებზე როგორებიცაა: ცენტრალური ბანკების საკომუნიკაციო სტრატეგია, მედიასთან ურთიერთობა, საკომუნიკაციო ინსტრუმენტები. სტუმარმა ქართველ ჟურნალისტებს გააცნო ჩეხეთის ცენტრალური ბანკის საკომუნიკაციო სტრატეგია და გაუზიარა ჩეხეთის მედიისა და ცენტრალური ბანკის PR სამსახურის ურთიერთობის გამოცდილება. მარეკ პეტრუსმა უპასუხა ჟურნალისტთა შეკითხვებს.

ჩეხეთის ცენტრალური ბანკის კომუნიკაციების დირექტორი ეწვია საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტს, სადაც მედია სკოლის სტუდენტებისთვის ლექცია გამართა.

მარეკ პეტრუსი - 2009 წლიდან ჩეხეთის ცენტრალური ბანკის კომუნიკაციების დეპარტამენტის

აღმასრულებელი დირექტორია. ამავდროულად იგი არის ბანკის მმართველის და საბჭოს სხვა წევრების კომუნიკაციების მთავარი მრჩეველი. მის სახელთან არის დაკავშირებული ჩეხეთის ცენტრალური ბანკის საკომუნიკაციო სტრატეგიისა და მონეტარული პოლიტიკის კომუნიკაციის წესების დახვეწა.

10.12.2014

საქართველოს ეროვნულ ბანკს ყირგიზეთის რესპუბლიკის ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ეწვია



„ეროვნული ბანკის გამოცდილების გაზიარება შვეიცარიელმა კოლეგებმა მირჩიეს“ - ყირგიზეთის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტი ტოლკუნბეკ აბდიგულოვი

9-10 დეკემბერს, საქართველოს ეროვნულ ბანკს ყირგიზეთის რესპუბლიკის ეროვნული ბანკის დელეგაცია და ბანკის პრეზიდენტი ტოლკუნბეკ აბდიგულოვი ეწვია, დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ ყირგიზეთის ცენტრალური ბანკის საბჭოს წევრები და დეპარტამენტის ხელმძღვანელები. ვიზიტის მთავარი მიზანი საქართველოს ეროვნული ბანკის წარმატებული გამოცდილების გაზიარება იყო. სტუმართა განსაკუთრებული ინტერესის საგანს ეროვნული ბანკის საკასო ცენტრი წარმოადგენდა, რომელიც ერთადერთია დსთ-ს სივრცეში და უსაფრთხოების თანამედროვე ტექნოლოგიებითაა აღჭურვილი და სრულ შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან.



ინფორმაცია ავტორებისთვის

სტატიების სტრუქტურირების და წყაროების/ ბიბლიოგრაფიის მითითების წესები

სტატიის სტრუქტურა:

1. შესავალი
 - a. განსახილველი თემის დასახელება და მოკლე აღწერა
 - b. თემის შერჩევის კრიტერიუმები
 - c. სტატიის დანარჩენი ნაწილის სტრუქტურა/ შინაარსი
2. ლიტერატურის მიმოხილვა
ამ ან ანალოგიურ საკითხთან დაკავშირებით სხვა ეკონომისტების მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა
3. თეორიული ნაწილი
ეკონომიკური მოდელი/თეორია, რომელსაც ეფუძნება სტატია
4. მონაცემების ანალიზი
 - a. მონაცემების აღწერა (სპეციფიკური მონაცემები კონსტრუირების აღწერის ჩათვლით)
 - b. მონაცემთა აღწერითი სტატისტიკა (განხილული თემის შესაბამისად)
5. ემპირიული ანალიზი (გამომდინარე საჭიროებიდან)
6. შედეგები
7. შედეგების განხილვა
8. დასკვნა
სტატიის მოცულობა უნდა შეადგენდეს 2500-5000 სიტყვას.

წყაროების/ბიბლიოგრაფიის მითითების წესი (ჰარვარდის სტილი)

1. ჰარვარდის სტილის დანიშნულება.

ჰარვარდის სტილი არის ციტირების აკადემიური სისტემა, რომელიც საშუალებას აძლევს ავტორს გამოიყენოს სხვა პირების ინფორმაცია და აზრები საკუთარ ნაშრომში და ამასთან უზრუნველყოს საავტორო უფლებების დაცვა. ჰარვარდის სტილის გამოყენება უმარტივეს ნაშრომის მკითხველებს ავტორის მიერ გამოყენებული ლიტერატურისა და წყაროების მოძებნას; ჰარვარდის სტილის გამოყენება, აგრეთვე, ამცირებს პლაგიატის რისკებს.

ჰარვარდის სტილის გამოყენებისას ნაშრომის ტექსტში რაიმე ავტორის/წყაროს ციტირებისას ყოველთვის იქნება მითითებული ციტირებული ავტორის სახელი და გვარი და პუბლიკაციის წელი. გარდა ამისა, ნაშრომისთვის დართულ ბიბლიოგრაფიაში მითითებული იქნება როგორც ავტორის სახელი და გვარი და პუბლიკაციის თარიღი, ისე სხვა ბიბლიოგრაფიული დეტალები. ბიბლიოგრაფია დალაგებული უნდა იყოს ანბანის შესაბამისად, ავტორების გვარების მიხედვით.

2. წყაროების მითითება ნაშრომის ტექსტში: პარაფრაზი და ციტირება.

ყოველთვის, როდესაც თქვენს ნაშრომში იყენებთ სხვა ავტორის / ავტორების / ორგანიზაციის ინფორმაციას, აუცილებლად უნდა მიუთითოთ ავტორების სახელები და გამოყენებული ნაშრომის პუბლიკაციის წელი. ეს ეხება როგორც პარაფრაზს (სხვისი აზრის/შედეგები საკუთარი სიტყვებით გადმოცემას), ისე ციტირებას (სხვისი ტექსტის უცვლელად გადმოტანას). აღნიშნული

დეტალები უნდა განთავსდეს წინადადების ბოლოს, მაგალითად:

“Volunteer programmes are successful when volunteers are working in positions they look forward to undertaking and want to fill” (McCurley, Lynch & Jackson 2012, p. 78).

ერთი წინადადების ციტირებისას, ჩასვით ის ბრჭყალებში. თუ ახდენთ ორი ან მეტი წინადადების ციტირებას, ციტირებული ტექსტი ცალკე აბზაცად გამოყავით. თუ წყაროს არ გააჩნია გვერდების ნუმერაცია (მაგალითად ინტერნეტში განთავსებული სტატიები), საკმარისია მხოლოდ ავტორის სახელებისა და პუბლიკაციის წლის მითითება. იმ შემთხვევაში, თუ ავტორის სახელი ცნობილი არაა (რაც განსაკუთრებით ზედმიწევნით უნდა გადამოწმდეს) მითითებული უნდა იყოს პუბლიკაციის დასახელება (რომელიც იტალიკით უნდა იყოს აკრეფილი), წელი და შესაბამისი გვერდი, მაგალითად:

Decapsulation of brine shrimp cysts is not necessary but has been carried out by dedicated aquarists for many years as they claim it improves hatching rates (Hatching and raising brine shrimp 2010, p. 2).

3. წყაროების ჩამონათვალი/ბიბლიოგრაფია

წყაროების სია არის ყველა იმ საინფორმაციო წყაროს სია, რომელიც თქვენ გამოყენებული/ციტირებული გაქვთ ნაშრომში. ბიბლიოგრაფია ამგვარ წყაროებთან ერთად მოიცავს ყველა იმ წყაროს, რომელსაც თქვენ გაეცანით ნაშრომზე მუშაობის დროს, მაგრამ შეიძლება უშუალოდ ნაშრომის ტექსტში გამოყენებული არ გაქვთ. ჟურნალში ნაშრომის გამოგზავნისას სასურველია მიუთითოთ მხოლოდ წყაროების ჩამონათვალი.

4. ბიბლიოგრაფიული დეტალები.

a. წიგნები:

წიგნებისთვის ბიბლიოგრაფიული დეტალები უნდა მოიცავდეს შემდეგს ზუსტად ამ თანმიმდევრობით:

1. ავტორ(ებ)ი – პიროვნებები ან ორგანიზაცია – ან რედაქტორ(ებ)ი, ჯერ გვარები, შემდეგ სახელები;
2. პუბლიკაციის წელი;
3. სათაური (ქვესათაურის ჩათვლით, ასეთის არსებობის შემთხვევაში), იტალიკით;
4. სერიის დასახელება და ტომის ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
5. გამოცემა – თუ ეს არ არის წიგნის ერთადერთი გამოცემა;
6. გამომცემელი;
7. პუბლიკაციის ადგილი (ქალაქი/რაიონი).

მაგალითად:

Rosen, MR & Kunjappu, JT 2012, Surfactants and interfacial phenomena, 4th edn, John Wiley & Sons, Hoboken, NJ.

b. სტატიები გაზეთებისა და ჟურნალებიდან (გარდა იმ სტატიებისა, რომლებიც თავისუფლად ხელმისაწვდომია გაზეთებისა და ჟურნალების ოფიციალურ ვებ-გვერდებზე).

ამ შემთხვევაში ბიბლიოგრაფიული დეტალები უნდა მოიცავდეს შემდეგს ზუსტად ამ თანმიმდევრობით:

1. ავტორ(ებ)ი – თუ მითითებულია;
2. პუბლიკაციის წელი;
3. სათაური (ბრჭყალებში);
4. გაზეთის/ჟურნალის დასახელება (იტალიკით);
5. ტომის/გამოცემის ნომერი;
6. თვე და რიცხვი (გაზეთისთვის) ან თვე/კვარტალი (ჟურნალისთვის) – თუ არ არის ტომის/გამოცემის ნომერი;
7. გვერდი.

მაგალითად:

Fei, W & Wu, B 2011, ‘Equal-area theorem based direct digital sinusoidal pulse-width modulation method for multilevel voltage inverters’, Australian Journal of Electrical & Electronics Engineering, vol. 8, no. 2, pp. 129–136.

c. ინფორმაცია ინტერნეტიდან.

ამ შემთხვევაში ბიბლიოგრაფიული დეტალები უნდა მოიცავდეს შემდეგს:

1. ავტორ(ებ)ი ან ორგანიზაცია, პასუხისმგებელი



ვებ-გვერდზე;

2. ინფორმაციის გამოქვეყნების ან უახლესი მოდიფიკაციის წელი;
3. ვებ-გვერდის/დოკუმენტის სათაური;
4. თარიღი, როდესაც პირველად ეწვიეთ ამ გვერდს – დღე/თვე/წელი;
5. URL (ვებ-მისამართი). მოყვანილი უნდა იყოს <>-ში. ლინკები არ უნდა იყოს აქტიური.

მაგალითად:

AusIndustry 2013, Certain inputs to manufacture (CIM), AusIndustry, viewed 21 January 2013, <<http://www.ausindustry.gov.au/programs/manufacturing/cim/Pages/default.aspx>>.

ჰარვარდის სტილის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ, მაგალითად, შემდეგ ვებ-გვერდს: http://www.swinburne.edu.au/lib/studyhelp/harvard_style.html

